პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34. ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

დღიური
- აჯანყების ჩაქრობა პორტუგალიაში.
- ამხ. არალოვი რიგიდან მოსკოვში გამოემგზავრა.
- ისპანეთ - საფრანგეთის მოლაპარაკება ტანჟერის შესახებ.
- ფაშისტი მინისტრი კეიდელი რჩება მარქსის მთავრობაში.
- არჩევნები პოლონეთის სეიმში გადაიდება.
- ბარტელი პოლონეთ - გერმანიის მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ.
- შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის იაპონიაში.
- დაიხურა ჩეხო - სლოვაკიის კომკავშირის კონფერენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 13 თებრვ-ლი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 35 (1790)

საკავშირო ცაკის სესია

ხვალისათვის მოსკოვში დანიშნულია საკავშირო ცაკის მესამე სესიის გახსნა. სესია განიხილავს და დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის 1926—27 წლის მთლიან სახელმწიფოებრივ ბიუჯეტს. თუ საერთოდ სწორია დებულება, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტი ქვეყნის მეურნეობის სარკეს წარმოადგენს, ეს მით უმეტეს ითქმის ჩვენს ბიუჯეტზე, რამდენადაც სახალხო მეურნეობის მთავარი დარგები პროლეტარულ სახელმწიფოს ხელშია მოქცეული.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა ხასიათდება შეუჩერებელი სწრაფი ზრდით, ამასთან ჩვენ მტკიცედ გვაქვს კურსი აღებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე. ყველაფერი ეს პოულობს გამოხატულებას 1926—27 წ. ბიუჯეტში. ამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გამოანგარიშებულია—4.928 მილ. მან. რაოდენობით. 1925—26 წ. ბიუჯეტის ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით (3.851 მილ მან.) მატება უდრის 23,8 პროცენტს. ზრდის ეს ტემპი სამ ნახევარჯერ აღემატება ომის წინადროინდელ ბიუჯეტის ზრდის ტემპს.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი შეადგენს 4.856 მილ. მან., რაც 24 პროცენტით მეტია გასული წლის საგასავლო ნაწილზე. სახალხო მეურნეობის განვითარებაზე საბიუჯეტო წესით განზრახულია გადაიდოს 886 მილ. მან., მაშინ. როცა შარშან გადადებული იყო 538 მილ., ე. ი. ნახევარზე ნაკლები.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი საგრძნობლად დაჭიმულია, მისი ზრდა რამდენიმედ წინ უსწრებს მეურნეობის საერთო ზრდას. მაგრამ ეს აუცილებელია ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის განხორციელებისათვის და სხვა გადაუდებელ კულტურულ-სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარება და საგადასახადო დისციპლინის განმტკიცება უზრუნველყოფს ბიუჯეტით ნაკარნახევ შემოსავლის სრულად აკრეფას.

სესიის დღის წესრიგში დასმულია მეტად მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი —საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ. ამ კანონპროექტის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ფართოვდება მოკავშირე რესპუბლიკების საშემოსავლო წყაროები, რომ მათ შესძლონ უდეფიციტო ბიუჯეტების შედგენა აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილების პირობებში. პროექტის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკების განკარგულებაში უნდა დარჩეს: სასოფლო-სამეურნეო, სასარეწაო და საშემოსავლო გადასახადების 99 პროც., მათ სამანდატო მმართველობაში გადაცემულ საკავშირო მნიშვნელობის წარმოებათა წმინდა მოგების 50 პროც., საკავშირო მნიშვნელობის კონცესიებიდან—50 პროც., შემოსავალი სახელმწიფოებრივ მატერიალურ ფონდების რეალიზაციიდან, საგერბო გადასახადის ნაწილი და სხ.

მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები და საშემოსავლო წყაროები დიდდება, რაიც აუცილებელია მათი თვითმოქმედების უფრო გაშლისათვის. ეს ხელს შეუწყობს ამ რესპუბლიკების შემდგომ ეკონომიურ-კულტურულ განვითარებას და, მაშასადამე, მთელი კავშირის უფრო განმტკიცებას.

სესია მოისმენს საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის მოხსენებას. სახალხო მეურნეობის ზრდა რკინის გზის ტრანსპორტის საკითხს მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს ჩვენს წინაშე. რკინის გზების 1926—27 წლისათვის ნავარაუდევი მუშაობა აღემატება 1913 წლისას 15 პროც. სარკინისგზო ტრანსპორტის ტეხნიკური შესაძლებლობანი ამოწურულია. რომ ტრანსპორტმა არ შეაფერხოს ქვეყნის მეურნეობის განვითარება, არამედ ხელი შეუწყოს მას, აუცილებელია მისი ძირითადი კაპიტალის თანდათანი შეცვლა და ახალი გზების გაყვანა, ახლანდელი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. სატრანსპორტო მშენებლობაზე შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური თანხები უნდა გადაიდოს.

გარდა ამისა, განხილული იქნება კანონ-პროექტი კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საფუძვლებში ზოგიერთ ცვლილების შეტანის და აგრეთვე ამ საფუძვლების შევსების შესახებ დებულებით: სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებებზე და ბოროტმოქმედებებზე მმართველობის წინააღმდეგ. კანონპროექტი არა მარტო ვიწრო სისხლის სამართლის ხასიათისა, არამედ ამასთან ერთად ეხება საკავშირო კონსტიტუციას და ჰგულისხმობს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას. სისხლის სამართლის დარგში.

მოსმენილ იქნება მოხსენება მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინასწარი შედეგების შესახებ. ეჭვი არ არის, რომ ამ აღწერამ ცხადჰყო ჩვენი კულტუროული სიმწიფე. აღწერა საერთოდ დიდი წარმატებით ჩატარდა. აღწერის მასალების დაჩქარებითი და საფუძვლიანი დამუშავება მრავალ ძვირფას მასალას მოგვცემს საჭირო ღონისძიებათა მისაღებად აღმშენებლობის სხვადასხვა დარგებში.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ საბჭოთა ბელორუსიის მთავრობის მოხსენება. მაშინ, როცა პოლონეთში ბელორუსთა ეროვნული უმცირესობა სასტიკ დევნას და დარბევას განიცდის. საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ხალხებისათვის, მათ შორის, ბელორუსებისათვის უზრუნველყოფილია სრული ნაციონალური თანასწორობა და ეკონომიურ-კულტურული განვითარება. ბელორუსიის მთავრობის მოხსენება ამ მოკავშირე რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკის სისწორეს და უდიდეს მიღწევებს მშენებლობაში. აქ გადაიშლება სრულიად საწინააღმდეგო სურათი იმისა, რასაც ადგილი აქვს პილსუდსკის პოლონეთში.

ამგვარად, საკავშირო ცაკის მესამე სესიის წინაშე მეტად მნიშვნელოვანი საკითხები დგას გადასაჭრელად. უმაღლეს საბჭოთა ორგანოს მუშაობა, ეჭვი არ არის, საქვეყნოდ დაადასტურებს ჩვენი სამეურნეო გაძლიერებას, სოციალისტურ მშენებლობის წარმატებას და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სიმტკიცეს, რომელიც ემყარება თანასწორ ხალხთა ძმურ თანამშრომლობას.

პოლონეთ-გერმანიის კონფლიქტის გარშემო

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ჯერ კიდევ 1922 წლიდან დაიწყო მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების გარშემო გერმანიასა და პოლონეთს შორის. მიუხედავათ იმისა, რომ ორივე მხარე დიდათ იყო დაინტერესებული ამ ხელშეკრულების დადებაში, მთელ რიგ ეკონომიურმა და, უმთავრესად, პოლიტიკური ხასიათის მიზეზებმა მაინც შეუშალეს ხელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟენევის ხელშეკრულებით, გერმანია იძულებული იყო დათანხმებულიყო ყოველთვიურად ნახევარ მილიონ ტონა ზემო-სილეზიის ნახშირის უბაჟოდ შემოზიდვაზე პოლონეთიდან. ეს იძულებითი მსხვერპლი გერმანიის მხრივ მნიშვნელოვან ეკონომიურ შეღავათს აძლევდა პოლონეთს, რომელიც, თავის მხრივ, არ ჩქარობდა სამაგიერო შეღავათი მიეცა გერმანიისთვის. მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთი ვერსალის ზავის თანახმად, მრავალი შეღავათით სარგებლობდა გერმანიაში, გერმანიის საქონელი პოლონეთში მაინც საერთო ტარიფის მიხედვით ფასდებოდა.

1925 წლს იანვარში მდგომარეობა არსებითად იცვლება, ვინაიდან გერმანიას გაუთავდა თავის ვალდებულების ვადა და ამით პოლონეთს მოესპო განსაკუთრებული შეღავათები საკუთარი ნახშირის ექსპორტის მხრივ გერმანიაში.

იმავე წლის მარტში დაიწყო მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების გარშემო, რომელმაც თავიდანვე გამწვავებული ხასიათი მიიღო. პოლონეთის მთავრობა არ დათანხმდა არსებით საბაჟო დათმობებზე გერმანიის მიმართ და უკანასკნელს შესთავაზა მხოლოდ პროცენტული დაკლება თავის ტარიფიდან. ამასთან ერთად პოლონეთის მთავრობამ უარყო სათანადო უფლებების მინიჭება იმ გერმანელთათვის, რომლებიც სცხოვრობენ პოლონეთთან შემოერთებულ მიწებზე.

სავაჭრო ხელშეკრულებას გერმანიისთვის მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც განმტკიცდება პოლონეთის საბაჟო განაკვეთი გერმანულ საქონელზე. პოლონეთის მთავრობა კი არ თანხმდება მტკიცე განაკვეთების დაწესებაზე. პოლონური სისტემა გამოდის საბაჟო ტარიფის პროცენტულ შემცირებიდან. ასეთ პირობებში ყოველთვის არის შესაძლებელი განაკვეთის გადიდება, როგორც ამას არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, და ამის გამო ფიქტიური ხდება პროცენტული დაკლების დათმობა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გერმანიისთვის პოლონეთში მცხოვრებ გერმანელთა უფლებრივი საკითხის მოწესრიგება. მაგრამ ამ საკითხში პოლონეთი არავითარ არსებით დათმობებზე არ წავიდა. პირიქით, პოლონეთში არსებობს კანონი უცხოელთა შესახებ, რომლითაც პოლონეთის მთავრობას შეუძლია ყველა იმ უცხოელთა გადასახლება, რომელთა ყოფნასაც სახელმწიფოს ფარგლებში ის არასასურველად სცნობს.

პოლონეთის მთავრობის დაუთმობლობა გახდა მიზეზი საბაჟო ომის დაწყებისა ამ ორ სახელმწიფოს შორის. ეს ომი დაიწყო 1925 წლის ივნისში.

ამ ომმა ისე, როგორც ყოველივე ომმა დიდი ზარალი მიაყენა ორივე მხარის სამეურნეო ინტერესებს. მაგრამ ის, ცხადია, უფრო საგრძნობი იყო პოლონეთისთვის. ამ ომის მიზეზით პოლონეთმა დაკარგა თავისი ნახშირის უმთავრესი ბაზარი, რის ნაწილობრივი შეცვლაც მან მოახერხა სკანდინავიის ბაზრით, რაც მისთვის არახელსაყრელი გამოდგა, იმიტომ, რომ აქ მან მოუხდა კონკურენციის გაწევა ინგლისთან, რომელიც ნახშირის მუდმივი მიმწოდებელია სკანდინავიაში.

1926 წლს მიწურულში თითქოს დასრულდა ეს ომი და დაიწყო სავაჭრო მოლაპარაკების დაწყების ახალი ცდა. მაგრამ დაწყებულ მოლაპარაკებას არ ემჩნეოდა დადებითად დასრულების ნიშნები.

ჯერ ერთი, დარჩა ეკონომიური ხასიათის მიზეზები, რომლებიც დიდათ უშლიდენ ხელს მოლაპარაკების ნაყოფიერად დაგვირგვინებას; და მეორე, თითქოს ხანდახან უმჯობესდებოდა პოლიტიკური დამოკიდებულება, მაგრამ ფაქტიურად ის კიდევ უფრო გამწვავდა.

გერმანიის სამეურნეო და ნაწილობრივ საგარეო მდგომარეობის განმტკიცებამ და გაძლიერებამ მრავალი თავის ტეხვა აგემია პოლონეთს. და ამ მეზობლების ურთიერთ დამოკიდებულებაში შესამჩნევი ხდება დაჭიმული მდგომარეობა.

ასე, მაგალითად წარსული წლის ნოემბრის მიწურულში პოლონეთის ბერლინელმა ელჩმა გერმანიის მთავრობას გადასცა საპროტესტო ნოტა იმ დეკლარაციის წინააღმდეგ, რომელიც 23 ნოემბერს რეიხსტაგში გააკეთა დეპუტატმა ეშინგერმა მთავრობის პარტიების სახელით ზემო-სილეზიის მუნიციპალურ საბჭოების არჩევნების საქმეზე. ნოტა აღნიშნავს, რომ დეკლარაცია აკრიტიკებს პოლონეთის ხელისუფლების დამოკიდებულებას თავის მოქალაქეებისადმი, ჰკიცხავს. პოლონეთის მთავრობის დამოკიდებულებას პოლონეთის ეროვნულ უმცირესობასთან და გერმანიის მთავრობის პარტიის სახელით მადლობას უცხადებს იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც ხმა მისცეს გერმანულ სიას. ნოტა აღნიშნავს, აგრეთვე, რომ მანიფესტაციას რეიხსტაგში ადგილი ჰქონდა გერმანიის მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევას წარმოადგენს, ვინაიდან „ის ეწინააღმდეგება საერთაშორისო წესებს და არასასურველ შედეგებს იწვევს მათ ურთიერთდამოკიდებულებაში“.

პოლონეთის პრესა სტეხს განგაშს. ლაპარაკია: მთელ გერმანიაში გავრცელებულ ანტიპოლონურ „მტკიცე გადაწყვეტილებაზე პოლონეთის საზღვრების გადასინჯვის შესახებ“, „პოლონური პომერანიის ანექსიაზე“ და „აღმოსავლეთ პრუსიის გაერთიანებაზე“ აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ყოველგვარ მოლაპარაკებას საფრანგეთთან მიზნად აქვს პოლონეთის იზოლიაცია.

ასეთ მდგომარეობაში მოსალოდნელია ურთიერთდამოკიდებულების გართულება.

პოლონური სილეზიიდან 4 გერმანელი მოქალაქის, ვიწრო ლიანდაგიან რკინისგზის ზემო-სილეზიის საზოგადოების დირექტორების გაძევებამ, რომელიც წარმოადგენს ან ზემო - სილეზიის ვოევოდის თვითნებობითი აქტს, ან და პოლონეთის მთავრობის პასუხს ეშინგერის დემონსტრაციაზე, მისცა საბაბი გერმანიის მთავრობას შეეწყვიტა პოლონეთთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

როგორც ჩვენ ვღებულობთ დღევანდელ დეპეშებიდან, გერმანიის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოლონეთში. შეშფოთებულია მთელი პოლონური პრესა. გაზეთები სცდილობენ დაამტკიცონ, რომ პოლონეთიდან 4 გერმანელი მოქალაქის გაძევება წარმოადგენს მხოლოდ საბაბს და, რომ გერმანიის მთავრობა ისედაც სცდილობდა საბოტაჟი გაეწია, სავაჭრო მოლაპარაკებისთვის. ზოგიერთი გაზეთი გერმანიის მთავრობის ასეთ მოქმედებაში ხედავენ მოსკოვის გავლენას, — ეს მოდათ გადაიქცა, — და მუდარის თვალით იცქირებიან ინგლისისაკენ, რომლისგანაც მოელიან დახმარებას.

დამოუკიდებლად იმისა, თუ რით ხელმძღვანელობდა გერმანიის მთავრობა თავის გადაწყვეტილებებში, აშკარაა, რომ ურთიერთდამოკიდებულების გართულებას პოლონეთსა და გერმანიას შორის შეუძლია თავის გავლენა მოახდინოს პოლონეთის რესპუბლიკის როგორც ეკონომიურ, ისე საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

მოსკოვი, 12 თებერვალი.

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტი იხილავს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს

ბარტელი უარყოფს პოლონეთის აგრესიულ ზრახვებს საბჭ. კავშირის მიმართ

საფრანგეთში მიუღებლათ მიაჩნიათ კულიჯის წინადადება განიარაღების შესახებ

პეკინის მთავრობა შანხაის ნეიტრალიზაციის წინააღმდეგ.-უარი სთქვა ინგლისის წინადადებების განხილვაზე

სუნ-ჩუან-ფანის არმიის განადგურება.—შეტაკება ჩან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს ჯარებს შორის

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ესტონეთი, ლატვია და საბჭოთა კავშირი

რეველი, 11 თებერვალი. გაზეთი „ვაბა მაა“ აცხადებს, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის აკელის და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის ცელენსის შეხვედრის დროს რიგაში მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხში. (ადს).

ბარტელი უარყოფს

ვარშავა, 11 თებერვალი. სეიმში გამოსვლის დროს ბარტელი უარყოფდა ხმებს პოლონეთის საომარ მზადების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „სამხედრო კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან—განაცხადა მან—სრულებითაც არ შეადგენს პოლონეთის ინტერესს. პოლონეთის მთავრობას, რომელსაც პრინციპიალურად არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს თუ გაგრძელდება მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, საჭიროდ მიაჩნია მოლაპარაკებას შეუდგეს სათანადო მომზადებით და აუჩქარებლად“. (ადს).

ამხ. არალოვი გაემგზავრა მოსკოვში

რიგა, 11 თებერვალი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. არალოვი, რომელიც რიგაში იმყოფებოდა გაემგზავრა მოსკოვში. სადგურში ამხ. არალოვი გააცილა ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ცელენსმა. (ადს).

ჩეხო-სლოვაკია და საბჭოთა კავშირი

პრაღა, 11 თებერვალი. დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიის გუშინდელ და დღევანდელ სხდომებზე, როგორც იუწყება ჩეხო-სლოვაკიის ტელეგრაფის სააგენტო, კვლავ იქნა განხილული საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის საკითხი. კამათის დროს ცნობის სასარგებლოდ ილაპარაკეს ჩეხიის სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების, გერმანელ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის წარმომადგენლებმა და კომუნისტმა კრეიბიხმა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კათოლიკური პარტიის წარმომადგენლების და მათ შორის მღვდელ სვეტლიკის გამოსვლამ ცნობის სასარგებლოდ.

სვეტლიკის შემდეგ გამოსულმა ნაციონალ-დემოკრატების ბელადმა კრამარჟმა განაცხადა, რომ მის წინ გამოსულმა ორატორმა ღრმად ალაშფოთა იგი (კრამარჟს ცოლად ჰყავს რუსი ქალი—აბრიკოსოვა; მას „მზითვად“ გაჰყვა ფაბრიკები და მამულები, რომლებიც ნაციონალიზაციაქმნილია ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ).

გარეშე საქმეთა მინისტრი კმაყოფილებით მიესალმა სვეტლიკის განცხადებას, მაგრამ ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ იგი საბჭოთა კავშირის მიმართ კვლავ რჩება თავისი უკანასკნელი განცხადების თვალსაზრისზე.

ბენეში ალბათ გულისხმობს თავის უკანასკნელ გამოსვლას იმავე კომისიაში, როცა მან განაცხადა, რომ იგი მომხრეა „ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს“ ჩეხო-სლოვაკიასა და საბჭოთა კავშირის შორის—და რომ მთავრობა ამ უახლოეს ხანებში შეუდგება ამ საკითხის განხილვას „იმ მიზნით, რომ იგი საბოლოოდ გადასწყვიტოს“ (ადს).

იმპერიალისტების ახალი თვალთმაქცობა

კულიჯის წინადადების გარშემო

გამოძახილი საფრანგეთში

პარიზი, 11 თებერვალი. ეხება რა კულიჯის წინადადებას „ტან“-ი სწერს: „მაგრამ ეშინია რა ხმელეთიდან თავდასხმის, **ამერიკა საჭიროდ სთვლის საზღვაო შეიარაღების შეზღუდვას იმგვარათ, რომ ბატონობა ზღვაზე დარჩეს შეერთებულ შტატებს და არა ინგლისს.** მაგრამ, თუ შევეხებით მხოლოდ საზღვაო შეიარაღების შეზღუდვას, საფრანგეთს უფლება ეძლევა მოითხოვოს, რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს მთელი მისი ტერიტორიის დაცვა.

„ჟურნალ დე დებას“ აზრით, **საფრანგეთი ვერ გაჰყვება კულიჯის წინადადებას და საეჭვოა, რომ ეს წინადადება მისაღები იქნეს სხვებისთვისაც.** (ადს).

განიარაღება სუსტ სახელმწიფოებისათვის

პარიზი, 12 თებერვალი. **საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა ილაშქრებს კულიჯის წინააღმდეგ საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.** კულიჯის წინადადებაში პრესა ხედავს ცდას შეზღუდულ იქნეს პატარა გემების, განსაკუთრებით, წყალქვეშა ნავების შენება, რაც ნიშნავს წვრილ ერების განიარაღებას. (ადს).

იაპონია თანახმაა განიარაღებაზე

ტოკიო, 11 თებერვალი. შიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს პრეზიდენტ კულიჯის წინადადება, რომლის თანახმად განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში განხილულ უნდა იქნეს საკითხი დამხმარე სასამართლოების აღმშენებლობის შეზღუდვის შესახებ. (ადს).

საფრანგეთის მთავრობის აზრი

პარიზი, 11 თებერვალი. ჰავასის ცნობით, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ განიხილა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთ. შტატ. მემორანდუმი იმ კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს საზღვაო შეიარაღების შეზღუდვა. იტყობინებიან, რომ საფრანგეთი არ წავა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ ძალების წინადადების წინააღმდეგ, მაგრამ მოითხოვს, რომ ერთა ლიგამ განაგრძოს განიარაღების პრობლემის განხილვა. ამავე დროს საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს, რომ რუსეთის მონაწილეობა განზრახულ კონფერენციაზე არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს კონფერენციის მოწვევის პირობად. (ადს).

ჩინეთი და იმპერიალისტები

ამას კი იმპერიალისტები არ მოელოდენ

პეკინი, 11 თებერვალი. ჰოვენის სააგენტოს ცნობით, პეკინის მთავრობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა დიპლომატიური კორპუსის პროტესტი საბაჟოების ინსპექტორის ეგლენის დათხოვნის წინააღმდეგ და აგრეთვე ინგლისის და ამერიკის წინადადებაში შანხაის ნეიტრალიზაციის შესახებ.

გამოტანილ იქნა დადგენილებები: ეგლენის დათხოვნა გამოწვეული იყო აუცილებლობით და ამ საქმის შესახებ დაუშვებელია რაიმე მოლაპარაკება დიპლომატიურ კორპუსთან. **არ იქნება განხილული ინგლისის წინადადებები, სანამ ინგლისის მთავრობა არ უპასუხებს პროტესტს შანხაიში ჯარების ვაგზავნის წინააღმდეგ. ამერიკის წინადადება ჩაითვალოს ზედმეტათ, ვინაიდან ჩინეთის ხელისუფლებას დამოუკიდებლათ შეუძლია დაიცვას უცხოელები შანხაიში. ამერიკის წინადადებაზე პასუხი არ იქნება გაცემული.** (ადს).

ჩჟან-ძო-ლინის პრეზიდენტათ არჩევის საკითხი

პეკინი, 11 თებერვალი. ჰოვენის სააგენტოს ცნობით, პოლიტიკურ კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს პრეზიდენტის არჩევნების მომზადება, თავი იჩინა უთანხმოებამ. კომისიის სამოქალაქო წევრები სთვლიან, რომ ჩჟან-ძო-ლინის არჩევა უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევის შესახებ არსებულ კანონთან შეთანხმებით. კომისიის სამხედრო წევრები ამ პროცედურას მეტად გაჭიანურებულად სთვლიან და წინადადებას იძლევიან დაუყოვნებლივ გამოქვეყნებულ იქნეს ჩრდილოელ უმაღლეს ოფიცრობის დეკლარაცია, რომელიც მარშალს სთხოვს დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა. (ადს).

სრული რეორგანიზაცია

პეკინი, 11 თებერვალი. შანხაიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის ბურჟუაზიამ უარყო წინადადება უცხოელთა უბანში სამი წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. ჩინელები მოითხოვენ უცხოელთა უბანის მმართველობის სრულ რეორგანიზაციას. (ადს).

ჩემბერლენი უკმაყოფილოა

ლონდონი, 11 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩემბერლენმა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა მემორანდუმი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში. მემორანდუმი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმ ანტი-ინგლისურ კამპანიის გამო, რომელსაც ეწევიან ნაციონალისტები. მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის მთავრობა დიდ ყურადღებით ეპყრობა ჩინეთის ერის მოთხოვნილებებს.

მემორანდუმი აღნიშნავს, რომ ჩინელებმა დაიკავეს ინგლისის კონცესია, რაც წარმოადგენს „ადგილობრივ ინგლისელ კომერციების უფლებების უხეშ და გაუმართლებელ დარღვევას“. (ადს).

ფრანგები სასტიკ ნეიტრალიტეტს იცავენ მაგრამ...

პარიზი, 11 თებერვალი. კომუნისტ კაშენის შეკითხვის საპასუხოდ საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში ბრიანმა განაცხადა, რომ საფრანგეთი, რომელიც იცავს სასტიკ ნეიტრალიტეტს, სარგებლობს ჩინეთის ხალხის სიმპატიებით. საფრანგეთი თანაუგრძნობს ჩინეთის ემანსიპაციას და მას იმედი აქვს, რომ სამოქალაქო ომის მონაწილენი უზრუნველყოფენ ყოველგვარ საფრთხისაგან უცხოელების სიცოცხლეს და მათ ინტერესებს. მიუხედავათ ამისა, საფრანგეთის მთავრობა ვალდებულია დაიცვას თავის მოქალაქეების სიცოცხლე და ქონება. (ადს).

ბრაზმორეული ჩჟან-ძო-ლინი „სრულიად ჩინეთის პრეზიდენტი“

პეკინი, 11 თებერვალი. ჩჟან-ძო-ლინმა, რომელიც იმყოფება პეკინში, განაცხადა, რომ კანტონის არმია უნდა განადგურდეს და ბოლშევიზმი ძირფესვიანათ უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

პეკინის მთავრობა იხილავს საკითხს ჩინეთის პრეზიდენტათ ჩჟან-ძო-ლინის დანიშვნის შესახებ. (ადს).

იაპონიის „მშვიდობიანობის მოყვარეობა“

ტოკიო, 11 თებერვალი. „ნიცი-ნიცი“-ს იმედი აქვს, რომ უსაფუძვლო აღმოჩნდება იაპონიის საზოგადოებრივი აზრის შიში მის შესახებ.რომ ჩინეთის ნაციონალური მთავრობა მოახდენს ხაბენის მაღაროების ექსპროპრიაციას.

გაზეთი ურჩევს სამხრეთელებს საკითხი მოაწესრიგონ დიპლომატიური გზით, აღნიშნავს რა, რომ იაპონია მზადაა მისცეს სამხრეთელებს საჭირო თანხები. (ადს).

ჩრდილოელების „მთლიანი“ ფრონტი

პეკინი, 11 თებერვალი. ჩჟან-ძო-ლინის ჯარები მიდიან სამხრეთით კანტონელების წინააღმდეგ. **მუკდენის ჯარების გადაჯგუფების დროს მათსა და უ-პეი-ფუს ჯარებს შორის ადგილი ჰქონდა შეტაკებას, რომელიც სროლით დამთავრდა.** (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის არმია განადგურებულია

პეკინი, 11 თებერვალი. **11 თებერვალს მიღებულ იქნა ცნობა სუნ-ჩუან-ფანის ჯარების დამარცხების შესახებ კანტონელებთან ბრძოლაში, ქალაქ ლანჩის მახლობლათ. ბრძოლის დროს სუნ-ჩუან-ფანის 7.000 ჯარისკაცი დანებდა კანტონელებს. სუნ-ჩუან-ფანის ჯარები უკან იხევდენ ისე, რომ არც კი ცდილობდენ წინააღმდეგობის გაწევას.**

პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ

ბარტელის განცხადება

ვარშავა, 11 თებერვალი. სეიმის სხდომაზე მთავრობის სახელით განცხადება გააკეთა ბარტელმა.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს ბარტელმა განაცხადა, რომ გერმანიამ ჩაშალა პოლონეთ-გერმანიის კომისიის მუშაობა, რომელსაც უნდა მოეგვარებია საკითხები თვითეულ ამ ქვეყნის მოქალაქის უფლებების შესახებ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე.

„პოლონეთის მთავრობას—განაცხადა ბარტელმა—არ სჯერა, რომ გერმანიის მთავრობა შესწყვეტს სავსებით სავაჭრო მოლაპარაკებას იმის გამო, რომ პოლონეთში 4 გერმანელ მოქალაქეს დარჩენის ვადა არ გაუგრძელეს. ეს რომ ასე მოხდეს მე წინდაწინვე უნდა განვაცხადო, რომ ამ მოლაპარაკების ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა სავსებით გერმანიის ახლანდელ მთავრობას დაეკისრება“.

ჩეხო-სლოვაკიის კომკავშირის კონფერენცია

პრაღა. 11 თებერვალი. დამთავრდა ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის კონფერენცია, რომელსაც 80 დელეგატი დაესწრო.

კონფერენცია ჩატარდა დიდი აღფრთოვანებით შემდეგი ლოზუნგებით: „ბრძოლა მუშათა ახალგაზრდობის და უმუშევართა დახმარების მოწყობისათვის, ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ბრძოლა ჯარისკაცებისათვის პოლიტიკურ უფლებების წართმევის წინააღმდეგ“ და სხ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ლეგალიზაციას. (ადს).

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პალატა მოითხოვს რწმუნებათა გაგრძელებას

პარიზი, 11 თებერვალი. კამპანია დეპუტატთა პალატისათვის რწმუნებულებათა გაგრძელების სასარგებლოდ, გრძელდება. საპარლამენტო ჯგუფების გაერთიანების (რომელიც წარსული წლის გაზაფხულზე შეიქნა ეროვნული მთლიანობის ბლოკის განხორციელების მიზნით) თავმჯდომარე მორინო მოითხოვს, რომ დეპუტატთა პალატის რწმუნებულთა ვადა გაგრძელდეს ორი წლით, რათა მიეცეს მას საშუალება ბოლომდე მიიყვანოს ფინანსიური გაჯანსაღების პროგრამა. თავისი წინადადების დასაბუთების დროს მორინომ პუანკარეს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საარჩევნო რეფორმის პროექტს თანაგრძნობით ხვდებიან მთავრობისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფები.

რეფორმების წინააღმდეგ

პარიზი, 11 თებერვალი. მინისტრთა საბჭოში პენსიების მინისტრმა მარენმა გაილაშქრა საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ, რომელსაც მოითხოვენ რადიკალები. მემარჯვენეებს იმედი აქვთ, რომ პალატაში არ დაისმება საკითხი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ და რეფორმა დასამარებულ იქნება მრავალი კონტრ-პროექტების შეტანით. (ადს).

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის კონფერენცია

ლონდონი, 11 თებერვალი. კვირას, კარდიფში შესდგა მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო მუშათა პარტიის და პროკავშირთა 36 ადგილობრივი ორგანიზაციის 45 დელეგატი.

კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვს, რომ კომუნისტებს უნდა მიეცეთ საშუალება მიიღონ სრულუფლებიანი მონაწილეობა მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში. (ადს).

ფაშიზმის წინააღმდეგ

ბერლინი, 11 თებერვალი. იტალიის კათოლიკური პარტიის ყოფილი დეპუტატი, გლეხთა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ბელადი და გლეხთა ინტერნაციონალის წევრი **მილიოლი**, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში შეეხო იტალიის შრომის ფედერაციის ბელადებსა და მუსოლინის შორის მომხდარ შეთანხმების შედეგებს და განაცხადა:

„ის ფაქტი, რომ შრომის კონფედერაციის ბელადებმა ქედი მოიხარეს ფაშიზმის წინაშე, არ უნდა იქნეს გადაჭარბებით შეფასებული. **ამ ბელადებს შორის ზოგიერთებმა უკვე დიდი ხანია** უღალატეს მუშათა მოძრაობას ასე, რომ ახალი გამცემლობა მათი მხრივ დიდათ არ უნდა გაგვიკვირდეს. **იტალიელი მუშები და გლეხები-კათოლიკები და სოციალისტები თვითონვე ჰქმნიან ერთიან ფრონტს და დიდათ ანგარიშს არ უწევენ კონფედერაციის ბელადებს.** პროლეტარიატის მთლიანობა, რომელიც აუცილებელია ფაშიზმთან ბრძოლისათვის, არსებობს. მუშები და გლეხები ამჟამად ცდილობენ ისეთი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ყველაზე უფრო უკეთ გამოდგებოდა ფაშიზმთან ბრძოლისათვის“. (ადს).

სადულის საქმე

პარიზი, 12 თებერვალი. **სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გარჩეულ იქნა სადულის საჩივარი მისი ვექილთა წოდებიდან გამორიცხვის შესახებ. აპელაციური სასამართლოს პროკურორმა შერდლენმა თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ დადგენილება სადულის გამორიცხვის შესახებ დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა გადადებულია 18 თებერვლისათვის (ადს).**

აჯანყება პორტუგალიაში

ლისაბონი, 11 თებერვალი. უკანასკნელ ცნობების მიხედვით პორტუგალიაში აჯანყება ჩაქრობილია. აჯანყებულები დანებდენ მთავრობას. ლისაბონში სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა. ქალაქს ყუმბარებს უშენდენ სამხედრო გემებიდან და ჰაეროპლანებიდან. დანგრეულია მრავალი შენობა. დაიწყო დაპატიმრება. აჯანყებულთა ნაწილი გაიქცა ლისაბონიდან, ნაწილმა თავი შეაფარა უცხოელთა გემებზე. (ადს).

ნადავლს იყოფენ

ლონდონი, 11 თებერვალი. პარიზში ესპანეთის და საფრანგეთის მთავრობას შორის დაიწყო მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ტანჟერის ოლქი, რომელიც მდებარეობს აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირზე. ესპანეთი მოითხოვს ოლქის გადაცემას მისთვის, საფრანგეთი ამაზე არ თანხმდება. (ადს).

ვილჰელმს სურს

ბერლინში დაბრუნება

ბერლინი, 11 თებერვალი. პრუსიის ფინანსთა მინისტრ დ-რ გეპკე-ამოფთან გამოცხადდა ვილჰელმ მეორის ყოფილი გოფმარშალი გრაფი პლატენი და განაცხადა, რომ ის „კაიზერ ვილჰელმის სახელით მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნეს განთავისუფლებული მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებების კანცელარიებისაგან ვილჰელმის სასახლე „უნტერ-დენ-ლინდენზე“ გრაფმა პლატენმა განაცხადა, რომ დოორნიდან *) მიღებული ბრძანებით სასახლე შეკეთებული და გადაკეთებული იქნება ისე, რომ ის გამოდგეს საცხოვრებლად. სასახლეში პირველად გადმოსახლდება ვილჰელმის ცოლი—პრინცესა გერმინა.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ „...დედოფალ“ გერმინას გადმოსახლება ბერლინში წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ვილჰელმის დიდი ხნის განზრახვის—სამშობლოში დაბრუნების შესახებ—განხორციელების გზაზე (კ. გ.).

---

*) დოორნი—ქალაქია ჰოლანდიაში, სადაც ცხოვრობს ვილჰელმი. რედ.

იაპონიაში

ორი მატარებელი თოვლ ქვეშ.

ტოკიო, 11 თებერვალი. იაპონიის ჩრდილოეთ ნაწილში ძლიერი ქარბუქი მძვინვარებს. ზვავებმა დაანგრია მრავალი შენობა, დაიღუპა 40-მდე კაცი, დასახიჩრებულია რამოდენიმე ათეული. ორი მატარებელი რამოდენიმე ასეული მგზავრით დამარხულია თოვლს ქვეშ. მგზავრების გადარჩენაში მონაწილეობას იღებენ ჯარის ნაწილები (ადს).

შეთანხმდენ.

ტოკიო, 11 თებერვალი. ბიუჯეტი, რომელიც მიიღო ქვედა პალატამ, წარმოადგენს იმ შეთანხმების შედეგს, რომელიც მიღწეულ იქნა მთავრობის პარტია „კენსეკაის“ და „სეიუკაის“ და „სეიუხონტოს“ პარტიებს შორის. ამ შეთანხმების შედეგათ „სეიუკაი“ და „სეიუხონტო“ ფაქტიურად აღარ წარმოადგენენ ოპოზიციურ პარტიებს და მხოლოდ ცდილობენ პალატაში წარდგენილ თვითეულ კანონპროექტისაგან მიაღწიონ თავისთვის ეკონომიურ უპირატესობებს (ადს).

შეტაკება ფაშისტებთან.

ტოკიო, 11 თებერვალი. ფუკუშიმას პროვინციაში ივატის მაღაროებში გაფიცულია რამოდენიმე ასეული სამთამადნო მუშა. ფაშისტურ ორგანიზაციებმა სცადეს გაფიცულების შეცვლა შტრეიკბრეხერებით, რამაც გამოიწვია შეტაკება. ორივე მხრიდან არიან დაჭრილები, დაპატიმრებულია ბევრი მუშა (ადს).

დაქტილოსკოპიის, ძაღლების და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან საბჭოთა აპარატში უპირველეს ყოვლისა გულისხმობს აპარატის რაციონალიზაციას, საქმის გაჭიანურების ელემენტებისთავიდან აცილებას, ზედმეტ და უსარგებლო საფეხურების გაუქმებას, ერთგვარ ორგანიზაციების გაერთიანებას და სხ. ჩვენი აპარატი ძველებურად მუშაობს. ჩვენში კიდევ არ განმტკიცებულა აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია აპარატის გარდაქმნა, მისი დაახლოვება მშრომელთა ფართო მასებთან. საინტერესოა, რომ ყოველ საღ აზრს სასტიკი წინააღმდეგობას გაუწევს მთელი აპარატი, კომუნისტები კი რომელნიც სხედან აპარატში და ხელმძღვანელობენ მას, ხშირად ამ აპარატის ტყვეობაში იმყოფებიან. როცა პრესაში გამოქვეყნდა ამხ. კარაევის წერილი, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი აზრი სერიოზულად შეშფოთდა. აპარატის გამარტივების საკითხის დასმაში,ხომ არარის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვა! არ შეიძლება რომ „დიდებიდან“ დავიწყოთ და არა „პატარიდან“ რასაკვირველია, გამარტივება უნდა მოვახდინოთ ყველგან, სადაც ეს აუცილებელია. მაგალითად, ამიერ-კავკასიის ცაკის და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ტეხნიკური აპარატების გაერთიანება წინასწარი გამოანგარიშებით მოგვცემს 30 ათას მან. მეტს მომჭირნეობას წელიწადში და ამის გარდა თავიდან აგვაშორებს ზედმეტ მიმოწერას, საქმის გაჭიანურებას და სხ. უნდა შევიგნოთ, რომ აპარატის გამარტივება არ ზღუდავს ავტონომიურ მოკავშირე რესპუბლიკების და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ცალკე კომისარიატების უფლებებს, მისი საშუალებით გადავანარჩუნებთ თანხებს, რომელნიც აუცილებელია იმავე რესპუბლიკებისათვის, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად. მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს.

ვის უზრუნველჰყოფს სოციალური უზრუნველყოფა

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს განზრახული აქვს, რომ 1926—27 წელში შემდეგნაირად გაანაწილოს თავისი თანხები: სამუშაო ხელფასისათვის სოცდაზღვევით—25.160 მანეთი, სამეურნეო ხარჯებისათვის—16.109 მან. **სულ 41.269 მან., პენსიების გასაცემად კი—76.652 მან.** 141,595 მანეთიდან აპარატის შესანახად უნდა დაიხარჯოს **41.269 მან.** იბადება კითხვა: ვის „უზრუნველყოფს“ საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი. განა საჭიროა, განა მიზანშეწონილია, 441 ათას მან. მეტის დახარჯვა 70 ათასი მანეთის გასანაწილებლად? მაპატიონ ამხანაგებმა სოცდაზღვევიდან, მაგრამ ეს მეტად სასაცილო ამბავია. განა უკეთესი არ იქნება გაუქმდეს ისეთი კომისარიატი, რომელიც უზრუნველჰყოფს თავის თანამშრომლებს და ცაკთან ვიქონიოთ პატარა აპარატი, რომელსაც ადვილად შეეძლება 76.652 მან. განაწილება წელიწადში. ალბად, უკეთესი მდგომარეობა არ არის აზერბეიჯანისა და სომხეთის სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატებშიაც.

უფრო საინტერესოა სურათი ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატებში. **აფხაზეთი.** განზრახულია, 1926—27 წელში 14.565 მანეთიდან აპარატის შესანახად დაიხარჯოს **9.729 მან.**, პენსიებისათვის კი დარჩეს მხოლოდ **4.836 მან.** ვის უზრუნველჰყოფს აფხაზეთის სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი? კომენტარიები ზედმეტია.

აჭარა. იქაც არის სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი. საერთო სენია. თუ სადმე არსებობს კომისარიატი, რატომ არ უნდა იყოს იგი აჭარაში, ნახჩევანის მხარეში, ოსეთში და სხ.

განა უნდა არსებობდეს ისეთი კომისარიატი, რომელიც 13.929 მანეთიდან აპარატის შენახვაზე ხარჯავს 7.291 მან.; ანაწილებს კი მხოლოდ 6.098 მან.

სამხრეთ-ოსეთი. 5.989 მანეთიდან აპარატს შენახვაზე იხარჯება **3.764 მან.**

მთელ საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ყველა კომისარიატები აპარატის შენახვაზე ხარჯავენ—62.053 მან., ანაწილებენ კი მხოლოდ 39.811 მანეთს.

ციფრები თვითონ ლაპარაკობენ. იბადება საკითხი: რით იქნება შელახული ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, თუ ის თანხები. რომლებსაც ნთქავს აპარატი, უფრო მეტის რაოდენობით და უფრო მიზანშეწონილად განაწილდება ინვალიდებსა, რევოლიუციისათვის მებრძოლთა ოჯახებსა და სხვ. შორის.

დასკვნა: უნდა ვიფიქროთ ზედმეტი აპარატის გაუქმების შესაძლებლობაზე და თანხების მიზან-შეწონილად განაწილებაზე. საჭიროა მომჭირნეობა. მომჭირნეობა საჭიროა მრეწველობისა და სასოფ.-მეურნეობის განვითარებისათვის.

შინსახკომის, ძაღლების, კომუნალური მეურნეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმაც, როგორც ეს ჩვეულებად არის, გააფართოვა თავისი აპარატი. საქართვ. შინსახკომთან არის (ალბად სხვა შინსახკომებთანაც) სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია. 1926—27 წელში ამ განყოფილებამ აპარატის შენახვაზე და სხვა ხარჯებისათვის უნდა გაიღოს—**21.820 მანეთი.**

იბადება საკითხი: რისთვის ესაჭიროება საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელიც არ აწარმოებს და არც უნდა აწარმოებდეს ოპერატიულ მუშაობას, რომ ჰყავდეს აგენტები, დაქტილაკონისტები, ფოტოგრაფები და ძაღლები. შტატში სწორედ ასეა ნათქვამი: მუშები ძაღლების მოსავლელად.

რა უნდა აკეთონ ძაღლებმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში? არის ცნობები, რომ არიან მუშები ძაღლების მოსავლელად, ყოველ შემთხვევაში ხარჯთ-აღრიცხვით ეს ხარჯები გათვალისწინებულია მაშინ როცა, **ძაღლები ჯერ ჯეროვნით არ მოიპოვებიან.**

თითქოს მათ სადღაც „ანათხოვრებენ“ ჩვენ გვგონია, რომ შინ. საქ. სახ. კომისარიატს შეუძლია საქმე გააკეთოს უძაღლოთ, უფოტოგრაფებოთ, უაგენტებოდ, უდაქტილაკონისტებოდ და სხვა ისტების უმისოდ, რომელნიც წლიურად 21.820 მანეთზე არც მეტს, არც ნაკლებს არ ნთქამენ. იმისათვის, რომ საქართველოში მოწესრიგდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ძიების საქმე, ჩვენის აზრით, საკმაოა ორი-სამი თანამშრომელი ყოველგვარ ძაღლების და ფოტოგრაფების გარეშე.

ბოდიშს ვიხდი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, მაგრამ არასოდეს არ მიფიქრია, რომ აპარატის რაციონალიზაციის და განმარტივების მიზნით შესაძლებელი და საჭირო არამარტო ადამიანების, არამედ ძაღლების შემცირებაც.

შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებობს საზოგადოებრივი **წესრიგის დაცვის განყოფილებაც.**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ცხადია, კარგი საქმეა, მაგრამ არის თუ არა მიზანშეწონილი ამ განყოფილებაზე დაიხარჯოს (ოპერატიულ მუშაობას აწარმოებენ ადმასკომები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მხოლოდ აწესრიგებს და უწევს საერთო ხელმძღვანელობას) ყოველწლიურად 30.195 მანეთი სახალხო ფული. რისთვის ზის მაგალ. ამ განყოფილებაში სისხლის სამართლის მილიციის 12 თანამშრომელი რისთვის მზადდება დაქტილოფოტო ქონება. („მადლობა ღმერთს“, რომ აქაც არა ჰყავთ ძაღლები) და სხვა.

ან და ამავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მოწყობილია კომუნალური მეურნეობის განყოფილება, რომელიც ნთქავს აგრეთვე ათეულ ათასს მანეთს. რა უნდა აკეთოს ამ განყოფილებამ? რა საქმე აქვს მას? ხარჯავს ფულებს, აცდენს სხვებს, სწერს ზედმეტ ქაღალდებს, ღებულობს ანგარიშების ასლებს; ალბათ იმიტომ, რომ სხვა საქმე არაფერი აქვს (განა ჩვენ ქალაქებში კომუნალურ განყოფილებათა ისე გძელი ქსელი გვაქვს, რომ კომუნალურ საკითხების მოსაწესრიგებლად ზედმეტი ათასები ვხარჯოთ?) იწვევს თათბირებს და სხვა.

თუ რამდენი მანეთის დაზოგვა შეიძლება მხოლოდ მარტო შინაგან საქმეთა კომისარიატში, დე ამის შესახებ თავისი სიტყვა სთქვან თვით ამხანაგებმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან!

ვამცირებთ იქ, სადაც საჭირო არ არის შემცირება

ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. ასეთი მაგალითები ასობით არის. ჩვენ რომ აპარატის რაციონალიზაციის, მისი განმარტივების, შემცირების საკითხში ნაკლები სიზანტე, დაუდევრობა ან უფრო რბილად რომ ვსთქვათ, უფრო ნაკლები გულგრილობა გამოგვეჩინა, ჩვენ მართლაც დავზოგავდით ასეულ ათასს მანეთს. როცა ისმება საკითხი მომჭირნეობის შესახებ, ჩვეულებრივ მახვილს ქვეშ ხვდება განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები. ჩვენ ვხარჯავთ ათეულ ათასს მანეთს, რომელსაც თუ ბოროტად არა, დაუზოგველად ნთქამს აპარატი, ამავე დროს კი ალაგ-ალაგ ვხურავთ სკოლებს და საავადმყოფოებს, ან ისეთ მდგომარეობაში გვყავს ჩაყენებული ისინი, რომ პირდაპირ დაუშვებელია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

ჩვენ ვლაპარაკობთ სკოლებსა და საავადმყოფოებზე და არა განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების აპარატებზე, რომელთაც საჭიროა მოხვდეს აგრეთვე რაციონალიზაციის „ბოროტი“ და „დაუნდობელი“ თვალი.

საეჭვო და სათუო არ არის ის, რომ ჩვენ შევსძლებთ ასეული ათასი მანეთის დაზოგვას, თუ სასტიკი ბრძოლას გამოუცხადებთ ჩვენებურ „ობლომოვშჩინას“, აპარატულ გატაცებას, ჩინოვნიკურ თვითკმაყოფილებას და გაბედულად მოვკიდებთ ხელს აპარატის გადაკეთებას ძალღონის, ენერგიის, ნებისყოფის, გულმოდგინეობას ფოტოგრაფების და ძაღლების დაუზოგველად.

რუბენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის კაბინეტის კრიზისი

ვარშავა, 12 თებერვალი. სეიმმა კენჭის ყრის დროს უარჰყო კრედიტები პოლონეთის წარმომადგენლობის (ერთა ლიგაში) შესანახ ხარჯებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა სეიმმა შეამცირა 1.100.000.000 ზლოტით.

ამ კენჭის ყრის შედეგების გამო მოსალოდნელია პოლონეთის კაბინეტის კრიზისი. (ადს).

მიწისძვრა ჩიტაში

ჩიტა, 12 თებერვ. 11 თებერვალს, დაახლოვებით, 8 საათზე ქალაქში მოხდა საგრძნობი მიწისძვრა, რომელსაც თან სდევდა მიწის გუგუნი. ბიძგები გაგრძელდა დაახლოვებით ნახევარ წუთს. შენობები დაუზიანებელია. (ადს).

ა.-კ ფედერაცია

ერთა ლიგის სესია

ბერლინი, 11 თებერვ. ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სხდომის მოწვევა განზრახულია 7 მარტისათვის. (ადს)

ცენზურის გაძლიერება გაზეთებზე

ვენა, 12 თებერვ. ტახტის მემკვიდრეობის შესახებ წერის აკრძალვის გამო რუმინეთში კვლავ გაძლიერდა საგაზეთო ცენზურა.

წარსულ კვირიდან ყველა სტამბებში დაყენებულია ყარაულები და გაზეთების გადაგზავნა სწარმოებს მხოლოდ სამხედრო პროკურორის ნებართვით. (ადს).

ბესარაბიის ანტისანიტარული მდგომარეობა

ვენა, 12 თებერვ. „ადევერული"-ს ცნობით, დნესტრის მახლობლად მდებარე 40 დაბაში გამოცხადებულია ტიფის საწინააღმდეგო კარანტინი ბესარაბიის სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამო.

კულიჯის წინადადება უარყოფილი იქნება

ლონდონი, 12 თებერვ. ინგლისის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ კულიჯის წინადადების განხილვა ახალ კონფერენციაზე საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ ბევრ დროს უნდა ელოდეს. სადმირალო, უეჭველია, მაქსიმალურ ზეგავლენას მოახდენს, რომ შეინარჩუნოს ინგლისის ფლოტის საკრეისერო ესკადრა. ეს გარემოება და აგრეთვე ის, რომ საფრანგეთს არ სურს წყალქვეშა ნავების სრიცხვის შეზღუდვა, შესაძლებლად ხდის კულიჯის წინადადების უარყოფას. (ადს).

„შანხაის დამცველი კორპუსის" შესანახად

ლონდონი, 12 თებერვ. ამ მოკლე ხანში ინგლისის პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილი იქნება „შანხაის დამცველი კორპუსის" შესანახი ხარჯების დამატებითი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 1 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ეს თანხა მოხმარდება მხოლოდ წინასწარი ხარჯების დაფარვას. (ადს).

მაკდონალდი არ სცხრება

ლონდონი, 12 თებერვ. შოტლანდიის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო „ფორვარდ"-ში გამოქვეყნებულია მაკდონალდის წერილი.

მაკდონალდი სასტიკად ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ არჩევდა განხეთქილებას მუშათა პარტიაში, ვიდრე ამ „საზიზღარ ხალხთან" შერიგებას. (ადს).

უმუშევრობა საფრანგეთში

პარიზი, 12 თებერვ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შრომის ყოფილმა მინისტრმა დიურაფურმა განაცხადა, რომ წლევანდელმა უმუშევრობამ საფრანგეთში გადააჭარბა 1921 წლის უმუშევრობას. მთავრობისაგან განზრახული საზოგადოებრივი სამუშაოები ხელფასის იმ მილიარდ ფრანკსაც ვერ ანაზღაურებენ, რომელსაც ყოველთვიურად ჰკარგავენ უმუშევრები. უმუშევრებისათვის გაღებული დახმარება სრულიად საკმაო არ არის. (ადს).

დემონსტრაცია ლონდონში

ლონდონი, 12 თებერვალი. დღეს ლონდონში მოხდა დემონსტრაცია ლოზუნგით: „მშვიდობიანობა ჩინეთში". დემონსტრაციას დაესწრო 15.000 მუშა. დემონსტრაცია მოაწყო დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ ინგლისის კომპარტიის აქტიურ მონაწილეობით.

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა და მათ შორის ლენსბერიმ წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებშიაც მოითხოვდნენ ინგლისის ჯარების გამოწვევას ჩინეთიდან. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ხიკსი და გომინდანის წარმომადგენელი. (ადს).

რწმუნების სიგელის ჩაბარება.

რომი, 12 თებერვალი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ კამენევმა მეფეს ჩააბარა რწმუნების სიგელი (ადს).

პოლიტპატიმრების შიმშილობა.

ვენა, 12 თებერვალი. უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიის წევრები, რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ დემონსტრაციის დროს პარლამენტის შენობასთან, მეექვსე დღეა შიმშილობენ. შიმშილი მათ გამოაცხადეს პროტესტის ნიშნად პოლიციის წინააღმდეგ, რომელიც საშინელ სიმკაცრეს იჩენს პატიმრების მიმართ (ადს).

ვენა, 12 თებერვალი. პოლიტიკური პატიმრები, რომელნიც ბულგარეთის ქვამარილის მაღაროებში მუშაობენ, მესამე კვირაა შიმშილობენ. მათი მოთხოვნილებაა, რომ მოხსნან ბორკილები მუშაობის დროს. ბევრი მათგანი მძიმე ავადმყოფია და მათ სიცოცხლეს საფრთხე ელის შიმშილის გამო (ადს).

სიკვდილით დასჯა.

პარიზი, 12 თებერვალი. საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ მაროკოში სიკვდილით დასჯა მიუსაჯა საფრანგეთის ლეგიონის ყოფილ ოფიცერს კლეგს, რომელიც 1922 წ. აბდ-ელ-კერიმის მხარეზე გადავიდა და შტაბის უფროსის თანამდებობა ეჭირა მასთან. შემდეგ კლეგი ფრანგებს გადასცა ერთი ადგილობრივი ტომის უფროსმა, რომელმაც დიდი ჯილდო მიიღო (ადს).

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.

პარიზი, 12 თებერვალი. 12 თებერვალს პარიზში გაიხსნება მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.

განსახილველად დასმულია შემდეგი საკითხები: ომის საფრთხე ჩინეთში, მექსიკაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, დემოკრატიის ბრძოლის საშუალებანი პოლიტიკური დევნის წინააღმდეგ ((ადს).

პოლონეთის სეიმის არჩევნების გადადება

ვარშავა, 11 თებერვალი. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში კვლავ გავრცელდა ხმები, რომ მთავრობას განზრახული აქვს გადასდოს სეიმის არჩევნები.

სოც. დემოკრატები ეხმარებიან ფაშისტებს

რიგა, 11 თებერვალი. „სლოვო" იუწყება, რომ ლეიტენანტი ოლინი, რომელიც ცდილობდა ფაშისტური გადატრიალება მოეხდინა ველგარში, განთავისუფლებულ იქნება. (ადს).

ფაშისტი—მინისტრი მთავრობაში რჩება

ბერლინი, 11 თებერვალი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ რეისხტაგმა 218 ხმით 163 ხმის წინააღმდეგ უარყო წინადადება შინაგან მინისტრის ფონ-კეიდელისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

კენჭის ყრის წინ მარქსმა განაცხადა, რომ კეიდელის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლო აღმოჩნდა. (ადს).

ანტი-იმპერიალისტური კონგრესი

ახალი ომის წინააღმდეგ

ბერლინი, 11 თებერვალი. „კოლონიალურ ერების ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგის" კონგრესზე ბრიუსელში გომინდანის წარმომადგენელმა ლიაუმ განაცხადა: იმპერიალისტების მთლიან ფრონტს უნდა დაუპირდაპირდეს კოლონიალურ ერების პროლეტარიატის და გლეხობის მთლიანი ფრონტი. მე მივესალმები საბჭოთა კავშირს დაჩაგრულ ერების საუკეთესო დამცველს".

სრულიად-ინდოეთის ნაციონალურ კონგრესის წარმომადგენელმა ჯავახარმა განაცხადა: „ინდოელ ჯარისკაცებს აგზავნიან სხვა ერების წინააღმდეგ საომრად, ამიტომ ინდოეთის განთავისუფლება არის არა მარტო ინდოელების საკითხი.

კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. კატაიამამ განაცხადა: „კაპიტალისტური ქვეყნების მუშებმა უნდა იბრძოლონ იმპერიალისტების წინააღმდეგ. მსოფლიო ომი იმპერიალიზმის დამარცხება იყო, ეხლა მზადდება ახალი ომი. ინდოეთი და ჩინეთი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა გამოვიდნენ ბრძოლაში. (ადს).

ბერლინი, 12 თებერვალი. ანტი-იმპერიალისტური კონგრესის 11 თებერვლის სხდომას თავმჯდომარეობდა **ედო ფიმენი**.

ხანკოუდან ჩამოსულმა ჩინეთის პროფკავშირების წარმომადგენელმა **ჩენ-ჩუმმა** განაცხადა:

ჩინეთის რევოლიუციაზე ლაპარაკის დროს, იმპერიალისტები ყოველთვის ახსენებენ საბჭოთა კავშირს. რუსეთის რევოლიუცია და კოლონიალური რევოლიუციები მართლაც განუშორებელნი არიან ერთი მეორესთან. კოლონიების განთავისუფლების მომხრე არ შეიძლება საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე იყოს.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა **ლედებური**, იმპერიალისტების კოლონიალური პოლიტიკის შესახებ. განიხილა რა დაწვრილებით რევოლიუციონური მოთხოვნილებები კოლონიალურ საკითხზე, ლედებურმა მხარი დაუჭირა დაჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, სამანდატო სისტემის გაუქმებას, ინტერვენციის საწინააღმდეგო ბრძოლას ტრანსპორტის მუშების გაფიცვისა და საყოველთაო გაფიცვის საშუალებით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ეგვიპტის, ინდონეზიის, ჩრდილოეთ ამერიკის და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლებმა.

კონგრესის 12 თებერვლის სხდომაზე მოსმენილ იქნება **ფიმენის** და **გოლდ-შმიდტის** მოხსენებები, ახალშენების გამანთავისუფლებელი მოძრაობისა და მუშათა კლასის სოლიდარობის შესახებ.

13 თებერვლის სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავს **ლედებური** „იმპერიალიზმისა და ომის საფრთხის" შესახებ, რომლის შემდეგაც კონგრესი დაიხურება.

რა ხდება უცხოეთში

ვინ არის მუსოლინიზე ძლიერი

ამ რამოდენიმე ხნის წინათ იტალიის ფაშისტური მთავრობა გადაიქცა ბრძოლის ასპარეზათ მუსოლინისა და თამბაქოს მონოპოლიას (ტრესტს) შორის. თუმცა თამბაქოს მონოპოლია ოფიციალურად არ იყო წარმოდგენილი მთავრობაში, მაგრამ მის ინტერესებს იცავდა ფაშისტ-მინისტრების ერთი ჯგუფი.

ბრძოლის საგანს წარმოადგენდა საკითხი—აეკრძალათ თუ არ აეკრძალათ ქალებისათვის თამბაქოს მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში. მუსოლინი, რომელიც ხშირად გამოდის „თავისი ხალხის" „ზნეობრივი სიწმინდის" დამცველის როლში, მოითხოვდა აკრძალვას, თამბაქოს მონოპოლია კი აკრძალვის წინააღმდეგი იყო. მუსოლინი, რომელიც ქალების მიერ თამბაქოს წევის წინააღმდეგ ილაშქრებდა, პოპულიარობას ეძებდა წვრილ-ბურჟუაზიულ მეშჩანურ წრეებში. თამბაქოს მრეწველები ძლიერ შორს იყვნენ ასეთ „იდეალურ მისწრაფებათაგან" და ფიქრობდნენ მხოლოდ თავიანთ ჯიბეებზე. მუსოლინის სურდა დაემტკიცებია, რომ ის „დამოუკიდებელია" კაპიტალისაგან, უკანასკნელის წარმომადგენლები კი „მორცხვად" ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალის ინტერესები—უმაღლესი კანონი უნდა იყოს მთავრობისათვის.

მუსოლინის ბრძოლამ თამბაქოს მონოპოლიასთან საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ფაშისტები და არა ფაშისტები დაობდნენ: ვინ ვის? ვინ არის მუსოლინიზე უფრო ძლიერი?

ბრძოლა მინისტრთა საბჭოში დამთავრდა მუსოლინის.... მოულოდნელი დამარცხებით. ფაშისტური მთავრობის უმრავლესობა თამბაქოს მონოპოლიის ინტერესების დამცველი აღმოჩნდა.

ამ გადაწყვეტილების დედა-აზრი მეტად მარტივია. იქ, სადაც ლაპარაკია ბურჟუაზიის ჯიბის ინტერესებზე, ყოველგვარი „ზნეობრივი მოსაზრებები" უკან იხევენ. ბურჟუაზია სიამოვნებით მიყვება მუსოლინის, როცა ის ილაშქრებს მუშათა კლასისა და მისი ორგანიზაციების წინააღმდეგ. ბურჟუაზია მხურვალედ ესალმება „დუჩეს" (ასე უწოდებენ ფაშისტები მუსოლინის), როცა ის სპეკულიაციას ეწევა წვრილი ბურჟუაზიის ნაციონალისტურ და იმპერიალისტურ ინსტინქტებზე. მაგრამ იგივე ბურჟუაზია ლაგამს სდებს „საყვარელ დუჩეს". როცა ის დემაგოგიური მოსაზრებებით პოპულიარობის მოხვეჭას ლამობს კაპიტალისტების ჯიბის ხარჯზე. ასეთ შემთხვევებში „მრისხანე" მუსოლინი ლმობიერი ხდება და მიდის დათმობებზე. მისმა „ბრძოლამ" თამბაქოს მონოპოლიასთან ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

ქალთა სამხედრო ორგანიზაცია ფინეთში

ბურჟუაზია სარგებლობს ყოველგვარი საშუალებებით თავისი პოზიციების გასამაგრებლათ „წითელ საშიშროებასთან" ბრძოლაში. ფინეთის ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ მთელი რიგი სამხედრო ორგანიზაციები. მთავარი მათ შორის არის ფაშისტური ორგანიზაცია „ფინეთის დაცვის საზოგადოება" და ნახევრად ფაშისტური სამხედრო ორგანიზაცია „შიუცკორების", რომელიც ჯერ კიდევ 1918 წ. დაარსდა.

ამ ორგანიზაციებში ითვლება ათეული ათასი წევრი, უმთავრესად წვრილი ბურჟუაზიისა და კულაკების წრიდან. ორგანიზაციები მოწყობილი არიან მოხალისეთა არმიის საფუძვლებზე. „შიუცკორების" არმია შესდგება: ქვეითა ჯარიდან, საიმედო ნაწილებიდან, არტილერიიდან, მოტორებიანი ნავების ფლოტიდან და მის განკარგულებაშია აგრეთვე სამხედრო აეროპლანები.

ასეთი ორგანიზაციები არსებობენ დასავლეთ-ევროპისა და ბალტიის სხვა სახელმწიფოებშიც. მაგრამ ფინეთისათვის დამახასიათებელია ქალთა სამხედრო ორგანიზაციის არსებობა. ამ ორგანიზაციას ეწოდება „ლოტტა სვერდ" (ლოტტა სვერდ—ფინელი გმირი ქალი, რომელიც ებრძოდა რუსებს 1808 წ. განმანთავისუფლებელი ბრძოლის დროს). იგი აერთიანებს 200.000 წევრს. კავშირის წევრები სამხედრო მზადებას გადიან ბანაკებში. მათი ცხოვრება მანევრების დროს არაფრით არ განირჩევა ჯარისკაცების ცხოვრებიდან. კავშირი უმთავრესად ბურჟუაზიულ ელემენტებისგან შესდგება. კავშირში არის ოთხი სექცია: სანიტარული, საველე სამზარეულოების, შეიარაღების და არმიისათვის ფულადი დახმარების მომკრები.

„ლოტტა სვერდ" დაარსდა 1918 წ., როცა ფინეთის ბურჟუაზიამ უცხოელთა დახმარებით სისხლში ჩაახრჩო ფინეთის მუშების რევოლიუციონური მოძრაობა.

თავის წმინდა კლასობრივ ამოცანებს „ლოტტა სვერდ" ფარავს ფარისეველური ფრაზებით თავისი „კულტურულ-განმანათლებელი მისიის" შესახებ. ნამდვილად კი „ლოტტა სვერდ" ავრცელებს ნაციონალისტურ და მილიტარისტულ იდეებს.

ინგლისის ბურჟუაზიის „გართობის პოლიტიკა"

უკანასკნელ ხანებში ინგლისის ბურჟუაზია დიდ ყურადღებას უთმობს მუშათა კლასის გართობის საკითხებს და ცდილობს გამოიყენოს გასართობები მუშათ კლასის მოსაქცევად თავისი გავლენის ქვეშ. ბურჟუაზიის გეგმები ამ მხრივ ძლიერ შორს მიდის. ამ გეგმების ინიციატორები მათ იმით ასაბუთებენ, რომ გართობა ავიწყებს მუშებს პოლიტიკას და ამრიგათ ხელს უწყობს მწარმოებელთა მოგების ზრდას. მუშათა გართობის საკითხებს ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის დროს. ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენებაში გათვალისწინებული იყო სპეციალური ფონდის დარსება მუშებისათვის გასართობების მოსაწყობათ. მოხსენება ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ასეთი ღონისძიებები „სასარგებლო" იქნება მრეწველობისათვის.

პროფკავშირების რეფორმისტული ლიდერები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მწარმოებლების ამ ახალ პოლიტიკას. მრავალი მათგანი კიდეც ესალმება მას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „გართობის პოლიტიკის" გატარება ბურჟუაზიამ დაიწყო მრეწველობის იმ დარგებში, სადაც არ არსებობენ პროფკავშირები ან არსებობენ, მაგრამ სუსტი არიან, მაგ. წუმწუმის, საპნის, მზა ტანისამოსის და სხვ. ფაბრიკებში.

პირველად ბურჟუაზიის ამ „გართობითი" პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა მერი ქვეილმა (რომელმაც 1925 წ. ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციასთან ერთად ინახულა საბჭოთა კავშირი). ბრისტოლში ქალთა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში მერი ქვეილმა აღნიშნა, რომ ბურჟუაზია მიზნად ისახავს დაავიწყოს მუშათა კლასს კლასობრივი ბრძოლა, მოაქციოს პროლეტარიატი თავის გავლენის ქვეშ. მუშებმა უნდა დაიცვან პროფკავშირები ბურჟუაზიის „გართობითი" პოლიტიკის გამხრწნელი გავლენისაგან.

ტ. ა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 12 თებერვ. 1927 წლის 10 პროცენტიანი ახალი სესხის პირველი ტირაჟი მოხდება 15 მაისს, მეორე—15 აგვისტოს და მესამე—15 ნოემბერს. თვითეულ ამ ტირაჟში გათამაშდება 4.001 მოგება 700.000 მან. რაოდენობით. მოგებათა შორის იქნება 1 მოგება — 50.000 მან., 2—25.000 მანეთიანი თითო, 5—10.000 მან. თითო, 10—5.000 მან. თითო, 71—1.000 მან. თითო, დანარჩენი—250 და 100 მანეთიანი. (ადს).

ახალი გემების აგება

ლენინგრადი, 12 თებერვალი. პუტილოვის გემთასაშენებლო ქარხნებში დაიწყო 6 უზარმაზარი საყინულე გემების აგება. გემები შენდება იმ ტვირთების გადასაზიდად ლენინგრად-ლონდონს შუა, რომელიც მალე ფუჭდება.

საცალო ფასების შემცირება.

მოსკოვი, 12 თებერვალი. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასების დაახლოვებისა და მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის გაძლიერების მიზნით, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს—გაატარონ საცალო ფასების შემცირება შემდეგ საქონელზე: ბამბაზე, ბამბისა და ტრიკოტაჟულ საქონელზე. კამვოლის და სელის ნაწარმოებზე, სალებავი მრეწველობისა და ელექტრონაწარმოებზე.

ფასების შემცირებას ტრესტები ატარებენ 15 თებერვლიდან საშუალოდ 5—30 პროცენტით, ელექტრონაწარმოების გარდა, სადაც შემცირება 70 პროცენტამდე აღწევს. უკეთუ ამ შემცირებას არ გაატარებენ სამეურნეო ორგანოები, პასუხისგებაში იქნება მიცემული ამ ორგანოების ხელმძღვანელი პერსონალი (ადს).

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი.

მოსკოვი, 12 თებერვალი. საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა 12 თებერვალს. პლენუმმა პრეზიდიუმს დაავალა მოიწვიოს პლენუმი საბალანსო ქვეკომისიის და დირექტივების კომისიის მუშაობის დასამტკიცებლად (ადს).

შავი ლითონები

მოსკოვი, 12 თებერვ. შრომის და თავდაცვის საბჭომ აკრძალა შავი ლითონების ნამტვრევების გატანა საზღვარგარეთ, და აგრეთვე უვარგის გემების გაყიდვა საზღვარგარეთ.

შავი სიები

ოდესა, 12 თებერვ. იყო შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უფლება მოკლებულმა მოქალაქეებმა ჩამოგლიჯეს ქუჩებზე გაკრული შავი სიები.

საარჩევნო კომისიამ დაადგინა პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი.

500.000 მანეთი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის

მოსკოვი, 12 თებერვალი. მიმდინარე წელს მიწათმოქმედების კომისარიატს ეძლევა 500 ათასს მანეთზე მეტი—მესაქონლეობის, მებოსტნეობის, მეფუტკრეობის და ბრინჯის მეურნეობის განსავითარებლად. ამ თანხის ნაწილი მოხმარდება ასტრახანის სარწყავების გაფართოვებას.

ავიოგემი

კრასნოიარსკი, 12 თებერვალი. სახელმწიფო გემთა სამმართველომ დაიწყო გლისერის აგება. გლისერი არის გემი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს პროპელერს). გემი შენდება ციმბირის ჩრდილოეთ მხარების სასწრაფო მიმოსვლისათვის.

ვინ აშენებს „დნეპროსტროის"

მოსკოვი, 12 თებერვალი. დნეპრის ჰიდროელსადგურის მშენებლად დანიშნული ინჟენერი ვინტერი, რომელიც სტუდენტობის დროს რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის იდევნებოდა. იგი კრასინთან ერთად მონაწილეობდა ბაქოს ელექტრო-სად. აგებაში; გავლილი აქვს ელექტრო-სადგურის აგებაში; გავლილი აქვს ელექტრო-ტეხნიკის სკოლა. მუშაობა დაიწყო უბრალო მონტიორად; უკანასკნელად მუშაობდა შატურის ელექტროსადგურის აგებაზე.

გემის დაზიანება

მოსკოვი, 12 თებერვალი. საბჭოთა გემი „კარლ-მარქსი" აზოვის ზღვის ყინულებში გავლის დროს გაიბზარა და ძლივ-ძლივობით მიაღწია უახლოეს ნავთსადგურს, სადაც დაიწყო მისი შეკეთება.

ლენინგრადის კომკავშირის მე-13-ე კონფერენცია

ლენინგრადი, 12 თებერვალი. გაიხსნა ლენინგრადის კომკავშირის მეცამეტე საგუბერნიო კონფერენცია. საკავშირო კოოპერაციის ცეკას სახელზე გაგზავნილ მისალმებაში კონფერენცია აღუთქვამს პარტიას, რომ იგი მთელი თავისი მუშაობით ხელს შეუწყობს პარტიის საქმიანობას. მისალმებანი გაეგზავნება წითელ არმიას და ფლოტს.

არჩევნები სახალინზე

მოსკოვი, 12 თებერვ. დაიწყო ალექსანდროვის ქალაქის საბჭოს არჩევნები სახალინზე. არჩევნები გაცხოველებით სწარმოებს. წინასწარი ცნობებით, არჩევნებს დაესწრო ამომრჩეველთა 55 პროც. კომუნალური მეურნეობის მაღაროებში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მუშათა 80 პროც; შინამრეწველები ხელოსნები და მუშა-ჩინელები ცხადდებოდნენ საარჩევნო კრებებზე 50 პროც-ის რაოდენობით. ორი დღის განმავლობაში არჩეულ იქნა ქალაქის საბჭოს 55 წევრი და 30 კანდიდატი. (ადს).

უკრაინა

ძვირფასი აღმოჩენა

ხარკოვი, 12 თებერვალი. აღწერის დროს უკრაინის ქალაქებში, რომელნიც დიდ საბინაო კრიზისს განიცდიან, აღმოჩენილ იქნა 30.000 სრულიად ცარიელი ბინა.

მიწვევა საბავშვო გამოფენაზე

კიევი, 12 თებერვალი. ფრანკის სახელობის საბავშვო თეატრი მიიწვიეს იაპონიის საბავშვო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

კრაპოტკინის წერილები

კიევი, 12 თებერვალი. კიეველმა ანტიკვარმა შემთხვევით შეიძინა კრაპოტკინის რამოდენიმე წერილი კიევის ერთ-ერთი მუშისადმი მიწერილი. წერილები ეხება 1905 წ. რევოლიუციას.

8.605.000 მანეთი

ა.-კ. მრეწველობას

მოსკოვი, 12 თებერვალი. საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის სხდომაზე 10 თებერვალს ირჩეოდა საკითხი საბიუჯეტო ფონდის შესახებ მრეწველობისა, ელექტროფიკაციისა და სხვა დარგებისათვის ფინანსების მისაწოდებლად. როცა ირჩეოდა გასავლის ხარჯთაღრიცხვა, სიტყვით გამოვიდა ამხ. ტერ-გაბრიელიანი, რომელიც შეეხო სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიაში ქაღალდის ფაბრიკის მოწყობის შესახებ. ამ ფაბრიკის მოსაწყობად განზრახულია გადაიდოს (გამოტოვებულია)... სუბვენციური ფონდი კი არ შეადგენს საკმაო თანხას. ამხ. ტერ-გაბრიელიანი მოითხოვს, რომ სუბვენციური ფონდი გადიდებულ იქნეს ერთ მილიონ მანეთამდე.

ასიგნობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მრეწველობისათვის დამტკიცებულ იქნა 8 მილ. 188.000 მანეთის რაოდენობით. პლენუმმა დაამტკიცა აგრეთვე უმუშევრობასთან საბრძოლველ ფონდის რაოდენობა 8.100.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ამიერ-კავკასიაზე მოდის 500.000 მანეთი (ადს).

ექიმის მოკვლა

სამარყანდი. 12 თებერვალი. თავის სამუშაო კაბინეტში მოკლულ იქნა ცნობილი საბავშვო ექიმი, მირლესი. დაპატიმრებული მკვლელები აღმოჩნდნენ იმ გარდაცვლილი ბავშვთა მშობლები, რომლებსაც მკურნალობდა მირლესი.

მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია რესპუბლიკის ექიმებს შორის. რომლებიც იშლებოდნენ თავის რესპუბლიკანურ ყრილობიდან. საგამომძიებლო ორგანოებმა ერთ დღეში დაასრულეს გამოძიება. ერთი კვირის შემდეგ ეს საქმე გაირჩევა დიდი საჩვენებელი პროცესის სახით (ადს).

8.625000 მანეთი

ა.-კ. ირრიგაციისათვის

მოსკოვი, 12 თებერვალი. პირველად გაღებულ კრედიტს 8.225.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც უნდა მოხმარდეს საირიგაციო მუშაობას ამიერ-კავკასიაში 1926—27 წელს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით ემატება კიდევ 400.000 მანეთი საკავშირო ბიუჯეტიდან. ეს თანხა უნდა მოხმარდეს საცდელ მუშაობას მუღანის ველის ჰაობიან ადგილების გასაშრობათ. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ლენინაკანის მშენებლობის მექანიზაცია

ერევანი, 12 თებერვ. მშენებლობის სამექანიზაციოდ სომხეთის დამხმარე კომიტეტი გაზაფხულზე ლენინაკანში აამუშავებს დიდ ხისდამმუშავებელ ფაბრიკას. ფაბრიკის მანქანები შეძენილია საზღვარგარეთ, საზღვარგარეთელ სომხების მიერ შეგროვილი თანხებით. (ადს).

ექიმთა ყრილობა

ერევანი, 12 თებერვ. 11 თებერვალს გაიხსნა ექიმთა ყრილობა. დღის წესრიგშია: დელეგატების არჩევა ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში, საანგარიშო, სამეცნიერო მოხსენებები და სხვ. (ადს).

ბაქოს ბაზრობის წინ

ბანკეტი სპარსელ ვაჭრების პატივსაცემად

მოსკოვი, 12 თებერვალი. ბაქოს ბაზრობის მომავალ გახსნასთან დაკავშირებით, რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მოაწყო ბანკეტი სპარსელ ვაჭრების წარმომადგენელთა პატივსაცემად. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს თავმჯდომარემ ამხ. **ტროიანოვსკიმ** წარმოთქმულ სიტყვაში იმედი გამოსთქვა, რომ ბაზრობას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭ. კავშირისა და სპარსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების და განმტკიცების საქმეში. ორივე ქვეყნის სამეურნეო განვითარების ინტერესები აუცილებელს ხდის მათი აღებ-მიცემობის გაფართოვებას ეგრედ წოდებულ ნეტტო-ბალანსის საფუძველზე. ტეხნიკური და ორგანიზაციული სიძნელენი, რომელნიც შეხვდება საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოპერაციების დროს, შესაძლოა და დაძლეული უნდა იქნეს ორივე ქვეყნის ენერგიითა და ინიციატივით.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ნიჟეგოროდის საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მალიშევმა და რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ამხ. **ხოდოროოვმა**.

გამოვიდნენ აგრეთვე სპარსეთის ვაჭრების წარმომადგენლები: თეირანის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე **მირზა-ჯაფარ-ხანი, ასადულაევი, ჯამგაროვი, მირზა-აგაიევი, მამედოვი** და სხვები, რომლებმაც თავის სიტყვაში განაცხადეს, რომ მათ გულწრფელად სურთ განამტკიცონ და გააფართოვონ საბჭოთა კავშირთან დამყარებული კომერციული ურთიერთობა. (ადს).

საქონლის შემოზიდვა ბაქოს ბაზრობაზე

ბაქო, 12 თებერვალი. გრძელდება საქონლის ინტენსიური შემოზიდვა ბაქოს ბაზრობაზე. დღემდე მიღებულია 148 რონოდა სხვადასხვა საბჭოთა საქონელი, მათ რიცხვში 15 რონოდა თამბაქოს ნაწარმოები და 8 რონოდა საპონი და პარფიუმერია.

გუშინ სპარსეთიდან ჩამოვიდა სპარსეთის საქონლის ახალი პარტია; მათ რიცხვში 40.000 ფ. ბრინჯი, 2000 ყუთი ხმელი ხილი და სხ.

მიღებული ცნობებით სპარსეთის ნავთსადგურებში დაგროვილია მრავალი ბრინჯი, ბამბა, ტყავი და სხ. საქონელი, რომელნიც ამ კვირაში იქნება მიღებული ბაქოს ბაზრობაზე. (ადს).

სპარსელი ვაჭრების თხოვნა

ბაქო, 12 თებერვალი. აზერბეიჯანის სავაჭრო პალატამ, სპარსელ ვაჭრების თხოვნით, აღძრა შუამდგომლობა სპარსელ ვაჭრებისათვის ნებართვის მიცემის შესახებ ჩერვონეცების ანგარიშით ფულის გადმოგზავნაზე იმ ხარჯების დასაფარავად, რომელსაც იწვევს საქონლის გადაზიდვა ბაქოს ბაზრობაზე. წინა ბაზრობაზე სპარსელ ვაჭრებს არ ჰქონდათ ამის უფლება.

საწვრილმანო ვაჭრობა ბაზრობაზე

ბაქო, 12 თებერვალი. მიმდინარე წელს ბაქოს ბაზრობის საგამოფენო პავილიონში გაიმართება საწვრილმანო ვაჭრობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და უცხოეთის ორგანიზაციები.

ბაზრობის ტერიტორიაზე მიმდინარე წელში მოეწყობა სხვადასხვა თამაში და გასართობები. (ადს).

საუბარი ამხ. ბარინოვთან

ბაქო, 12 თებერვალი. ახლახან მოსკოვიდან დაბრუნებულმა „აზნავთ"-ის უფროსმა, ამხ. ბარინოვმა, ამიერ-კავკასიის დეპ. სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში თავისი მგზავრობის შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„მოსკოვში ჩემი ყოფნის დროს გადაწყვეტილ საკითხებს შორის ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს **ბათომში ნავთის ბატარეის აგება 820.000 ტონას (50 მილ. ფ. წელიწადში) ტევადობით**. ამ ბატარეის, როგორც მომავალი უნივერსალური ნავთობმხდელი ქარხნის ნაწილის, აგება, მიღებული პროგრამის მიხედვით, უნდა დასრულებულიყო 20 თვეში. ამჟამად საჭიროა ამ ბატარეის აგების დაჩქარება ისეთი ვარაუდით, რომ ის უკვე მზად იყოს მომავალ 1927—28 საოპერაციო წლის შუა თვეებისათვის, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან შეფერხდება ჩვენი ექსპორტის საქმე. ეს კი „აზნავთ"-საგან დიდი ძალების დაძაბვას მოითხოვს, რადგან თვით ნავთობმხდელი ბატარეის გარდა, საჭირო გახდება საკმაო რაოდენობის რეზერვუარების აშენება ნედლეულ და გადამუშავებულ ნავთობისთვის, ორთქლძალიანი სადგურის, წყალსადენის და წარმოების სხვა დამხმარე დარგების მოწყობა. ამ ამოცანის ნაყოფიერად განსახორციელებლად საჭიროა, რომ სათანადო ქარხნებმა თავის დროზე დაამზადონ ყველა შეკვეთილი მასალები და ბატარეისათვის საჭირო მოწყობილობა, რომ შესაძლებელი გახდეს შეუწყვეტელი მუშაობის დაწყება ბათომში.

ძირითადი საკითხი საქარხნე ადგილის გამოყოფის შესახებ, „აზნავთ"-ის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აზერბეიჯანის სახკომსაბჭო ყველა ზომებს მიიღებს, რომ ფორმალურმა მხარემ არ დააბრკოლოს საქმის დაწყება. ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ უახლოეს ხანშივე შევუდგეთ მიწის და საწყალსადენო სამუშაოების რეზერვუარების ააშენებლად „აზნავთ"-ის საწყობებზე. ნავთის პირველი ბატარეის მოსამარაგებლად ნედლეულით ბათომში გადაქაჩული იქნება ლიგროინის, ნავთის და გაზოილის ნარევი.

გადაქაჩვა იწარმოებს არსებული ნავთსადენით, რომლის ნავთგამტარობაც სავსებით დაკმაყოფილებელი იქნება, მხოლოდ საჭიროა არარიგიანად მომუშავე სადგურების შეკეთება ევლახსა და გორში, რაც სავსებით ადვილი მოსახერხებელია თვით ბატარეის აგების პროცესში.

უკანასკნელ დროს ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ ნავთსადენის ნავთობსადენად გადაკეთების აუცილებლობაზე. აქ დიდი გაუგებრობაა: ლაპარაკია არა ნავთსადენის გადაკეთებაზე, არამედ ზემოაღნიშნული ნარევის გადაქაჩვაზე ახალ ბატარეისათვის; ეს კი მთელი ნავთსადენის ნავთგამტარობის 83 პროცენტს დაიჭერს, ნაცვლად დღევანდელი 30—33 პროცენტისა. ამისათვის არც გადაკეთებაა საჭირო და არც ზემდებარე მილების მიწაში ღრმად გაყვანა, გარდა ზემოაღნიშნულ ორი სადგურის შეკეთებისა. ნავთსადენის გადაკეთება კი ნავთობსადენად მოითხოვს დიდ თანხებს (სახელმწიფო საგეგმო კომისიის ექსპერტების გამოანგარიშებით, საჭიროა 1.600.000 მან., აქედან 1.376.000 მან. ამიერ-კავკასიის რკინისგზის ხარჯზე, ხოლო 224.000 მან.—საერთო სახელმწიფოებრივ საშუალებიდან), რაც არსებულ შევიწროებულ ფინანსიურ პირობებში მიუტევებელი მფლანგველობა იქნებოდა".

— ამიტომ,—დაასკვნის ამხ. ბარინოვი,—„აზნავთი" პროტესტს აცხადებს საკითხის ასე დაყენების წინააღმდეგ, რადგან ის საზარალო იქნებოდა საერთო საქმისათვის. (ადს).

საბჭოთა არჩევნები

ხელოსნები და საბჭოთა არჩევნები

თებერვლის 26-ში უნდა გაიხსნას თბილისის ახალი საბჭოს პირველი სხდომა. ამ თავისთავად დიდათ მნიშვნელოვან ფაქტის გარდა ეს დღე უნდა ჩაითვალოს დიდ ისტორიულ დღეთ, რადგან ამ დღეს ვზეიმობთ ჩვენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების ექვსი წლის თავს და, ამ დღეს მოხდება ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის ამოძრავება. ამჟამად მე მინდა ხელოსნების ყურადღება მივაქციო მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში იმ გარემოებაზე, რომ საკავშირო ხელისუფლების მიერ გამოცემულ საარჩევნო ინსტრუქციით გათვალისწინებულ სათანადო მუხლებში ხელოსნები, როგორც სხვა მშრომელები, სარგებლობენ საარჩევნო უფლებით. ამავე უფლებით სარგებლობენ ხელოსანთა ოჯახის სრულ წლოვანი წევრები, რომლებიც იმყოფებიან თვით ხელოსნის კმაყოფაზე, მაგალითად ძმა, და, ცოლი და შვილები, დედა და მამა. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ის ხელოსანი, რომელსაც ყავს მუდმივი დაქირავებული მუშაბელი ორი კაცი და ზევით. თუ მას ყავს ერთი დაქირავებული მუშა და ან ორი შეგირდი, ასეთ ხელოსანს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

დღემდე ხელოსანთა მასაში არ ქონია ადგილი ისეთ ფართო და მასიურ საარჩევნო კამპანიას, როგორსაც დღეს ვხედავთ ჩვენ. ხელოსანთა მასაში პირველად გაკეთებულ იქნა დიდი საანგარიშო მოხსენება ამხ. ვარლამ მესხისა თბილისის საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ. კრებას დაესწრო ხუთას კაცამდე. ორი საინსტრუქციო მოხსენება გააკეთა თვით ხელოსანთა კავშირის თავმჯდომარემ, ამ სტრიქონების დამწერმა. ხელოსანთა კავშირის მმართველობა კომუჯრედისა და საარჩევნო კომისიის რწმუნებულის უშუალო ხელმძღვანელობით შეუდგა ტეხნიკურ და საორგანიზაციო მუშაობას. ეს მუშაობა დღეს უკვე დამთავრებულია. აყვანილია აღრიცხვაზე ყველა ხელოსნები, ვისაც უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. ასეთების რიცხვი ოჯახის წევრებითურთ უდრის 8.575 სულს. თემი და ქალაქი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხელოსნებისათვის დაჰყო სამ საარჩევნო უბნათ. პირველ უბანში მიიღო მონაწილეობა იმ ხელოსნებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ 8, 9, 10, 11 და 12 სამილიციო უბანში. ესენი 7 თებერვალს გამოცხადდნენ სახალხო სახლში, სადაც აირჩიეს 9 კაცი: 1) ბურცევი მეორე რაიკომის ინსტრუქტორი, 2) სირაძე მეორე რაიკომის აგიტპროპის განყოფილების გამგე—ორივე მუშებია, 3) ნასარიძე დავით—კავშირის თავმჯდომარე, 4) ჩოდრიშვილი მიხა—საპატიო თავმჯდომარე,—5) ჩუბინიძე გიგო—ხელოსანი (ხეზე მომუშავეთა ცეხიდან), 6) ჯოხაძე ვასილი ხელოსანი (მესაათე), 7) იაშვილი ვარლამ—ხელოსანი (მელითონეთა ცეხიდან), 8) ცერაძე ნიკოლოზი—ხელოსანი (ნემსთა ცეხიდან—მკერავი) და 9) სოფრომოვი მიხეილი (ინსტრუქტორი—ახალგაზრდათა შორის მომუშავე). აღნიშნულ უბანში არჩევნებს ხელმძღვანელობდა ხელოსანთა აქტივის, ე. ი. პლენუმის მიერ გამოყოფილი და დამტკიცებული კომისია ამხ. ვასო ჯოხაძის თავმჯდომარეობით.

მეორე უბანში, რომელშიაც შედის 1, 2, 3, და 4 სამილიციო უბნებში მცხოვრები ხელოსნები, არჩევნები მოხდება 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე რუსთაველის თეატრში. მესამე საარჩევნო უბანში, რომელშიაც შედიან 5, 6 და 7 სამილიციო უბნები, არჩევნები მოხდება 21 თებერვალს ავლაბრის მუშათა კლუბში (კასპის მოედ.) საღ. 7 საათ. ყოველ 2 კაცზე აირჩევა ერთი დეპუტატი.. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელოსნები შეგნებულად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, როგორც პირველ უბანში, აგრეთვე დანარჩენებშიაც. არ დაკარგავს, არც ერთი ხელოსანი ხმის უფლებას. გამოცხადდება აღნიშნულ დღეებში და აირჩევენ საბჭოში ღირსეულ დეპუტატებს. თუ რამდენი დეპუტატი ეყოლებათ ხელოსნებს საბჭოში, ის მთლიანად დამოკიდებული იქნება თვით ხელოსნების აქტიურ მონაწილეობაზე არჩევნებში.

არჩეულ დეპუტატებს მიეცემათ სათანადო დავალება თუ რა უნდა აკეთონ მათ საბჭოში.

ხელოსანთა კვირის გაზეთში კომუჯრედის სახელით გამოქვეყნებულია სია იმ პირებისა, ვინც უნდა აირჩიოს ხელოსანთა მასებმა. სიაში აღნიშნული ამხანაგები შეთანხმებულია, როგორც კომუჯრედში, აგრეთვე ხელოსანთა კავშირის აქტივთან. სიაში წამოყენებულ ამხანაგებს ყველა ხელოსნები კარგად იცნობენ და შეგნებულად მისცემენ ხმას არჩევნების დროს.

დ. ნასარიძე

როგორ მიმდინარეობს არჩევნები თბილისში

ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტში

საღ. 6 საათზე ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტის დიდ დარბაზში თავი მოიყარეს გინეკოლოგიური და ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტების თანამშრომლებმა და მუშა-მოსამსახურეებმა. კრებაზე გამოცხადდა ამრჩეველთა ასი პროცენტი.

ნაკაზის წაკითხვის შემდეგ კრება შეუდგა დეპუტატების არჩევას. საბჭოს წევრათ არჩეულ იქნა: ექ. კ. ქაჯაია (უპარტიო) და რ. აბრამოვი (კომკავშირელი).

მილიციის მუშაკთა დეპუტატები

გუშინ საღ. 7 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა თბილისის რაიონების მილიციის თანამშრომელთა საარჩევნო კრება.

საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი იქნენ: 1) ღლანიძე (უპარტიო), 2) მეჩრიკოვი (კომ.), 3) ტაბიძე (უპარტიო), 4) სიმონ ხმალაძე (კომუნ., თბ. აღმ. ადმ. განყ. გამგე), 5) შალვა მათიკაშვილი (შინ. საქ. სახ: კომისარი), 6) რურუა (კომკავშირელი) და კანდიდატად 1) კვაჭანტირაძე (კომუნისტი ქალი)

სახალხო კვების კავშირში

გუშინ საღ. 6 საათზე შესდგა სახალხო კვების კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ამრჩეველთა 65 პროც. თბილისის საბჭოს დეპუტატებათ არჩეულ იქნენ: ამხ. 1) მიხეილ ბუჯიაშვილი (კომუნისტი, მუშა), 2) პეტრე ვოსკანოვი (კომ. მოსამსახურე), 3) სერგო ბაკურაძე (უპარტიო მუშა), კანდიდატათ ამხ. ჩიქვანაია (უპ. მუშა).

არჩევნები რუსთაველის თეატრში

გუშინ, რუსთაველის თეატრში შესდგა ამ.-კავ. სახ. დაზღვევის, ა. კ. სტ. სამმართველოს, ამ. კავ: საგეგმო კომისიის, სახალხო შეერთების სამმართველოს, დავალებათა ბიუროს და ამ.-კავ. უნივერსიტეტის თანამშრომელთა ოჯახის წევრების საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო ამრჩეველთა 65 პროც.

თბილისის საბჭოს წევრად არჩეულნი იქნენ:

1) თენდიაშვილი (კომუნისტი), 2) იაკობაშვილი (უპარტიო), 3) თარხანოვა (უპარტიო მოსამსახურე ქალი), 4) ისმიხანოვა (უპარტ.), 5) ჩიხლაძე (კომუნ.), 6) გალაჩენკო (უპარტიო ქალი).

ახალ მუშათა კლუბში

გუშინ, 2 საათზე ახალ მუშათა კლუბში შესდგა შინ. საქ. სახ. კომისარიატის, განათ. კომისარიატის ,მუშ. და გლეხთა ინსპექციის, საბინაო კავშირის, „სამშენ."-ს საბჭოთა სავაჭრო ფლოტის განყ., მედსანშრომის პირ. ჯგუფკომის თანამშრომელთა და ოჯახის წევრების საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 55 პროც. ამომრჩევლების.

საბჭოს წევრებად არჩეულნი იქნენ: 1) ჯაფარიძე (კომ.), 2) მაისურაძე (უპარტიო).

პლეხანოვის კლუბში

პლეხანოვის სახელობის კლუბში თავი მოიყარეს სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების, საგზაო დამზღვევ სალაროს და ძეხვის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, რიცხვით 300 კაცამდე. თბილისის საბჭოს დეპუტატებად ერთხმად არჩეულ იქნენ:

1) ვლადიმერ აკიმოვი (კომუნისტი, მუშა, „ზაკტპო"-ს თავმჯდომარე), 2) ვალერიან ვაშაკიძე (კომ. დამზღვევ სალაროდან), 3) მანგოშვილი (უპარტიო მუშა, ძეხვის ქარხნიდან).

ცენტრალურ მუშათა კლუბში

ცენტრალურ მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა სახალხო კვების მე-5 და 3 ჯგუფკომში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა კრება. საბჭოს დეპუტატებათ არჩეულ იქნენ: 1) მარიამ გვრიტიშვილი (უპარტიო მუშა-ქალი), 2) დიმიტრი შახნაზაროვი (კომ. მუშა), 3) არარატ ავანოვი (კომ. მუშა), 4) სტეფან ავეტისოვი (უპარტიო მუშა). კრებას დაესწრო 250 კაცი.

ადგილებზე

პატრიკეთის თემში

ქუთაისი, 12 თებერვ. დასრულდა არჩევნები ქუთაისის მაზრის პატრიკეთის თემში. 2.098 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.011 ამომრჩეველმა, მათგან 30 პროც. ქალები. სათემო საბჭოში არჩეულია 57 კაცი, მათგან 18 კომუნისტი, 3 კომკავშირის წევრი და 5 ქალი. საბჭოში ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობა შეადგენს 40 პროც-ს, დანარჩენები კი—საშუალო გლეხობა. სათემო აღმასკომში არჩეულია 5 კაცი, მათგან 4 კომუნისტი და 1 უპარტიო. (ადს).

წვიმები ხელს უშლიან არჩევნებს

ოზურგეთი, 12 თებერვ. მრავალ საარჩევნო პუნქტებში შენობების უქონლობის მიზეზით. საარჩევნო კრებები უნდა გამართულიყო ცის ქვეშ, მაგრამ დიდმა წვიმებმა და თოვლმა ამას ხელი შეუშალეს. ცუდი ამინდების გამო გადაიდო არჩევნები ხვარბეთსა და სამღვთოში.

ოზურგეთის მაზრაში არჩევნები დაიწყო

ოზურგეთი, 12 თებერვ. დაიწყო საბჭოთა არჩევნების კამპანია ოზურგეთის მაზრაში. პირველ დღეს არჩევნები ჩატარდა გურიანთას თემში, რომელიც დაყოფილია სამ საარჩევნო პუნქტად. ძლიერმა თოვლჭყაპმა ხელი შეუშალა არჩევნებს. არჩევნებზე გამოცხადდა ამრჩეველთა 52 პროცენტი, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები. ამ თემში კულაკებს არ გამოუჩენიათ არავითარი აქტივობა. 27 არჩეულთა დეპუტატს შორის ორი ქალია.

ზვანის ჩაის ფაბრიკის გაფართოება

ოზურგეთი, 12 თებერვ. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ზვანის ჩაის ფაბრიკის გასაფართოებლად. შეუდგნენ ჩაის ფოთლის სახმობი ფარდულის აგებას, რომელიც დამთავრდება მაისის დამდეგისათვის, ე. ი. ჩაის ფოთლის პირველი მოწევისათვის. ფაბრიკის გაფართოება ჯდება 20 ათასი მანეთი.

საარჩევნო უფლებას მოკლებულნი

თელავი, 12 თებერვ. სამაზრო საარჩევნო კომისიაში ყოველდღე მოდის აურაცხელი საჩივარი საარჩევნო უფლების უკანონოდ წართმევაზე. კომისია ყოველდღე არჩევს ამ საჩივრებს და ვერც ასწრებს მათ გარჩევას. 53.158 კაციდან ხმის მიცემის უფლება წართმეული აქვს 6.298 კაცს, რაც შეადგენს 11.8 პროც-ს; ასე რომ სულ რჩება 46.860 ამომრჩეველი, რომელთაც ყველა თემებში უნდა აირჩიონ საბჭოს 1.300 წევრი. (ადს).

ქალების აქტივობა

ახალციხე, 12 თებერვ. დამთავრდა არჩევნები შალოშეთის თემში. 1.222 ამრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 605 კაცი, ე. ი. 49,5 პროცენტი. არჩევნებზე მოსულთა შორის ქალები შეადგენდა 13(109)პროცენტს.თუ მხედველობაში მივიღებთ ცუდ ამინდს, ქალების მონაწილეობის პროცენტი არჩევნებში დიდათ უნდა ჩაითვალოს. საბჭოში არჩეულ იქნა 26 წევრი. აქედან 2 კომუნისტია, 1 კომკავშირელი და 2. უპარტიო. ქალი 5.

თემის აღმასკომში არჩეულია სამი წევრი. მათ შორის ერთი უპარტიო და ორი კომუნისტი. აღმასკომში შევიდა ერთი ქალი.

ახალქალაქი, 12 თებერვალი. დამთავრდა საბჭოთა არჩევნები სატყინის თემში.

3502 ამრჩეველთაგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1434 კაცმა, მათ შორის — 267 ქალმა. არჩევის უფლება თემში ჩამოერთვა 283 კაცს.

საბჭოში არჩეულ იქნა 72 წევრი, მათ შორის პარტიის წევრი და კანდიდატია—9, კომკავშირელი—5, ქალი—9.

თემაღმასკომში არჩეულია—3, აქედან 2 კომუნისტია.

არჩევნები სხვა თემებშიდაც თავდება.

ამხ. ს. თოდრია—ზესტაფონის საბჭოს საპატიო წევრი

ზესტაფონის საბჭოთა საარჩევნო კრებაზე საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. სილ. თოდრია არჩეულ იქნა ზესტაფონის საბჭოს საპატიო წევრად.

როგორ ჩავატარეთ არჩევნები

(თელეთის თემი, თბილისის მაზრა)

ჩვენს თემში არჩევნები დაიწყო 28 იანვარს. პირველ ორ საარჩევნო უბნად მიჩნეული იყო თემის უდიდესი სოფელი, რომელიც ამომრჩეველთა რაოდენობით ნახევარ თემს უდრის.

ყველაზე მეტ სირთულეს საარჩევნო მუშაობისას წარმოადგენდა 1-ლი უბანი, სადაც არჩევნების დაწყებისთანავე უბანზედვე გამოცხადდნენ თბილისის აღმასკომის ინსტრუქტორები და არჩევნებს პირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდნენ.

საერთოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გლეხები დიდ ინიციატივას იჩენდა არჩევნებში და სისტემატიური ხასიათი ჰქონდა არჩევნების წინ ღარიბთა ჯგუფ-ჯგუფად თავის შეყრას.

საარჩევნო კომისიაც არ ხვდებოდა გულგრილად ამ მდგომარეობას და არჩევნები მთელ თემში დაამთავრა არა თუ გათვალისწინებულ დროზე კალენდარული გეგმით, არამედ საშუალებაც ჰქონდა ოფიციალურად დანიშნულ დროზე ადრეც მოეწვია რომელიმე საარჩევნო უბანი.

საარჩევნო უბნები სრული წესრიგით იმართებოდა და არჩევნები ყველა სოფლებში წარმატებით დამთავრდა.

პოლიტგანელი.

არჩევნები დამთავრდა

(ბოგვის თემი, თბ. მაზრა)

ბოგვის თემი აერთიანებს 9 სოფელს, ყველა ეს სოფლები შესდგება 707 კომლისა და 2863 სულისაგან. აქედან —საარჩევნო უფლების მქონეთა რიცხვი უდრის—1340. ხმის უფლება მოკლებულია 7 მოქალაქე.

თემი დაყოფილი იყო 7 საარჩევნო უბნად—აქედან—6 უბანში უკვე მოხდა არჩევნები, სადაც მონაწილეობა მიიღო 1.102 კაცმა, ანუ 90 პროც. მეტმა.

საბჭოში არჩეულია ჯერ-ჯერობით 25 წევრი. მათ შორის: ქალი 2, კომპარტიის წევრები და კანდ.—6, კომკავშირელები 5, დანარჩენები 14 უპარტიო.

თემის საბჭოთა ყრილობის მოწვევის დღეთ დანიშნულია 12 თებერვალი. ბოგვის თემში საარჩევნო კამპანია დამთავრდება 13 თებერვალს.

ალ. გვა[illegible],

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა თბილისში.

საარჩევნო ინსტრუქციის დარღვევა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე აღნიშნული იყო ა.-კ. რ. ს. ფ. ს. რ.-ში შემავალ რესპუბლიკების ცაკების მიერ საბჭოთა არჩევნების შესახებ ა.-კ. ცაკის ინსტრუქციების ზოგიერთი მუხლების დარღვევა.

ასე მაგალ., არასწორად ტარდება მეთერთმეტე მუხლი, რომლის თანახმად საარჩევნო ხმის უფლება არ ერთმევათ კულტის იმ მსახურთ, რომელნიც ამჟამად შრომით ცხოვრებას ეწევიან,—ცაკების ინსტრუქციით კი მათ საარჩევნო ხმის უფლება წართმეული აქვთ. შემდეგ, ირღვევა მე-15 მუხლი იმ პირების უფლებების აღდგენის შესახებ, რომელნიც წინად ექსპლოატატორთა კლასს ეკუთვნოდნენ (ცაკებს სამწლიანი ვადის ნაცვლად შემოღებული აქვთ 5 წლიანი ვადა). ირღვევა აგრეთვე, მუხლი კენჭის ყრის წესების შესახებ და სხვა.

ა.-კ. რ. ს. ფ. ს. რ.-ში შემავალ რესპუბლიკების ცაკებს წინადადება მიეცათ აღადგინონ ზემოხსენებული მუხლები.

მუშა-ხელის დაქ. ღარიბის საარჩევნო უფლებები

ა.-კ. ცაკმა განიხილა რა საკითხი იმ მიწის მუშა-გლეხებისათვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების შესახებ, რომელნიც სასეზონო სამუშაოებზე გამგზავრების გამო, ან ოჯახში შრომის უნარიანი წევრის უყოლობის გამო დაქირავებულ შრომას მიმართავენ, აღძრა შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე—მიეცეს ა.-კ. ცაკს უფლება ზემოხსენებული კატეგორიის გლეხობისათვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების შესახებ. ეს შუამდგომლობა დასაბუთებულია იმით, რომ ა.-კ. პირობებში საზამთრო სამუშაოებზე გარეთ სიარული მასიურ მოვლენას წარმოადგენს და მას მიმართავს განსაკუთრებით ღარიბი გლეხობა.

დღეს არჩევნები შედგება

მეორე რაიონში

1) სურსათ-გემოვნების კავშირის მე-2 და მე-4 ჯგუფკომში, პროფ. საბჭოს დიდი დარბაზი საღ. 6 საათზე.

ხვალ.

1) კამოს სახელობის საავადმყოფოში და სადეზინფექციო კამერაში, ნაშუადღევის 3 საათზე.

2) სტალინის სახელობის სახელოსნოებში, დილის 10 საათზე.

3) წყალსადენის სახელოსნოებში, საკუთარ კლუბში. საღ. 6 საათზე.

4) „მუშკოოპ"-ში, დილის 1-ლ საათზე.

5) გალეტების ფაბრიკაში —დილის თერთმეტ საათზე.

მესამე რაიონში

დღეს არჩევნები დანიშნულია მხოლოდ ერთ პუნქტზე — ქალაქის აბანოების მუშა-მოსამსახურეთათვის — ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში, დილის 10 საათზე.

კულაკები „წვინტლიანების" წინააღმდეგ

(ჩვენი კახელი კორესპონდენტისაგან)

ჩვენი მიზანია, მკითხველს გადაუშალოთ საერთო სურათი, რომელსაც იძლევიან წელს არჩევნები. უპირველეს ყოვლისა თვალში გეცა მათ, როდესაც გადაჰხედავთ საარჩევნო ყრილობას, ქალების სიმრავლე, წინა არჩევნებში ქალების მონაწილეობა ასეთი თვალსაჩინო არ იყო. შემდეგ აღსანიშნავია საერთო აქტივობა დამსწრე ხალხისა, რომელიც აშკარად იყოფა ხოლმე ჯგუფებად. სანამ კრება გიხსნებოდეს, გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლას აქვს ადგილი. აქვე არიან ხმა წართმეული მოქალაქენიც, რომელნიც ყველასთან და ყოველ კუთხეში იმას გაიძახიან, რომ მათ უსამართლოთ წაერთვა ხმა, რომ „ეს კიდევ არაფერია, მაგრამ მომავალში გარდა ბოგანო ხალხისა და „წვინტლიანი" მოჯამაგირეებისა ხმა არავის ექნება"-ო. ეს ხალხი ეწევა აგიტაციას, რომ კრებამ მოითხოვოს „შავ-სიები"-ს გაუქმება, თუ არა და „ყველანი შინ წავიდეთო". ზოგიერთი გულუბრყვილო გლეხი კიდევ წამოეგება ხოლმე მათ ანკესზე. მაგრამ უმრავლესობა, რომელნიც დაესწრებიან წინასწარ გაერთიანებულ ღარიბების კრებას, ირონიულად იცინის და იხუნჯობს: „მაშა, მაშა!.. თუ არა და უნდა ჩავშალოთ კრება. თქვენ უნდა აგირჩიოთ საბჭოში".

„ბრძოლა" გამოსჭვივის კრების დაწყებისთანავე, თავმჯდომარის დასახელების და მის ამორჩევის დროს. რა თქმა უნდა აქაც იმარჯვებს ღარიბთა ფრთა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუჯრედი. ინსტრუქციის კითხვას ყურს უგდებენ გულდასმით. ისეთი სიჩუმეა, ბუზმაც რომ გაიფრინოს, შეატყობ. სამწუხაროდ დაბეჭდილ ინსტრუქციაში ძალიან ბლომათაა უცხო და გაუგებარი სიტყვები, მაგალითად: „სოლიდარობა", „აქტიური", „პასიური", „სოციალური" და სხვები. ღარიბთა კრებაზე ვინც დაესწრო, მათთვის აუხსნიათ და წვალებით მაინც უხსნიან თავიანთ მეზობლებს შინაარსს.

გათავდა ინსტრუქციის კითხვა. უნდა დაიწყოს თვით არჩევნები. აქ იწყობა ისეთი ყვირილი და ხმაურობა, რომ თავმჯდომარე ძლივს ახერხებს წესიერების და სიმშვიდის დაცვას. ვინ თხოულობს „შავი სიის" გაუქმებას, ვინ იძახის: „მოგვაშორეთ კულაკებიო" და სხვა.

იწყობა კრების „გაწმენდა" ხმა წართმეულები არ მიდიან. თავმჯდომარე კატეგორიულად მოითხოვს მათ გასვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება კრებას მუშაობის შეჩერებით. უკმაყოფილო ბუტ-ბუტით, ხანდახან კი მაგარი გინებითაც უხმონი გადიან. მათი მომხრენი მშვიდოდ ჯგუფდებიან. კომუჯრედის ხელმძღვანელობით ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის მიერ შემუშავებული სიის კითხვას დიდხანს ისმენენ. მორჩა სიის კითხვა—ისევ ატყდა აღიაქოთი. უმატებენ ახლებს, აშკარად შეძლებულებს და საშუალო ოჯახებიდანაც. კენჭის ყრას მოითხოვენ „მაღლიდან—დაბლიდან", ე. ი. ერთ კანდიდატს სიის თავიდან და ერთს სიის ბოლოდან.

ასეთი სურათი იყო ს. წინანდალში. სოფელს უნდა აერჩია 25 საბჭოს წევრი. შეთანხმებულ კანდიდატების სიის გამოქვეყნების შემდეგ, დასახელებულ იქმნა 20-მდე ახალი კანდიდატი. მოითხოვეს კენჭის ყრა „დაბლიდან". განსაკუთრებით ყვიროდა ერთი ჯგუფი, რომელიც კანდიდატების „თავზე მოხვევა"-საც კი სწამებდა თავმჯდომარეს. ეს იყო ჯგუფი შეძლებულებისა. მათ გარშემო მოიყარა თავი ხალხმა, რომელნიც შემთხვევით არ დასწრებია ღარიბთა კრებას. თავმჯდომარე დასთანხმდა: კენჭის ყრა დაიწყო „ქვევიდან" მხოლოდ საინტერესო ის იყო, რომ 2 გარდა ყველანი გაიშავეს, და თითონ ამ ჯგუფიდან კენჭის ყრის დროს უმრავლესობა მათ წინააღმდეგ წავიდა. მთლიანად გავიდა შეთანხმებული სია. როდესაც მე შევეკითხე ამ ჯგუფის წევრებს, რათ უწევდნენ ხელებს თავიაათ მიერ დასახელებულების წინააღმდეგ და ხმას აძლევდნენ იმ სიას, რომლის წინააღმდეგ იყვნენ—მიპასუხეს: „იმიტომ, რომ „ჩვენების" მიერ წამოყენებულებს „იმათი"-ები ჯობდნენ—იქ კარგად არი შერჩეული.

ქალები დიდი აქტივობას იჩენდნენ და ბევრი ქალებიც გაიყვანეს საბჭოში. მათ ყოველთვის მხარს უჭერენ ახალგაზრდობა შუახნის გლეხობა. ამავე დროს საინტერესოა, რომ ხანში შესული და მოხუცებული გლეხები უმთავრესად წინააღმდეგნი არიან ქალებისა და თითებსაც საწინააღმდეგოდ სწევენ. აქტივობას იჩენს აგრეთვე მოჯამაგირეობა. 18 წელზე ზევით მათი რიცხვი მცირეა.

საერთოდ კარგ ამინდში უფრო ნაკლები ხალხი მოდის ყრილობებზე, რადგან სამუშაოს ვერ ღალატობს.

ალაზნელი.

საბჭო ყურადღებას არ გვაქცევდა

(ს. ჩხენიში, ქუთ. მაზ.)

ს. ჩხენიში შედის კულაშის თემში. ეს სოფელი მოცილებულია თემის ცენტრს 4—5 ვერსით. უნდა აღინიშნოს, რომ ძველმა საბჭომ (როგორც თემის, ისე სოფ. ჩხენიშის) აღმშენებლობით საქმიანობაში ვარავითარი ფხიანობა გამოიჩინა. ძველ საბჭოს დავალებული ქონდა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცია გზების გაფართოება—შეკეთებისათვის და აგრეთვე არსებული სკოლების შენობების რემონტის გაკეთებისათვის. ყველაფერი ესენი ამ ერთ წელში უფრო გაუარესდა. გაწვიმდება თუ არა, ადამიანს ვერ გაუვლია, ისეთი ნიაღვარი დადგება. უმთავრესად გაჭირვებას უამინდობაში განიცდის მოწაფეობა. არის ხშირი შემთხვევა, ძალზე უგზოობის გამო უკან ბრუნდებიან მოწაფეები. გლეხებმა კოლექტიური განცხადებით მიმართა აღმასკომს ამის შესახებ, მაგრამ აღმასკომმა უყურადღებოთ დასტოვა ეს განცხადება. აგრეთვე უყურადღებოთ დარჩა, როგორც უკვე ვსთქვით, ს. ჩხენიშის სკოლის შენობა. ეს ყველა ისეა დაზიანებული, რომ შიგ მეცადინეობა ნამდვილად აუტანელია. ზევიდან კოკისპირული წვიმა ჩამოდის, მინები ჩალეწილია და სხვა. ახალმა საბჭომ როგორც საერთოთ თემის, ისე სოფ. ჩხენიშის საბჭოების საკითხების მოგვარებას შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ჩხენიშელი კაკო.

როგორ მოვემზადეთ არჩევნებისათვის

(ნიგოითი, გურია)

საბჭოთა არჩევნებისათვის 4 წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 15 იანვრიდან. სამაზრო პარტკომიდან არჩევნების ჩატარებას ხელმძღვანელობს ამხ. კ. გურგენაძე. საბჭოს მიერ 16 იანვარს გამოყოფილი იქნა საარჩევნო კომისია 7 კაცის შემადგენლობით, რომელშიაც შედის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისიის პირველ სხდომაზე შემუშავებული იქნა „შავი სია". ხმის უფლება წაერთვა სულ 80 პირს. ამათ შორის უმეტესი ნაწილი ვაჭარი-სპეკულიანტებია, რომლებიც დროგამოშვებით დაწანწალებენ სოფლად და გლეხის ნაწარმოებს მუქთად იგდებენ ხელში. 23 იანვრამდე უკვე შედგენილი იქნა ამომრჩეველთა სრული სია. 23 იანვარს კი შესდგა კომპარტიის, კ. კავშირის, პროფკავშირის ქალთა დელეგატების და ღარიბებს და საშუალო გლეხების აქტივის გაერთიანებული კრება, რომელმაც გამოიმუშავა მომავალ საბჭოში გასაყვან კანდიდატთა სია, 35 წევრის და 9 კანდიდატის შემადგენლობით.

ეს სია გამოკრული იქნა თვალსაჩინო ადგილზე არჩევნების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. ამის შემდეგ უკვე აღმასკომის თავმჯდომარემ დაიწყო საანგარიშო მოხსენებების ჩატარება ყველა სოფლებში. ანგარიშების ჩატარების შემდეგ დაიწყება არჩევნები. ეხლა მზადდება უწყებები. უწყებების ჩაბარება დაევალა მასწავლებლობას. არჩევნები დაიწყო 12 თებერვლიდან.

ი. აბუსერიძე.

14 ამა თებერვლიდან თბილისის აღმასკომის შენობაში
ოთახი № 203 ყოველ დღე, კვირა უქმის ჩათვლით, დილის 12-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე
იწარმოებს
თბილისის საბჭოს ახალი წევრების
არჩევა მანდატების გაცემა
ნ. 639
თბილისის საარჩევნო კომისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ძირითადი მომენტები

(ამხ. ნ. ი. ბუხარინის მოხსენება ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე)

ამხანაგებო, მე აქ არ შევეხები ყველა ჩვენს წინაშე მდგომ საკითხებს. პირველი, იმიტომ, რომ უმთავრესი საკითხები საკმაოდ იყო გაშუქებული ამხ. რუძუტაკის მოხსენებაში, მეორე, იმიტომაც, რომ ამას წინედ მომიხდა ამ პრობლემის გაშუქება მოსკოვის კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში, რომელიც თავის დროზე დაბეჭდილი იყო გაზეთებში. მე აქ შევჩერდები მხოლოდ ზოგადი ხასიათის ზოგიერთ საკითხებზე და შემდეგ მთელ რიგ იმ საკითხებზე, რომლებსაც პარტიულ პრესაში და პარტიულ კრებებზე არ აშუქებენ იმგვარად, როგორც ეს საჭიროა.

ნება მიბოძეთ, უპირველეს ყოვლისა, დავახასიათო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა.

საერთაშორისო მდგომარეობის ძირითადი მომენტები

რაში გამოიხატება ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურობა, ორიგინალობა. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენს პარტიაში დიდი დავა სწარმოებდა კაპიტალისტური სტაბილიზაციის შესახებ. თქვენ იცით აგრეთვე ისიც, რომ კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმამდე სტაბილიზაციის საკითხები მეტად პრიმიტიულად ისმოდა და სწყდებოდა. ლაპარაკობდენ კაპიტალიზმის სტაბილიზაციაზე საზოგადოდ. მაშინ როდესაც (ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა უკანასკნელ ხანებში) თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მთელი მსოფლიო მეურნეობა, ყველა სახელმწიფოები ნათლად და ცხადად გაიყო სამ დიდ ნაწილად; ამასთანავე, მსოფლიო მეურნეობის ყოველ ამ ნაწილში მიმდინარე პროცესები, მათი განვითარების ტენდენციები იმდენათ თავისებურია, იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან და იმდენად წინააღმდეგობით არიან აღსავსენი, რომ ამ ჟამად აბსოლიუტურად არასწორი იქნებოდა საკითხის მთლიანი სახით დასმა. მსოფლიოს ეს სამი ნაწილი ასეთია: იმპერიალისტური მსოფლიო, გამოფხიზლების გზაზე შემდგარი აღმოსავლეთი და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს სავსებით უდავო წარმატება სოციალისტური აღმშენებლობისა და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების საქმეში.

აღმოსავლეთში, პირველ რიგში ჩინეთში ჩვენ გვაქვს სამოქალაქო ომის პროცესი, რომელიც კაპიტალისტური სტაბილიზაციის მძლავრ დამრღვეველ ძალას წარმოადგენს. საერთაშორისო რევოლიუციის პროცესი ვითარდება დედა-მიწის ამ აღმოსავლეთის სექტორში ჩინეთის ხალხის მასებში, რომელნიც თანამედროვე კაცობრიობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს.

მესამე დიდ ნაწილს მსოფლიოს ჯერ კიდევ უდიდეს ნაწილს, წარმოადგენს დანარჩენი მსოფლიო, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ქვეყნები. ცხადია, სწორი არ იქნებოდა, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში უარვყოთ სტაბილიზაციის უეჭველი ნიშნები. მაგრამ შემცდარი იქნებოდა, რომ საკითხი აქაც კი დაგვესვა მთლიანი სახით. ჩვენ ცალ-ცალკე უნდა მოვახდინოთ კერძო ნაციონალური კაპიტალიზმების დახასიათება; ჩვენ მტკიცედ უნდა განვასხვავოთ ცალკე კაპიტალისტური სახელმწიფოების მდგომარეობა, განვითარების ტენდენციები და სტაბილიზაციური შესაძლებლობანი. დამახასიათებელი და ორიგინალური რამ საერთაშორისო განვითარების ეხლანდელ ეტაპზე არის დამოკიდებულებათა პოლიარიზაცია იმპერიალისტური სახელმწიფოების შიგნით კი. თუ, ვსთქვათ, ერთის მხრით, თანამედროვე კაპიტალიზმის მთავარი სიმაგრე არის ისეთი ქვეყანა, როგორც ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები, სამაგიეროდ, იმპერიალისტური სამყაროს მეორე პოლიუსზე არის კაპიტალისტური მრუდის დაცემის, დაქვეითების ნათლად გამოხატული ტენდენცია.

ორი ბლოკი

მსოფლიო მეურნეობის სამ „დიდ" ნაწილს შორის არსებობს განსაზღვრული ურთიერთ დამოკიდებულება. ჩვენს თვალწინ არის, უპირველეს ყოვლისა, აშკარა ტენდენცია, რომელიც ღრმად არის ჩამარხული საგანთა ბუნებაში, ეს არის ანტიმილიტარისტული ბლოკის ტენდენცია: საბჭოთა კავშირი პლიუს ჩინეთის რევოლიუცია. ამასთან დაპირისპირებით ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ აგრეთვე საგანთა ბუნებაში მდებარე ტენდენცია, კაპიტალისტური სახელმწიფოების ბლოკის ტენდენცია ჩვენს წინააღმდეგ, ტენდენცია, რომელსაც ძირი ეთხრება ხან იქ, ხან აქ იმის გამო, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის აუცილებელია ჩვენთან ვაჭრობა.

თუ ჩვენ ერთმანეთს დაუპირდაპირებთ ორთავე ტენდენციას, ე. ი. აღმოსავლეთის სულ უფრო და უფრო მოახლოებას ჩინთან, მეორეს მხრით, კაპიტალისტური სახელმწიფოების კონტრბლოკის ტენდენციას, რომელიც მთელი თავისი ძალით მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის მოწინავე პოსტის წინააღმდეგ, მე მგონია, რომ განვითარების ეხლანდელ სტადიაში, ამ ხანაში პირველი ტენდენცია უფრო ძლიერია. საქმე აქ იმაშია, რომ ჩვენსა და ჩინეთის რევოლიუციის შორის,—ყოველ შემთხვევაში მისი განვითარების ეხლანდელ საფეხურზე,—უფრო ნაკლები წინააღმდეგობაა, ვიდრე ჩვენს მოწინააღმდეგე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჩინეთის რევოლიუციის პერსპექტივები

ჩინეთში უკვე ვითარდება რევოლიუციონური მოძრაობა, მაგრამ არსებითად ახალი და ორიგინალური ეხლა მდგომარეობს იმაში, რომ ჩინეთის რევოლიუციას უკვე აქვს თავისი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი ცენტრი. ამ ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩინეთის რევოლიუციამ უკვე განვლო განვითარების ის სტადია, როცა ხალხთა მასა, კლასების განსაზღვრული შეჯგუფება იბრძოდა გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ. ჩინეთის რევოლიუციის თანამედროვე სტადია ხასიათდება იმით, რომ რევოლიუციის ძალები იქ უკვე არიან შეკავშირებულნი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ისეთი ატრიბუტით, როგორიცაა რეგულიარული, დისციპლინით აღჭურვილი ჯარი, რომელიც შიშს გვრის იმპერიალისტურ მტრებს. და ამ არმიის წინსვლა, მისი სახელოვანი გამარჯვებანი, უცხოეთის იმპერიალიზმის და მის მოკავშირეთა თანდათანობითი განდევნა კანტონის ჯარების მიერ, რევოლიუციონური პროცესის განსაკუთრებული ფორმაა.

ჩვენ ეხლა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საერთაშორისო რევოლიუციის პროცესს, რომელიც რეალურად არსებობს სოციალ-რეფორმისტების ზრიუვული ლაყბობის მიუხედავად, თავის ყველაზე უფრო ნათელ გამოხატულებაში უკვე აქვს ორი დიდი ორგანიზაცია-ქმნილი და მასთან სახელმწიფოებრივად მოწყობილი ცენტრი. მეორე მომენტი არის ის, რომ რევოლიუციის პროცესი ჩინეთში მიდის წინ იმით, რომ ხელში აქვს სახელმწიფო აპარატი. ამგვარად, აქ ლაპარაკია ხელისუფლების შემდგომ ჩამოყალიბებაზე და გარევოლიუციონერებაზე და მის გავრცელებაზე სულ უფრო და უფრო დიდ ტერიტორიაზე.

მე დიდხანს არ შევჩერდები ჩინეთის რევოლიუციის პერსპექტივებზე და აქ აღვნიშნავ შემდეგს. თავის თავად ცხადია, რომ ჩინეთის რევოლიუცია არ გათავებულა. განვითარების ამ „ხაზით" და კლასების იმ შეჯგუფებით, რომელიც ამ ჟამად არის ჩინეთში, საქმე არ დამთავრდება და არც შეიძლება დამთავრდეს. რევოლიუციონური კანტონის ეხლანდელი ხელისუფლება სხვადასხვაგვარი კლასების ფართო ბლოკს ემყარება. ამ ბლოკის შიგნით ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობს სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია, მაგრამ ეს უკანასკნელი აუცილებლად თანდათანობით ჩამოშორდება რევოლიუციას, რამდენადაც დიად რევოლიუციონურ სარბიელზე სულ უფრო და უფრო მეტის ძალით და სიმტკიცით გამოვლენ ჩინეთის ხალხის დაბალი მასები,—გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია და ჩინეთის მუშათა კლასი. ჩინეთის პროლეტარიატი, რომელიც ეხლაც უდიდეს როლს თამაშობს ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობაში, ცდილობს და მომავალშიაც შეეცდება, რომ უფრო მეტის შეტევით დაიპყროს ჩინეთის რევოლიუციის ხელმძღვანელის, ჰეგემონის, ბელადის პოზიციები.

ამიტომ სავსებით აუცილებელია კლასიური ძალების შემდგომი გადაჯგუფება ჩინეთის შიგნით, აუცილებელია ძალების გადანაცვლება მთავრობის შიგნით, არმიის შიგნით, აუცილებელია წინააღმდეგობათა ზრდა თვით გომინდანში, იმ პარტიაში, რომელიც განსაკუთრებული ორიგინალური სტრუქტურისაა, და რომელიც პოლიტიკურად ამაგრებს სხვადასხვა კლასების ბლოკს. თავისთავად ცხადია, რომ მთელი ეს პროცესი არ შეიძლება ჩატარდეს,—და ნამდვილად არც ჩატარდება,—სავსებით უმტკივნეულოდ, შეხლა-შემოხლისა და ერთგვარ შეტაკებათა გარეშე. მაგრამ ჩვენ ოპტიმისტურად, იმედითა და რწმენით აღჭურვილნი უყურებთ ჩინეთის რევოლიუციის მომავალს. იგი უკვე ღრმად შეეხო დაბალ მასებს; იგი ყოველი საათით, ყოველი დღით სულ უფრო და უფრო ძლიერად ამოძრავებს ჩინეთის ხალხის თვალუწვდენელ მასას; ჩვენს წინაშე არის რევოლიუციონური ენერგიის ისეთი დაუშრეტელი რეზერვუარი, რომ წითელი დროშის გამარჯვება ბრძოლის ამ ფრონტზედაც ჩვენთვის ცოტად თუ ბევრად უკვე ნათელია. მეორეს მხრით. სავსებით ცხადია ისიც, რომ ჩინეთის რევოლიუციის კლასიური ძალების გადახალისება, რომელიც უკვე ეხლავე სწარმოებს და მომავალშიაც იწარმოებს,—თუ რევოლიუციის მრუდი წავა ზევით,— დედამიწის ამ უდიდეს ნაწილს ოთხასი მილიონი ხალხით, კიდევ უფრო მეტად მოგვიახლოვებს ჩვენ და შექმნის ჩვენთან ბლოკის დამყარების შესაძლებლობას.

საერთაშორისო რევოლიუცია—კაცობრიობის ისტორიის ეპოქა

ყველა იმ დებულებებიდან, რომელნიც მე აქ მოკლედ განვავითარე, ნათლად გამომდინარეობს, რომ საკითხის ასე დასმა: ან სტაბილიზაცია, ან საერთაშორისო რევოლიუცია,—გამარტივებულია და არაა სწორი. საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება ჩვენს მიერ გაცილებით უფრო რთული უნდა იყოს. ეს შეფასება ამით მხოლოდ მოიგებს, ვინაიდან იგი შეეფერება იმ ეხლანდელ სინამდვილეს, რომელსაც ანალიზი უნდა გაუკეთოთ. განა ჩინეთის რევოლიუციის ფაქტიდან, შეიძლება, მაგალითად, იმ დასკვნის გამოყვანა, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ არსებობს გერმანიაში? და პირიქით, კაპიტალისტური სტაბილიზაციიდან, ვსთქვათ, გერმანიაში, ან საფრანგეთში, შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ არ არსებობს ჩინეთის რევოლიუცია, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის რგოლი? ცხადია, რომ საკითხის ასეთი დასმა სასაცილო იქნებოდა.

მთლიანი, მომენტალური, „ქიმიკურად წმინდა" საერთაშორისო რევოლიუცია არსებობს მხოლოდ ცუდ წიგნებში და სოციალ-დემოკრატიულ პასკვილებში კომუნიზმზე. საერთაშორისო რევოლიუცია არის მეტად რთული, მრავალფეროვანი და ხანგრძლივი პროცესი. წინანდელ ხანებში საკითხი საერთაშორისო რევოლიუციის შესახებ ისმებოდა მხოლოდ ზოგადი სახით. მაშინ საჭირო იყო და შეიძლებოდა საერთაშორისო რევოლიუციის ერთგვარი ზოგადი „ალგებრაული" ფორმულის მოცემა: საერთაშორისო რევოლიუცია როგორც მთელი კაპიტალისტური საზოგადოება მთლიანად, ყველა კაპიტალისტური ქვეყნების სოციალისტურ საზოგადოებაში რევოლიუციონურათ გადასვლის პროცესი. ეს ფორმულა სწორი რჩება დღემდეც. მაგრამ, ცხადია, რომ ეს ფორმულა ეხლა უკვე აღარაა საკმაო, იგი მეტად ზოგადია, იგი მოითხოვს კონკრეტიზაციას.

ეხლა პრაქტიკული რევოლიუციონური მოქმედების ინტერესებისათვის საჭიროა კონკრეტიულად გარკვევა, თუ როგორ, როგორ ფორმებში, როგორის თანმიმდევრობით მოხდება საერთაშორისო რევოლიუციის მთელი პროცესი. ეხლა, როცა ჩვენ ზურგს უკან გვაქვს პროლეტარიატის ხელისუფლების არსებობის თითქმის ათი წელი, როცა ჩვენ თვალწინ გაირბინა მსოფლიო-ისტორიულმა მოვლენებმა ევროპასა და აღმოსავლეთში, იმპერიალისტურ ქვეყნებში და კოლონიებში,—ეხლა ამხანაგებო, ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ რამდენად გამართლდა საერთაშორისო რევოლიუციის საკითხის ლენინური დასმა.

ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ რამდენად მართალი იყო ლენინი, როცა გვასწავლიდა, რომ საერთაშორისო რევოლიუცია არის მეტად რთული პროცესი. ეს პროცესი ერთგვარი არაა კლასიური თვალსაზრისითაც. იგი შედგება არა მარტო წმინდა პროლეტარული რევოლიუციებისაგან მომწიფებული კაპიტალიზმის ქვეყნებში,—თუმცა ეს პროლეტარული რევოლიუციები ქმნიან, რასაკვირველია, საერთაშორისო რევოლიუციონური პროცესის უმთავრეს ბირთვს,—არამედ იგი არის იმპერიალისტური სისტემის ყოველი მხრიდან დანგრევის პროცესი; იგი შეიცავს ეროვნულ განმანთავისუფლებელ ომებს, კოლონიალურ აჯანყებებს, ნახევრად კოლონიალური ქვეყნების დიად რევოლიუციონურ მოძრაობას. დღეს მას შეუძლია ვიღადეს მომწიფებული კაპიტალიზმის ერთ ქვეყანაში; ხვალ მან შეიძლება იფეთქოს დედამიწის მეორე ბოლოში, კოლონიებში; ზეგ მას შეუძლია იფეთქოს შედარებით ჩამორჩენილ, ნახევრად მომწიფებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში და სხ.

საერთაშორისო რევოლიუციის პროცესი არის კაცობრიობის ისტორიის მთელი ეპოქა.

რევოლიუციის საერთაშორისო ხასიათისა და „ერთდროულობის" შესახებ

„საერთაშორისო" რევოლიუცია სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში, რომ იგი სხვადასხვა ქვეყნებში ხდება ერთდროულად, ერთ დღეს. რევოლიუციის საერთაშორისო ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალისტური ქვეყანა მთლიანად, მოექცა საკუთარ წინააღმდეგობათა ისეთ ხლართში, რომ მან დაიწყო რყევა, რომ მისი რევოლიუციონური გარდაქმნა აუცილებელი გახდა, რომ ერთ რევოლიუციონურ ამბოხებას თან სდევს სხვა ამბოხებანი, თუნდაც ეს ამბოხებანი წლობით იყვენ დაშორებული ერთმანეთისაგან.

საერთაშორისო რევოლიუციის „ერთდროულობა", რომლის შესახებაც წინად ზოგადათ ლაპარაკობდენ ხოლმე, არ ნიშნავს ერთი დღის, ერთი საათის ან ერთი წლის „ერთდროულობას". ამ „ერთდროულობას" განსაზღვრავენ ეხლა, როგორც ეპოქის, დიდი ისტორიული ეპოქის ერთდროულობას, რომლის ნაკადი წარმოიშობა სხვადასხვა არხების მთელი სისტემის და მსოფლიო დიდი რევოლიუციონური პროცესის დენიდან, რომელიც შეიცავს ძლევა-მოსილ პროლეტარულ რევოლიუციას და მუშათა კლასის ნაწილობრივ დამარცხებებს, აღმოსავლეთის რევოლიუციებს, დადებითი სოციალისტური აღმშენებლობის პირველ ცდებსაც, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ომებსაც, კოლონიალურ აჯანყებებსაც. როცა კაცობრიობა განვლის თავისი საკუთარი გარდაქმნის მთელს ციკლს, როცა ყველგან და ყოველგან დამკვიდრდება ძლევა-მოსილი მუშათა კლასი,—მხოლოდ მაშინ [illegible], რომ დიდი ისტორიული გზა განვლილია, რომ საერთაშორისო რევოლიუციამ გამარჯვებით დააგვირგვინა თავისი საქმე.

აი, ამხანაგებო, როგორ უნდა დავახასიათოთ მსოფლიო მდგომარეობა. არა: ან სტაბილიზაცია, ან მსოფლიო რევოლიუცია,—არამედ: ნაწილობრივი სტაბილიზაციაც და მსოფლიო რევოლიუციაც, რომელიც რეალურად ხდება და რომელიც სისტემატიურად უთხრის ძირს კაპიტალისტური სტაბილიზაციის ძალებს.

მსოფლიო მდგომარეობის ასეთი შეფასებიდან, სტაბილიზაციისა და საერთაშორისო რევოლიუციის ასეთი გაგებიდან, და აგრეთვე ჩვენი შეხედულებებიდან ერთ ქვეყანაში სოციალისტურ აღმშენებლობაზე, გამომდინარეობს სავსებით განსაკუთრებული დასმა იმ საკითხისა, თუ როგორია ჩვენი როლი საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში.

სოციალიზმის აღმშენებლობა ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო თვალსაზრისით

რა გამომდინარეობს სოციალიზმის ჩვენს ქვეყანაში აღმშენებლობის საკითხის ოპოზიციონური დასმიდან და რა გამომდინარეობს ამ საკითხის ჩვენი დასმიდან, თუ ამ პრობლემას განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის თვალსაზრისით, საერთაშორისო რევოლიუციის თვალსაზრისით.

ვნახოთ, რას მივიღებთ, თუ ჩვენ დავდგებით ოპოზიციონურ თვალსაზრისზე სოციალიზმის ჩვენს ქვეყანაში აღმშენებლობის შესახებ.

ოპოზიციონურ დასკვნათა რიგი, საერთოდ ასეთია: ჩვენ თვითონ, ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო, შინაგან ძალთა არახელსაყრელ მოწყობის გამო, არ შეგვიძლია სოციალიზმამდე მისვლა; ამიტომ,—დაასკვნიან ოპოზიციონერი ამხანაგები,—ჩვენ უნდა მივმართოთ საერთაშორისო რევოლიუციის ძალებს. „ნამდვილი ინტერნაციონალიზმი" უკავშირდება ამგვარად, იმ აღიარებას, რომ ჩვენი შინაგანი ძალებით შეუძლებელია სოციალიზმამდე მიღწევა.

ჩვენი დასმა საკითხისა, სხვაგვარია. ჩვენ ვსცნობთ, რომ ჩვენ შეგვიძლია სოციალიზმის აღმშენებლობა შინაგანი ძალებით და სოციალიზმს ბოლომდეც ავაშენებთ თუ, რასაკვირველია, ხელს არ შეგვიშლიან იმპერიალისტური სახელმწიფოები შეიარაღებული ძალებით.

თუ საბჭოთა კავშირს აქვს შინაური ძალები იმისათვის, რომ სოციალიზმი ააშენოს, მაშინ ამ კავშირის როლი კაპიტალისტური წესწყობილების დამხობის პროცესში არის საერთაშორისო რევოლიუციის უმთავრესი ბერკეტის, უმთავრესი რაზმის, უმთავრესი მომწყობი ძალის როლი. აი, რა გამომდინარეობს საკითხის ჩვენი დასმიდან.

თუ ჩვენ დავდგებით ოპოზიციონურ თვალსაზრისზე და გამოვაცხადებთ, რომ ჩვენ არა გვაქვს შინაგანი ძალები ძლევა-მოსილი სოციალისტური აღმშენებლობისათვის, მაშინ რას უნდა წარმოადგენდეს ჩვენი საბჭოთა კავშირი საერთაშორისო რევოლიუციის თვალსაზრისით? იგი საუკეთესო შემთხვევაში წარმოადგენს საერთაშორისო რევოლიუციის მხოლოდ მნათობს, მხოლოდ ჩვენი პროლეტარიატის ძახილს დახმარებაზე, მნათობს, რომელიც უკვე იწყებს ჩაქრობას.

ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა საკითხის ასეთი დასმის დროსაც არის დადებითი ფაქტი, მაგრამ მეტად ვიწრო ფარგლებში, ვიწრო საზღვრებში. ჩვენ მოუწოდებთ საერთაშორისო რევოლიუციას, მაგრამ როგორც მნათობი, რომელიც მალე ჩაქრება; ჩვენ ვიხევთ სულ უფრო და უფრო უკან და სასოწარკვეთილი გავიძახით დახმარებაზე. ოპოზიციონური მოწოდება საერთაშორისო რევოლიუციისაკენ არის, ამგვარად, სასოწარკვეთილების მოწოდება.

მაგრამ განა ამ ოპოზიციონური მიდგომიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ჩვენი ქვეყანა არის საერთაშორისო რევოლიუციის მთავარი რაზმი, მთავარი მომწყობი ძალა? რასაკვირველია, არ შეიძლება. თუ ჩვენ არა შიგნიდან, არა ჩვენი ქვეყნიდან შევხედავთ იმას, რაც ხდება ჩვენში, არამედ დავაყენებთ ჩვენს თავს დასავლეთ-ევროპის, ამერიკის, ჩინეთის, იაპონიის მუშების მდგომარეობაში, და ამავე დროს მივიღებთ ოპოზიციონურ თვალსაზრისს, მაშინ ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი საკმაოდ ცივი უნდა იყოს. „დიახ,—გვეტყოდენ მაშინ უცხოელი მუშები,—თქვენ მოახდინეთ ოქტომბრის რევოლიუცია, ეს თქვენი გმირობაა, მაგრამ ეხლა აღმოჩნდა, რომ თქვენ საკმაო ძალა არა გაქვთ, რომ ნამდვილად თქვენში ხდება რაღაც გადაგვარება, ტერმიდორი, თუ სხვა რაღაც, ღმერთმა იცის რა; თქვენ გაიძახით დახმარებაზე, ჩვენ დაგეხმარებით, მაგრამ, სინდის ქვეშ რომ ითქვას, ჩვენ არ ვიცით: ღირს თუ არა დაგეხმაროთ თქვენ—ნახევრად გადაგვარებულებს. და ყოველ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია, რომ თქვენ ჩაგთვალოთ მსოფლიო რევოლიუციის მთავარ რაზმად, მთავარ მომწყობ ძალად".

და პირიქით, თუ გერმანიის, ინგლისის, ამერიკის, ჩინეთის და იაპონიის მუშები სცნობენ, რომ ჩვენი შინაგანი ძალები საკმაოა იმისათვის, რომ ავაშენოთ სოციალისტური წესწყობილება, რომ ეკონომიურ მეტოქეობაში დავამარცხოთ და დავამარცხოთ შინაური მტრები,—მაშინ, თავის თავად ცხადია, რომ ეს მუშები უკან გაჰყვებიან ჩვენს ქვეყანას, როგორც მსოფლიო რევოლიუციონური დუღილის მთავარ მომწყობ ძალას. მაშინ დამოკიდებულება პროლეტარული დიქტატურის ქვეყნისადმი სავსებით სხვაგვარი უნდა იყოს, მაშინ იგი უნდა იქნას დაცული სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მაშინ ყოველგვარი საფრთხის წინაშე, რომელიც მას მოელის, ყველაფერი უნდა მივიტანოთ მსხვერპლად, ყველაფერი უნდა შევსწიროთ მას.

რაში მდგომარეობს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი

რაში მდგომარეობს ნამდვილი ინტერნაციონალ

აი, ორი სხვადასხვაგვარი შეფასება. ოპოზიციამ საერთაშორისო მხრივ ჩვენ ყველაზე მეტი ვნება მოგვაყენა იმით, რომ იგი სცდილობდა შეერყია რწმენა იმაში, რომ საბჭოთა კავშირი არის საერთაშორისო რევოლიუციის მომწყობი ცენტრი. ოპოზიციამ, მიუხედავად მისი სიტყვებისა საერთაშორისო რევოლიუციაზე, მხოლოდ ვნება მიაყენა საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს, საერთაშორისო რევოლიუციონური ცენტრის როლის დამცირებით.

რაში მდგომარეობს, ამხანაგებო, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი? ნამდვილი ინტერნაციონალიზმი სრულიადაც არ მდგომარეობს „ზეინტერნაციონალისტურ" ფრაზებში, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოთ რევოლიუციონურ პროცესს, ყოველივე იმას, რაც რაზმავს მჭიდროდ ინტერნაციონალურ პროლეტარულ რიგებს, ყოველივე იმას, რაც ამტკიცებს მსოფლიო რევოლიუციის ისეთ ორგანიზაციულ ცენტრს, როგორიც არის ჩვენი საბჭოთა კავშირი.

აი, რატომ უაღრესად შემცდარი იყო ოპოზიცია კომინტერნის ხაზითაც; აი, რატომ მხოლოდ მეტად უარყოფითი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი პრაქტიკული პოლიტიკური გავლენა, და აი, რატომ იმ უცხოელმა ამხანაგებმაც კი, რომელნიც, შეიძლება, სავსებით ვერ გაერკვენ ჩვენი შინა-პარტიული. დისკუსიის ყველა რთულ საკითხებში, ჩვენს ინდექსებში და „თვითღირებულებაში", ერთსულოვნად გადაჭრით განაცხადეს პროტესტი ოპოზიციის გამოსვლის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმზე.

პლენუმზე იყო უცხოელი ამხანაგების დამახასიათებელი გამოსვლები. „რას ნიშნავს ეს,—ეუბნებოდენ ჩვენს ოპოზიციას, ვსთქვათ, ჩინელი ამხანაგები,—თქვენ ამბობთ, რომ საკავშირო კომპარტია არაა ინტერნაციონალური. მაგრამ ჩვენ ჩინელებმა ძალიან კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს საბჭოთა კავშირი ჩინეთის ხალხისათვის". ინგლისელი ამხანაგებიც ამასვე ამბობდენ, რომელნიც უკვე თავის საკუთარ ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდენ, თუ როგორ მტკიცედ არიან ისინი დაკავშირებული საბჭოთა ქვეყანასთან. უცხოელი ამხანაგები, არ შეიძლება არ მოიცვას, ასე ვსთქვათ, რევოლიუციონურმა აღშფოთებამ, როცა ხედავენ, თუ როგორ სცდილობს ოპოზიცია ძირი გამოუთხაროს საბჭოთა კავშირის მსოფლიო რევოლიუციონურ მნიშვნელობას. უცხოელი ამხანაგებისათვის სავსებით ცხადია ეს ძირითადი საკითხი, თუნდაც ისინი არ იცნობდენ ყველა ჩვენ ციფრებს, კოეფიციენტებს, ინდექსებს და სხ. ასეთ სიბრძნეებს, რომლებთანაც ჩვენ გვაქვს საქმე.

მსოფლიო მეურნეობის სამი ნაწილი

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმთავრეს და ორიგინალურ ნიშნებს შეიძლება ასეთი რეზიუმე მოუხდინოთ: მსოფლიო მეურნეობა ეხლა გაიყო სამ უმთავრეს ნაწილად, რომელნიც თავისი ტიპით ერთგვარი არ არიან—აღმოსავლეთი, საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური მსოფლიო. მსოფლიოს იმპერიალისტური ნაწილის შიგნი ხდება ურთიერთობათა თავისებური პოლირიზაცია. ჩვენს თვალწინ არის ტენდენცია ბლოკის შეკვრისა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთს შორის. ცხადია აგრეთვე, მეორეს მხრით ტენდენცია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბლოკისა ჩვენს წინააღმდეგ, რომელიც რამდენადმე გართულებულია წინააღმდეგობებით მათ ბანაკში. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ შეიძლება უკრიტიკოდ დაუპირდაპიროთ საერთაშორისო რევოლიუციას. საერთაშორისო რევოლიუცია მეტად აქტიურად იჩენს თავს დედა-მიწის ზოგ ნაწილში, რაიც სრულიადაც არ უარჰყოფს ნაწილობრივ სტაბილიზაციას სხვა ნაწილებში. სტაბილიზაციის საკითხიც, რევოლიუციის საკითხიც არ შეიძლება დაისვას ზოგადი სახით: საჭიროა დიფერენციაცია საკითხის დასმის დროს.

საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში ჩვენი ქვეყანა მთავარი გამძღოლის როლს თამაშობს. ამიტომ როგორიც არის უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების დაპირდაპირება საერთაშორისო რევოლიუციის ამოცანებისადმი, ეს დაპირდაპირება სავსებით შემცდარია და ვნებას აყენებს უპირველეს ყოვლისა, თვით საერთაშორისო რევოლიუციას.

შინაური მდგომარეობის ძირითადი მომენტები

გადავდივარ ჩვენი შინაური მდგომარეობის ზოგიერთ საკითხებზე. მე აქაც პირველ რიგში ვაყენებ შემდეგ საკითხს: რა არის ყველაზე უფრო ორიგინალური ეხლა, განვითარების ამ პერიოდში. საერთოდ და მთლიანად სავსებით სწორია ის მოსაზრება, რომ ჩვენ აღდგენითი პერიოდიდან რეკონსტრუქციულ პერიოდში გადავედით. ასეთი დახასიათება სავსებით სწორია. მაგრამ მე მსურდა გამომერკვია, არის თუ არა განსაკუთრებული რამ ამ დიდი პერიოდის იმ ნაწილში,—გადასვლა რეკონსტრუქციისაკენ,—რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით. შეიძლება თუ არა სამეურნეო „მომენტი" დავახასიათოთ ამ სიტყვის უფრო ვიწრო და სპეციალური აზრით. მე მგონია, რომ შინაგანი მიმდინარე ეკონომიური მომენტის დამახასიათებელი თავისებურებანი არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამი ნიშანი.

სოფელი და ქალაქი

პირველი, ჩვენ გვაქვს სავსებით განსაკუთრებული მდგომარეობა, რამდენადაც ლაპარაკია ქალაქისა და სოფლის დამოკიდებულებაზე ეროვნული შემოსავლის განაწილების დარგში. ეროვნული შემოსავლის განაწილების ჩვენი მექანიკა თავის გამოხატულებას ჰპოულობს არა მარტო და არა იმდენად საგადასახადო დაბეგვრაში, რამდენადაც ფასების პოლიტიკაში. უმთავრესი ბერკეტი, რომლითაც ჩვენ ამ ჟამად ვიღებთ თანხებს მოსახლეობიდან, ვიყენებთ მას ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის, პირველ რიგში ეხლა არის ფასების პოლიტიკა. და აი, ამხანაგებო, მე მგონია, რომ ამ დარგში ჩვენ ამ ჟამად თითქმის მივედით საზღვარზე. ამ საზღვრის იქით, სოფლიდან დამატებითი, ექსტრაორდინალური შემოსავლის მიღების დარგში, საეჭვოა რომ წინსვლა შეიძლებოდეს. ეს არის რაღაც სპეციფიური, განსაკუთრებული, ისეთი რამ, რაიც მთელ ჩვენ პარტიას აიძულებს განსაკუთრებული სახით დასვას ფასების პრობლემა.

მე აქ არ განვავითარებ საერთო მოსაზრებებს მუშათა კლასის გლეხობასთან ბლოკის და ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესახებ,—ამაზე საკმაოდ ითქვა,—მაგალითისათვის მოვიყვან მხოლოდ საკითხს აგრარული ნედლეულის შესახებ ჩვენი მრეწველობისათვის. თქვენ იცით, რომ ჩვენი მსუბუქი მრეწველობის განვითარებას ეღობება საკუთარ საბჭოთა ნედლეულის მწვავე ნაკლებობა: არ არის საკმაო რაოდენობის ტყავი, ბამბა, სელი და სხ. ჩვენი ნედლეულის ბაზას,—რომელიც ჩვენი სასოფლო მეურნეობის განსაზღვრული ნაწილია,—აბრკოლებს ის გარემოება, რომ განსხვავება სასოფლო მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქტების ფასებს შორის, რომელზედაც ილაპარაკა აქ ამხ. რუძუტაკმა, კვლავ თითქმის იმავე უაღრესად არანორმალურ დონეზე იმყოფება, რომელშიაც იყო 1924 წ. გაზაფხულზე. და თუ თქვენ მიიღებთ მხედველობაში იმას, რომ ფასების შემცირებისათვის ბრძოლის დიდი მნიშვნელობა ჩვენ შევიგნეთ ჯერ კიდევ 1923 წლის შემოდგომაზე. მაშინ თქვენ მიხვდებით, რომ ჩვენ ამ ხაზით რეალურად უკუსვლა მოვახდინეთ. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ და მთლიანად ჩვენ გვაქვს ძალების უდიდესი ზრდა, ქალაქისა და სოფლის დამოკიდებულება ზოგიერთ მის ნაწილებში ისეთია, რომ ამან უკვე დაიწყო გამომჟღავნება ჩვენი „ნედლეული" მეურნეობის აშკარა ნაკლებობაზე და აგრარული ნედლეულის საერთო პროდუქციის და ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილების შორის არსებული დისპროპორციის გამწვავებაზე.

არანორმალური მდგომარეობა ნედლეულის დარგში ჩვენ გვაძლევს განსაზღვრული სიძნელის ნიშანს, გვაიძულებს ჩვენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ფასებს. სამეურნეო პოლიტიკის დარგში სოფლად ჩვენ უკვე მივედით განსაზღვრულ კიდემდე. ამ კიდის იქით გადასვლა სახიფათოა. ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილით უნდა ვიდოდეთ ამ ხაზით. ნედლეულის მეურნეობის მდგომარეობა არის ეკონომიური გაფრთხილება, რომელიც ზედმიწევნით უნდა იქნას გათვალისწინებული ჩვენს საერთო ეკონომიურ პოლიტიკაში. ეს არის პირველი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მიმდინარე ეკონომიურ მომენტს.

ბაზრის დაპყრობა

ეხლანდელი მომენტის მეორე თავისებურობა არის ის გარემოება, რომ ჩვენ უკანასკნელ ხანებში დიდი მიღწევები გვაქვს ბაზრის დაპყრობის საქმეში. ჩვენ ეხლა პირველად გვაქვს გაბატონებული მდგომარეობა პურის დამზადების ბაზარზე.

უმთავრესი იარაღი, რომელსაც თავის დროზე ოპოზიცია მომართავდა ხოლმე ჩვენს წინააღმდეგ, იყო ის არგუმენტი, რომ პურის ბაზარზე ჩვენ გვამარცხებს კულაკური სტიქია. თქვენ, ყველას გახსოვთ ლაპარაკი იმაზე, რომ თითქოს კულაკმა ჩვენ ისეთი „ჩაგვცხო", რომ ყირამალა დააყენა ჩვენი დამამზადებელი ოპერაციები, რომ ჩვენ ბრმა სათამაშო ვართ კულაკის ხელში, რომელმაც ხელთ იგდო პურის უდიდესი მარაგი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ დავიპყარით პურის ბაზარი, ჩვენ აქ გაბატონებული ვართ. პურის ბაზრიდან ჩვენ განვდევნეთ კერძო კაპიტალი, რომელიც სხვა დარგებისაკენ მიისწრაფის, მაგრამ ჩვენ მას სისტემატიურად განვდევნით იქიდანაც.

ჩვენ, ამგვარად, განვმტკიცდით ერთ მნიშვნელოვან საბრძანებლო მაღლობთაგანზე. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ბაზრის სფეროში მთლიანად ჩვენ მივაღწიეთ განვითარების ისეთ დონეს, რომ აქ ყველაფერი რიგზეა. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტების ფასებს შორის არსებული განსხვავების ზრდა,—ძირითადი მოვლენა ჩვენს ბაზარზე,—არის დამახასიათებელი მომენტი, რომელიც ჩვენ განსაზღვრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ საფრთხის ნიშანს გვაძლევს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ გაბატონებული ვართ საქონლის ბრუნვაში და ბატონ-პატრონნი ვართ პურის ბაზარზე. ეს კი უეჭველია, ახალი და სპეციფიური რამ არის.

პროლეტარიატი სამეურნეო პროცესის ხელმძღვანელი

მესამე თავისებურობა არის ის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალ ფაზისში. დაწყებული რეკონსტრუქტიული პროცესის ამ ეტაპზე ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი მუშათა კლასი იმდენად გამაგრდა საბრძანებლო მაღლობებზე, რომ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო პროცესის ხელმძღვანელი გახდა. როცა ჩვენ ის იყო დავიწყეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, მაშინაც ვაყენებდით ჩვენს წინაშე ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური ხელმძღვანელობის ამოცანას, მაგრამ ჩვენ რეალურად ეს ხელმძღვანელობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ გვქონია. დღემდე ჩვენ ვიპყრობდით საბრძანებლო მაღლობებს, მაგრამ არ შეიძლებოდა მტკიცება, რომ როცა ჩვენ ვიჯექით, ასე ვთქვათ, საბრძანებლო მაღლობებზე, როცა განვმტკიცდით მთლიანად ამ მაღლობებზე, ჩვენ ყოველმხრივ ვხელმძღვანელობდით მეურნეობას. მე მოგაგონებთ, რომ ანგარიშში სახელმწიფო ორგანოებს შორისაც კი მეტი წილი ჰქონდა კერძო კაპიტალს, რომ ნეპის რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ მძაფრი ბრძოლა გვქონდა ჩვენს საბრძანებლო მაღლობებსა და კერძო კაპიტალისტურ წრეებს შორის, ბრძოლა, რომელშიაც კერძო პირს მეტად ძლიერი პოზიციები ეჭირა. ეხლა მეტად გაიზარდა და განმტკიცდა მუშათა კლასის, როგორც მეურნეობის ხელმძღვანელის როლი. ეხლა ძალიან დიდად გაიზარდა მთელი მუშათა კლასის პასუხისმგებლობა, ჩვენი პარტიის პასუხისმგებლობა, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და იმ სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა, რომლებსაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ. მუშათა კლასი ეხლა მართლა ხელმძღვანელობს აურაცხელ მოსახლეობას, ატრიალებს მრავალი მილიარდის ღირებულებას; თვით გაფანტული გლეხური მეურნეობანი უმთავრესად დამოკიდებულნი არიან მუშათა კლასის სამეურნეო პოლიტიკისაგან.

ბრუნვის აჩქარება—ზრდის ძირითადი წინასწარი პირობაა

სანამ თანამედროვე ეკონომიური მომენტის დამახასიათებელი ნიშნების გარკვევიდან გადავიდოდე ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის სადღეისო, საჭირბოროტო ამოცანებზე, მე ცოტა უკან უნდა დავბრუნდე და დავსვა საკითხი ჩვენი განვითარების შესაძლებლობის შესახებ საზოგადოდ. ძალიან ხშირად ჩვენში შეიძლება [illegible] ასეთი მსჯელობა: „რა უყოთ, საზღვარ-გარეთიდან არაფერს არ ვიღებთ, არავითარი განსაკუთრებით დიდი კრედიტებს არ გვაყრიან ჩვენ ჯერ კიდევ ღარიბნი ვართ, ჩვენ, სინდის ქვეშ რომ ვსთქვათ, არ გვაქვს ბაზა ჩვენი მომავალი კეთილდღეობის ასაგებად. ჩვენ არავინ არაფერს არ გვაძლევს. დასავლეთი ევროპა და ამერიკა—მდიდარი ბიძიებია, მაგრამ ისინი უფრო კბილებს ილესავენ ჩვენზე, ვიდრე გვეხმარებიან,—მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ არ გვაქვს ზრდის საფუძველი". ეს არის იმ ხალხის პესიმისტურ მსჯელობათა ერთი საფუძველთაგანი, რომელნიც [illegible] ყოველგვარ შესაძლებლობათა „შეუძლებლობის" შესახებ.

მე მოვიყვან ერთ ისტორიულ მაგალითს. როცა ჩვენ სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავდიოდით,—ვიღებდით თუ არა რამეს საზღვარ-გარეთიდან? არაფერს არ ვიღებდით. გვაძლევდა თუ არა ვინმე ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს კრედიტს, მოდიოდა თუ არა ჩვენში გარედან რაიმე კაპიტალური თანხები? არავითარი ამის მსგავსი არ ყოფილა, როგორც ვიცით. განა გავიძახოდით მაშინ ყველა გზაჯვარედინზე, რომ ხელს ვიღებთ ჩვენს კომუნისტურ მიზნებზე? არ გავიძახოდით. მხოლოდ მარტოვმა განცხადა, „ახალ ოპოზიციაზე" ადრე, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მაშინ, 1921 წელში დაიწყო ტერმიდორი. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება: სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს ჩვენ არავინ არაფერი არ გვაჩუქა და არავითარი საზღვარ-გარეთული ოქროები არ ჩამოცვენილა ჩვენში.

მაგრამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მაინც სდევდა თან ჩვენი უეჭველი ზრდა. რატომ? რატომ მოხდა ასე, რომ არაფერი არ მიგვიღია გარედან, არაფერი არ მიგვიღია აგრეთვე დამატებით შიგნიდან, მაგრამ ჩვენ მაინც სწრაფად ვიწყეთ ზრდა? იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის არსებული საწარმოო ფაქტორები და ელემენტები, რომელნიც წინად არასწორ ურთიერთობაში იმყოფებოდენ ერთმანეთისადმი, შებოჭილი იყვენ ჩვენი პოლიტიკით, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში ისინი გამოვაცოცხლეთ, გავანთავისუფლეთ შემბოჭველი ზღუდეებისაგან, მივეცით საშუალება იმისა, რომ ერთმანეთი განაყოფიერებინათ.

პირველ რიგში ჩვენ სწრაფად შევათავსეთ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობისა და წვრილ-გლეხური მეურნეობების კერძო ინტერესები, რის შესახებაც ამბობდა ლენინი ერთ-ერთ თავის თხზულებაში. ეს შეთავსება ჩვენ მოვახდინეთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში.

ჩვენ, როგორც მოცემული ავიღეთ ის, რაც იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იგი ავიღეთ ახალ ორგანიზაციულ შეჯგუფებაში, შეთავსებაში. სხვადასხვა ეკონომიურმა ფაქტორებმა, რომელნიც ახალი სახით იქნენ ურთიერთისადმი შეხამებულნი, იწყეს ერთმანეთის განაყოფიერება, მიგვიყვანეს ნივთიერ ღირებულებათა ზრდის პროცესამდე. და ამ პროცესმა იწყო განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთმა „ამერიკელმა ძიამ" არ მოგვიტანა ხონჩით კრედიტები იმის საკომპენსაციოდ, რომ ჩვენ, ასე ვსთქვათ, მოვკვიანდით სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს.

იმის შემდეგ, ამხანაგებო, ჩვენ გავიარეთ სამეურნეო განვითარების უდიდესი ციკლი. ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე მძლავრი იმპულსი მივეცით საწარმოო ძალებს, ჩვენ მთელი ეკონომიური ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორი გავხდით, ჩვენ მთლიანი ეკონომიკის ნამდვილი ბატონ-პატრონი გავხდით, ჩვენ უდიდესი სივრცით გავშალეთ ჩვენი ეკონომიური მანევრის მასშტაბი.

ჩვენი ეხლანდელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვსძლიოთ ყველა სიძნელენი, რომ სილატაკე, რომელიც ჩვენშია, უმუშევრობა, რომელიც ჩვენშია, ჩვენი სასოფლო მეურნეობის ავადმყოფობანი სწრაფად აღმოვფხვრათ. აქ ლაპარაკი არის არა იმაზე, რომ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს გარედან მივიღოთ (თუმცა, რასაკვირველია, „ყოველი წყალობა", რამდენადაც იგი არ უარჰყოფს ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის პრინციპებს, არის „დოვლათი"), არამედ იმაზე, რომ ყველა ეკონომიურ-პოლიტიკური ღონისძიებებით, ყველა ჩვენი ბერკეტებით, რომელნიც გვაქვს, ეკონომიური ცხოვრების მსვლელობაზე მოვახდინოთ ზეგავლენა ისე, რომ სისტემატიურად დავაჩქაროთ ჩვენი სამეურნეო ზრდის პროცესი.

მე, ალბად, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ცენტრალური იდეა, ჩვენი ცენტრალური ეკონომიური დირექტივა უნდა იყოს საქონლის ბრუნვის აჩქარების დირექტივა. საქონლის ბრუნვის აჩქარება გააძლიერებს ჩვენი სამეურნეო მთლიანობის სხვადასხვა ნაწილების ურთიერთ განაყოფიერებას, დააჩქარებს ნივთიერ ღირებულებათა დაგროვების პროცესს ჩვენს ქვეყანაში. ცხადია, რომ საქონლის ბრუნვის აჩქარება არის საერთო ეკონომიური დირექტივის მხოლოდ ნაწილი, იმ დირექტივის, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ჩვენი სამეურნეო ამოცანების მთელი სისტემა.

მუშათა კლასის როგორც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ წინამძღოლის ამოცანები

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელსაც ხელთ უპყრია ხელისუფლების სადავე და რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ წინამძღოლს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს თავისი გაბატონებული მდგომარეობა.

ბურჟუაზიის ბატონობის დროს კაპიტალისტურ სახელმწიფოში მუშათა კლასს აქვს ერთი ძირითადი საზრუნავი ყოველდღიურ ბრძოლაში. ნაციონალურ შემოსავლის გაყოფის თვითეულ მომენტში მიიღოს რაც შეიძლება მეტი წილი. მაშინ ეს იყო მუშათა კლასისათვის სწორი ხაზი, მაშინ, კაპიტალისტურ რეჟიმის დროს, ამ ხაზიდან გადახვევა ოპორტუნიზმს ნიშნავდა. მაშინ მხოლოდ კაპიტალისტური პლუტოკრატიის დამქაშებს შეეძლოთ ლაყბობა მუშათა კლასის ეგრეთ წოდებულ „უსაზღვრო მოთხოვნილებებზე".

სულ სხვა საქმეა, როცა მუშათა კლასი გაბატონებულ კლასს წარმოადგენს ვეებერთელა ქვეყანაში. მისი საზრუნავი საგანია არა მარტო ის, რომ ამა თუ იმ მომენტში რაც შეიძლება მეტი მიიღოს, არამედ ისიც, რომ განუწყვეტლივ თვალყური ადევნოს იმას, თუ რა მოხდება ხვალ. მან უნდა აგოს პასუხი მთელი სამეურნეო ერთეულისათვის, მთელი ქვეყნისათვის, იმისათვის, რომ ის არ დაიშალოს. მისი რევოლიუციონური ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ განამტკიცოს პროლეტარული ჰეგემონია, სისტემატიურად გააძლიეროს ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტები.

აი ამიტომ სრული უაზრობაა ის, რასაც ვამჩნევთ ზოგიერთ ყველაზე უფრო „რადიკალურ" ოპოზიციონერს: წინადადების მიცემა მუშათა კლასისათვის, რომ მან „ხელიდან არ გაუშვას მომენტი", რომ ნაციონალური შემოსავლის გაყოფის დროს მაქსიმუმი წაიღოს თავისთვის თვითეულ მომენტში. ჩვენ, რასაკვირველია, იმ გლეხებს, რომელნიც ამზადებენ სელს, ბამბას, ტყავს, ეწევიან მესაქონლეობას და სხვ. შეგვიძლია ტეხნიურად გაცილებით უფრო მეტი გამოვართვათ, ვინემ ვართმევთ. მაგრამ ამით ჩვენ დავკარგავდით საკუთარ ნედლეულის ბაზას, რაც გამოუსწორებელი სისულელე იქნებოდა.

ეხლა ჩვენი პარტიის ყველა წევრი უნდა ხედავდეს იმას, თუ რა იქნება ხვალ, ზეგ. ეს არის არსებითი განსხვავება ჩვენს პარტიასა და უბრალო ანუ ჩამორჩენილ მუშას შორის. ჩვენმა პარტიამ ამ პერიოდში უნდა უთხრას თავის თავს: „ჩვენ ვართ მუშათა პარტია, რომელიც სათავეში უდგია ხელისუფლებას და აშენებს სოციალიზმს, პარტია, რომელიც უდიდეს ისტორიულ პასუხისმგებლობას ატარებს. ჩვენ განვიცდით ამა და ამ მომენტს სამეურნეო განვითარებაში ამა და ამ განსაკუთრებულ თავისებურობებით. ჩვენ მთელი ძალღონით უნდა შევუდგეთ ალებ-მიცემობის აჩქარებას, ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას, განსაკუთრებით იმ დარგებში, რომელნიც ნედლეულს ამზადებენ ინდუსტრიისათვის. ჩვენ, დაბოლოს, უნდა გავანაღდოთ ჩვენი ფასების პოლიტიკა უნდა დაუკლოთ ფასებს. ჩვენ ყოველთვის უნდა ვფიქრობდეთ ხვალინდელ დღეზე, შესაძლებელ გართულებებზე და საფრთხეებზე".

ჩვენ ხელი უნდა მივყოთ სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციას მით უფრო, რომ უკანასკნელი მჭიდროთ არის დაკავშირებული უმუშევრობასთან. ჩვენს უმუშევართა მეტ ნაწილს, როგორც ცნობილია, შეადგენენ—სოფლიდან გამოსულები—გაპროლეტარების გზაზე დამდგარი, გაღარიბებული გლეხები. გლეხთა მასების გადმოსვლას სოფლიდან ქალაქში იწვევს ის გარემოება, რომ ქალაქის და სოფლის საცხოვრებელი დონე განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ არსებულ პირობებში შეუძლებელია მეურნეობისა და ცხოვრების მოწყობის მხრივ ნაყოფიერი მუშაობა სასოფლო მეურნეობაში.

ღმერთმა დაგვიფაროს იმის ფიქრიდან, რომ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, სხვადასხვა ძვირფას კულტურების გავრცელება, სოფლის მეურნეობის სათანადოთ რაიონებად დაყოფა,—ეს არის პრობლემა, რომლის გადაჭრა შეიძლება დღეს ან ხვალ. ჩვენ არ ვიქნებოდით მაინც და მაინც გონიერი ხალხი, რომ გვეფიქრა, რომ აქ ერთი ხელის დაკვრით ყველაფერი რიგზე მოეწყობა. მე აქ ვლაპარაკობდი, რომ ჩვენი მუშაობა ხანგრძლივი დროისათვის არის ნავარაუდევი, ვინაიდან ჩვენ ამ ჟამად უნდა ვფიქრობდეთ არა მარტო იმ ამოცანებზე, რომელთაც დღევანდელი დღე გვიყენებს, არამედ თანდათან უფრო მეტად იმ ამოცანებზედაც, რომელთა გადაჭრა ჩვენ მოგვეთხოვება მრავალი წლის განმავლობაში.

მეურნეობის რაციონალიზაცია

ვზრუნავთ რა სასოფლო მეურნეობის აღორძინებაზე და ინტენსიფიკაციაზე, ჩვენ კიდევ მეტი ენერგიით უნდა შევუდგეთ მთელი ჩვენი ეკონომიკის, განსაკუთრებით მრეწველობის რაციონალიზაციის პრობლემის გადაჭრას. რაციონალიზაცია უნდა სწარმოებდეს სამი მთავარი ხაზით.

პირველი,—ის უნდა წარმოადგენდეს წარმოების რაციონალიზაციას (თვითღირებულების შემცირება, ყოველგვარ ზედნართ საწარმოო ხარჯების შემცირება, არა საწარმოო მოხმარების შემცირება, შრომის პროდუქტების გადიდება და სხვ.).

მეორე—ის უნდა წარმოადგენდეს ალებ-მიცემობის, ე. ი. ჩვენი საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაციას.

და დასასრულ, მესამე—ის უნდა წარმოადგენდეს ჩვენი სამმართველო აპარატის რაციონალიზაციას (აპარატის მაქსიმალურად განმარტივება, ზედნართი ხარჯების შემცირება, მრავალ საფეხურიანობის, პარალელიზმის, ზე-ცენტრალიზმის ლიკვიდაცია, ინსტანციების რიცხვის შემცირება და სხვ.).

რაციონალიზაციის პრობლემა არის უაღრესად რთული პრობლემა, რასაც უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშებმა, რომელნიც ჩვენი პარტიის უშუალო ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. თუ ჩვენ წარმოების რაციონალიზაციის დარგში მოვახერხებთ დიდი მუშაობის გაწევას, ეს დიდათ გაგვიადვილებს ჩვენ ალებმიცემობის აჩქარების პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრას, საშუალებას მოგვცემს უჩვეულოდ გამოვაცოცხლოთ „სისხლის" მიმოქცევა ქალაქსა და სოფელს შორის და საერთოდ დიდ სტიმულს მისცემს ჩვენს განვითარებას.

ფასების დაკლება

მეურნეობის რაციონალიზაცია გაგვიადვილებს ჩვენ ფასების პრობლემის გადაჭრასაც. ფასების პრობლემაზე მე დიდხანს არ ვილაპარაკებ იმიტომ, რომ ამაზე უკვე დაწვრილებით ვილაპარაკე მოსკოვის კონფერენციაზე. ფასების პოლიტიკა ამჟამად ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის გადამწყვეტი კვანძია. რეალური სამუშაო ხელფასი დამოკიდებულია „მაკრატელზე". მაგრამ გარდა ამისა მაღალი ფასები აფერხებენ ჩვენი მეურნეობის სწორი წინსვლის შესაძლებლობას. ჩვენში, ამხანაგებო, არ არის კონკურენციის მათრახი, რომელიც ჩვენ სამეურნეო მუშაკებს აიძულებდა ბრმა სტიქიურ კანონის ძალით, ყოველ მიზეზს გარეშე, თანდათანობით გაეუმჯობესებინათ ჩვენი წარმოების, ალებ-მიცემობის და მართვა-გამგეობის სისტემა. სწორედ ამიტომ აქ საჭიროა მუშათა კლასის და გლეხობის შეკავშირებული ზეგავლენა. მხოლოდ თვით მშრომელთა მასების ზეგავლენა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით სამეურნეო ორგანოებზე დღითიდღე გამოაფხიზლებს ჩვენს სამეურნეო მუშაკებს და აიძულებს მათ ყოველთვის იზრუნონ თვითღირებულების შემცირებაზე, საცალო ვაჭრობის გაჯანსაღებაზე, წარმოების გაუმჯობესებაზე, არასაწარმოო ხარჯების ყოველმხრივ შემცირებაზე და სხვა.

ჩვენს მუშათა კლასს თავის ხელთ უპყრია უდიდეს და ურთულეს სამეურნეო მანქანის ბერკეტები. ჩვენში მჭიდროთ გაერთიანებულია და თავმოყრილია გიგანტიური რესურსები. ასეთი ცენტრალიზაცია, სამეურნეო ძლიერების ასეთი თავმოყრა რამოდენიმე ცენტრში, როგორც ეს ჩვენ გვაქვს, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის.

ასეთ პირობებში ჩვენი სამეურნეო მუშაკების და თვითეული ჩვენთაგანის მოვალეობაა შევქმნათ აუცილებელი გარანტიები მუშაობის შეფერხების წინააღმდეგ. ჩვენ ვალდებული ვართ გავაუმჯობესოთ ჩვენი წარმოება, ჩვენ ვალდებული ვართ დავუკლოთ ფასებს. ჩვენს საწარმოო და სამეურნეო დარგის მუშაკებსა და კოოპერატორებს შორის უნდა შევქმნათ სათანადო ფსიქოლოგია. ჩვენში განსაკუთრებით ეხლა, დაუშვებელია მიდგომა მომხმარებლისა და მყიდველისადმი, როგორც ისეთ არსებისათვის, რომელიც ყოველგვარ ნაყარ-ნუყარას მოინელებს. საჭიროა სამეურნეო მუშაკებს ჩაუნერგოთ უდიდესი პატივისცემა მყიდველ-მომხმარებლისადმი. უნდა გავიგოთ, რომ ჩვენში არა მომხმარებელი ემსახურება სამეურნეო აპარატს, არამედ სამეურნეო აპარატი ემსახურება მომხმარებელს, ვინაიდან მომხმარებელი არის ის, ვისაც ჩვენი ბოლშევიკური პარტია ემსახურება, მომხმარებელნი—ეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასები არიან. ასე და მხოლოდ ასე უნდა ვაყენებდეთ ჩვენ საკითხს (ტაში).

ამხანაგებო, მე ვიცი, რომ საკითხის ასე დაყენებამ შესაძლოა ზოგიერთ ჩვენ სამეურნეო მუშაკებს შორის გამოიწვიოს „ბუნებრივი" უკმაყოფილების გრძნობა. შეიძლება ასეთი სიტყვებიც გავიგონოთ: „რა საჭირო იყო ხალხის წასისიანება სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგო", მაგრამ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ჩვენი საბჭოთა ცხოვრების სატკივარი—ბიუროკრატიზმი, რაზედაც ათასჯერ უთქვამს და დაუწერია ლენინს, თავის დასაბამს ჰპოულობს სწორედ აქ, სამეურნეო აპარატში.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ბიუროკრატიზმი არის განსაზღვრული დამოკიდებულება ხალხისა და მუშაობისადმი. ბიუროკრატიზმი ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებში, ეს არის პირველყოვლისა, უმსგავსო მოპყრობა მომხმარებელ მასისადმი, მომხმარებელზე მაღალი ხიდან გადაფურთხების მანერა. ეს ფსიქოლოგია ჩვენ უნდა მოვსპოთ, უნდა აღმოვფხვრათ ძირიან-ფესვიანად,—მხოლოდ მაშინ მივაღწევთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მთელს ხაზზე.

აქ მე, სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო შემდეგი: ოპოზიციონური პლატფორმის უდიდესი—მე ვიტყოდი პარადოქსალური—უაზრობა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი გამოჩენილი ოპოზიციონერი მოითხოვდა ფასების მომატებას. მაღალი ფასების პოლიტიკა მსხვილი ინდუსტრიის მონოპოლიური დაპატრონების ნიადაგზე ნამდვილად ხომ ჩვენი ბიუროკრატიული გადამახინჯების უდიდესი და უსაშინელესი ფაქტორი იქნებოდა. ამიტომ პარტიის ცეკა, ებრძოდა რა ასეთ ოპოზიციონურ შეხედულებას, ფიქრობდა სხვათა შორის, რომ ამით ის ეწეოდა მუშაობას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგშიაც.

სამეურნეო მუშაკებს არ უნდა სწყინდეთ, როცა ყოველივე ამაზე გვიხდება ლაპარაკი. უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკაშიაც და ეკონომიკაშიაც საქმეს სწყვეტს არა სუბიექტიური ნება-სურვილი, არა კარგი მუშაკების სულიერი განწყობილება, არამედ ამბების ობიექტიური ლოღიკა. აქ ხომ ლაპარაკია მასებზე, ასეულ ათას და მრავალ მილიონ ხალხზე, კლასებზე, რომელთა მოძრაობა და განვითარება განსაზღვრულ კანონებს ექვემდებარება. ჩვენ გვაქვს სამეურნეო ხელმძღვანელობის გიგანტიური აპარატი, ამ აპარატში ზის რამდენიმე ათასი საუკეთესო სამეურნეო მუშაკი-კომუნისტი, რომელნიც სავსებით ერთგულად ეკიდებიან თავის საქმეს და რომელთაც უეჭველი დამსახურება აქვთ ჩვენი მეურნეობის აღდგენაში. მაგრამ, მიუხედავად კარგი სურვილებისა, ისინი უძლურნი აღმოჩნდებიან, თუ ჩვენ ყველა სამეურნეო ორგანოებს არ ჩავაყენებთ ისეთ ობიექტიურ ორგანიზაციულ ჩარჩოებში, რომელნიც საშუალებას მისცემენ და აიძულებენ ჩვენს მუშაკებს იმოქმედონ მაქსიმალური ეფექტით.

აქ ჩვენს წინაშე ისმება საკითხი, რომელიც შეეხება ამ ამოცანის გადაჭრაში ფართო მასსების მიზიდვას. ამაზე მე საკმაოდ ბევრი ვილაპარაკე მოსკოვის კონფერენციაზე. აქ მე ერთხელ კიდევ უნდა განვიმეორო, რომ მასსების, განსაკუთრებით პროფკავშირთა მასსების ჩაბმა ფასებისათვის ბრძოლაში, ბრძოლაში სამეურნეო ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ—ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. სხვანაირად კი, თუ მარტო ჩვენ ვიძახეთ და ვიყვირეთ ფასების დაკლებაზე, ხოლო მასსები განზე დარჩნენ,—მუშები იტყვიან: „თქვენ ლაყბობთ, [illegible] ფასების დაკლებაზე, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, სულერთია ფასების არავითარი დაკლება არ ხდება". მასსები უბრალო მაყურებლებიდან აუცილებლად უნდა ვაქციოთ ჩვენი სამეურნეო ბრძოლის აქტიურ მონაწილეებად. ჩვენს სამეურნეო მუშაკებს ჩვენ ვეტყვით: „ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ ვიცით, რომ ძალიან ცხელ კეცზე გაჯენთ თქვენ, მაგრამ რა ვქნათ, ასეთია ჩვენი ძმის კომუნისტის მოვალეობა, მან ოფლი უნდა ღვაროს უაღრესად მძიმე და ზოგჯერ ჯოჯოხეთურ მუშაობაში; რაც არ უნდა მოგივიდეთ ოფლი უნდა დაღვაროთ, ხოლო თქვენი შვილისშვილები მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში მიიღებენ სამისო ღირსეულ ჯილდოს (სიცილი, ტაში).

რაციონალიზაცია და მუშა ხელის განაწილება

ამხანაგებო, რაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ რასაკვირველია ძალიან ბევრი რთული და ძნელი პრობლემის გადაჭრა მოგვიხდება. ერთ-ერთ ასეთ პრობლემაზე მე მინდა ეხლა შევჩერდე. ზოგჯერ გაიგონებთ ასეთ სიტყვებს: ჩვენ ვიწყებთ რაციონალიზაციას და სხვ., მაგრამ ეს ხომ ზოგჯერ ნიშნავს —„მიიღე ანგარიში და წადიო". ჩვენ უსათუოდ უნდა ჩაუფიქრდეთ მთელ ამ პრობლემას. მე გამზადებული გადაწყვეტილება როდი მაქვს ჯიბეში, მე მინდა მხოლოდ მიუთითო იმ ხაზზე, რომელიც ჩემის აზრით აქ გამოგვადგება.

რასაკვირველია, არ ღირს გავრცელება იმაზე, რომ ჩვენში რაციონალიზაცია ისეთი არ არის, როგორც ეს არის კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ყველას ესმის, რომ რაციონალიზაციით ჩვენ ვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის საქმეს, მაშინ როცა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში რაციონალიზაცია ხელს უწყობს კაპიტალისტური ექსპლოატაციის საქმეს; რომ ჩვენ ვმოქმედობთ მუშათა კლასის ინტერესების გულისთვის, ხოლო იქ მოქმედებენ კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის. არის კიდევ ერთი განსხვავება. ყოველი რაციონალიზაცია დასავლეთ ევროპაში დაკავშირებულია უმუშევართა რიცხვის სისტემატიურ გადიდებასთან და ამავე დროს ეს უმუშევრობა ჩაგრავს უმეტესად ძირითად ინდუსტრიალურ მუშებს. ჩვენში, ამხანაგებო, სულ სხვანაირი პერსპექტივებია კაპიტალიზმის ქვეყნებთან შედარებით. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ინდუსტრიალურ მუშებზე და არა უმუშევართა იმ ძირითად მასსებზე, რომელიც სოფლიდან მოდის. (ეს უკანასკნელი უმუშევრობა უნდა აღმოიფხვრას უმთავრესად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით).

რასაკვირველია, საწარმოო პროცესის რაციონალიზაცია, ახალი მანქანების შემოღება პირველყოვლისა რამოდენიმედ გამოიწვევს კვალიფიციურ მუშების ნაწილის განდევნას საწარმოო პროცესიდან. ამაზე თვალის დახუჭვა სისულელე იქნებოდა, მაგრამ საჭიროა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გადავჭრათ ეს საკითხი.

საერთოდ და უმთავრესად ამ მინუსს დაფარავს, რასაკვირველია, ჩვენი ინდუსტრიის განვითარება. ამ მხრივ ჩვენ უკეთესი პერსპექტივები გვაქვს, ვინემ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებს, რომელთაც პირდაპირ სულს უხუთავს ბაზრის უქონლობა. ჩვენ ბაზარი უფრო დიდი გვაქვს, ის აღემატება მიწოდებას. მომავალში, თუ ჩვენ სწორ პოლიტიკას გავატარებთ სოფლისადმი, ბაზრის ტევადობა კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება.

სამრეწველო მშენებლობის პერსპექტივების განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ისმება ერთი, ჯერ კიდევ არასაკმაოდ შეთვისებული პრობლემა, რომელიც მე ვფიქრობ შემდეგში შესაძლოა ძალიან ცხარე გახდეს. ეს არის მუშა ხელის განაწილების პრობლემა, საკითხი მუშა ხელის განაწილების შესახებ ჩვენი ინდუსტრიის ზრდასთან, კაპიტალურ მშენებლობასთან დაკავშირებით. ჩვენ კიდევ სათანადო მომზადება არ გვაქვს ამ პრობლემის გადასაჭრელად. საჭიროა მოვემზადოთ ამისათვის, ვინაიდან სულერთია, შემდეგში ის მაინც წამოიჭრება ჩვენს წინაშე, ვინაიდან აუცილებელია ძალთა გადაჯგუფება მრეწველობის ცალკე დარგებს შორის, ცალკე რაიონებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებს შორის. ადრე თუ გვიან ჩვენ იძულებული ვიქნებით გადავჭრათ საკითხი მუშა ხელის განაწილების შესახებ და აგრეთვე ამასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა: საბინაო მშენებლობის, სკოლის, ყოფა-ცხოვრების და სხვ. შესახებ. და მე ვფიქრობ, რომ ამ ამოცანის გადაჭრის ცდას ჩვენ ეხლავე უნდა შევუდგეთ. შრომის ბირჟა, შრომის სახალხო კომისარიატი, პროფკავშირები და სხვ.—ყველა ესენი უსათუოდ წააწყდებიან ამ პრობლემას.

ვიმეორებ, საჭიროა ეხლავე ვემზადოთ ამისათვის. არასოდეს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის, რომ ცოცხალი მუშა ხელი არის წარმოების გადამწყვეტი ფაქტორი და ამავე დროს ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პოლიტიკური ფაქტორი. მუშა ხელის მომავალ განაწილების პრობლემას უნდა მივუდგეთ ფრთხილად, დაკვირვებით და სიფხიზლით, რათა გარანტია გვექნეს იმის, რომ აქ ძალიან ცოტა გვექნება შეცდომა.

ჩვენი პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში

ამხანაგებო, მე ეხლა შევჩერდები ჩვენს ზოგიერთ შინა-სოციალურ პრობლემაზე და კვლავ აღარ განვავითარებ თქვენს წინაშე იმ თქვენთვის ცნობილ თვალსაზრისს, რომელსაც პარტია იცავს კლასების, კულაკების, საშუალო და ღარიბ გლეხობის საკითხებში. ეხლა ყველა ხედავს, რომ არავითარ კულაკურ პოლიტიკას ჩვენ არ ვატარებთ, რომ ჩვენ სავსებით სწორი კურსი ავიღეთ, რომ ჩვენი მტკიცე ხაზი აქ სავსებით გაამართლა განვლილი პერიოდის გამოცდილებამ. თუ მე არ ვეხები ამ პრობლემას, არა იმიტომ, რომ თითქოს ეს ნაკლებ მნიშვნელოვანად ან ასეთ რამედ მაქვს წარმოდგენილი, არამედ იმიტომ, რომ პარტიულ კონფერენციის წინაშე კვლავ ამის მტკიცება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.

ამხანაგებო, მე მინდა შევეხო სხვა ხასიათის რამდენიმე პრობლემას, რომელნიც ამ ჟამად ჩვენს წინაშე ისმებიან.

მე პირველ ყოვლისა, ამხანაგებო, მინდა რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო ნაციონალური საკითხის შესახებ, შემდეგ, ამასთან დაკავშირებით, ვილაპარაკო ანტისემიტიზმზე და, დაბოლოს ინტელიგენციაზე.

ლენინგრადის პროლეტარიატს, რომელიც წარმოადგენს ვეებერთელა ქვეყნის ძალაუფლების სათავეში მდგომ მუშათა კლასის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, არც ერთი წუთით არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე ასზე მეტი სხვადასხვა ეროვნება მოიპოვება. ჩვენ, რომელნიც ვზივართ აქ, ლენინგრადში თუ მოსკოვში, ვერ ვხედავთ უკრაინელებს, ბელორუსებს, ბურიატებს, ჩეჩნებს და სხვ.. თუმცა ისინი უშუალოდ ჩვენ თვალწინ არ მოსჩანან, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ ყოველთვის, როცა რომელიმე საერთო პოლიტიკურ პრობლემას ვისახავთ, ვიფიქროთ მათზე.

ჩვენ ათასჯერ გვითქვამს, რომ ქვეყნის სამეურნეო ზრდამ, ინდუსტრიის და სასოფლო მეურნეობის აღორძინებამ გამოიწვია ყველა კლასიური დაჯგუფებათა გამოცოცხლება.

სამეურნეო ზრდა დაკავშირებულია ჩვენი წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული მოწინააღმდეგეების ნაწილობრივ გამოცოცხლებასთან. შემდეგ, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ საერთოდ იმაზე, რომ ჩვენში ამ ფენების აქტივობა გაიზარდა, ცხადია, ეს ცოტად თუ ბევრად ყოველგან გაიზარდა; ის გაიზარდა რ. ს. ფ. ს. რ.-ში რუსეთის წვრილ, საშუალო და მსხვილ ბურჟუაზიას შორის. ის გაიზარდა აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიის და ყველა სხვა ბურჟუაზიის შორის. ჩვენ ამჟამად ვხედავთ ამ ფენების პოლიტიკური აქტივობის გადიდებას „ნაციონალური" ხაზით, რაც ღებულობს შოვინიზმის ზრდის ფორმას ყველა ამ დაჯგუფებათა შორის. ჩვენი კავშირის შემადგენელ ნაწილებში, დამოუკიდებელ ცალკე რესპუბლიკებში, რომელნიც ჩვენი კავშირის შემადგენლობაში შედიან, ჩვენ ზოგჯერ მეტად ორიგინალური მდგომარეობა გვაქვს. ავიღოთ, მაგალითად, უკრაინა. იქ მუშები უმეტესად ველიკოროსები არიან; ქალაქის მეშჩანობას შეადგენენ რუსები და ებრაელები, გლეხები სავსებით უკრაინელები არიან. ასეთ პირობებში, როცა ჩვენ არ გვყავს უკრაინის ინდუსტრიალური პროლეტარიატის საკმაო კადრები, უკრაინის პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ჩვენ მეტ წილად გვიხდება უკრაინის წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის განსაზღვრულ ფენის საშუალებით. ეს არის უკრაინის ორიგინალური სტრუქტურის აუცილებელი შედეგი.

კავშირის ზოგიერთ დანარჩენ ოლქშიაც ჩვენ ამის მსგავსი სურათი გვაქვს. რამდენადაც წვრილ-ბურჟუაზიული და საშუალო-ბურჟუაზიული სტიქია თავს იჩენს სამეურნეო ზრდის ნიადაგზე, რამდენად ის პოლიტიკურად ყალიბდება, ის თავისი გამოხატულებას ჰპოულობს შოვინიზმის ზრდაში. იგივე ხდება რ. ს. ფ. ს. რ.-ში.

მე ყველაზე მეტი უნდა ვილაპარაკო ველიკორუსულ შოვინიზმზე. ამას წინად მე მომიხდა „პრავდა"-ში, ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში, მკაცრი ფელეტონით გამოსვლა ესენინის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ეს საჭიროა არა იმდენად, ასე ვსთქვათ, „შესანდობარი" მოტივით ესენინის ჭეშმარიტ ლიტერატურულ სახის სამხილებლად, რამდენად სხვა მოტივით.

უნდა ვაღიაროთ, რომ „სმენავეხური, ნაციონალურ-რუსული" მომენტი თავის დროზე, ჩვენი განვითარების განსაზღვრულ სტადიაში წარმოადგენდა ხიდს საბჭოთა ხელისუფლებასთან იმ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილის შესარიგებლად, რომელიც წინად საბოტაჟს გვიცხადებდა. სმენავეხელებს დადებით ფაქტად მიაჩნდათ ის, რომ ბოლშევიკებმა „გააერთიანეს რუსეთი" ისევე, როგორც ივანე კალიტამ ჩვენ ვცდილობდით სმენავეხელები გამოგვეყენებია, გაგვეწია მათთვის ხელმძღვანელობა, თან გაგვეყოლებია ისინი. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, როგორც იტყოდა ლენინი, რომ ჩვენ ხელიდან გვივარდება სადავე. ეს ცხადათ დაეტყო ჩვენს ლიტერატურას. მისი საგრძნობი ნაწილი ამჟამად პირდაპირ გაჰკივის „ჭეშმარიტ რუსულ" ჰანგზე. მართალია, ზრდილობისათვის ჩვეულებრივ ეხვევიან საბჭოთა სამოსელში, იკეთებენ „კომუნიზმის" ნიღაბს. ყოველივე ეს ერთგვარ უმნიშვნელო პროპორციით არც ისე საზიანო და საშიშია, ვინაიდან თუ ამ აბდა-უბდას სმენავეხურ-რუსულ იდეოლოგიის გვერდით—არის ჩვენი პროლეტარიატის ვეებერთელა მუშტი, რამდენიც არ უნდა იწუწუნონ სმენავეხელებმა, ისინი ვერ დაარღვევენ ჩვენს პროლეტარულ ინტერნაციონალურ გუნდის სიმღერას. მაგრამ როცა ჩვენი აქტივობა ამ ფრონტზე არ არის საკმარისი, როცა პატარა სმენავეხურ—რუსული ფიგურა ძალიან მაღალი ხმით იწყებს ყვირილს, ნურას უკაცრავად, აქ უკვე ჩვენ არ შეგვიძლია ამას ყურადღება არ მივაქციოთ. აქ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე. შესაძლოა, მე ეს ძალიან მკაცრ ფორმებში მომივიდა, მაგრამ ასეთ ნაციონალისტურ მოტივების მოზღვავებას ლიტერატურაში, უსათუოდ, ადგილი აქვს. მეორე მხრით, მწვავდება ნაციონალურ-შოვინისტური ტენდენციები ნაციონალურ უმცირესობათა შორის. შოვინისტურ იდეოლოგიის გამწვავება, მაგალითად, უკრაინაში საკმაოდ ცხადათ გამოიხატა. იგივე ითქმის ბელორუსიაზე. იგივეა კავშირის მთელ რიგ სხვა რესპუბლიკებში.

ჩვენ, ამხანაგებო, ამჟამად კვლავ უნდა მივაქციოთ ყურადღება ნაციონალურ საკითხს. ჩვენი პასუხი უნდა იყოს ისეთი, რომელიც შეეფერება ინტერნაციონალისტურ და ლენინურ პარტიას. ჩვენ ვაწყდებით მთელ რიგ დიდ დაბრკოლებებს. ავიღოთ უკრაინის მაგალითი. კომუნისტებმა უნდა მოსპონ უკრაინული შოვინიზმი, რომელიც იზრდება. წინააღმდეგობის ხაზი ზოგიერთ „რუსოპიატებს" ძალიან პრიმიტიული და სადა აქვთ. უკრაინაში ხომ მუშები უმთავრესად რუსები არიან. რუსები არიან რევოლიუციის ჰეგემონები. ისინი წარმოადგენენ ქვეყნის საუკეთესო ძალას და რაკი ისინი რუსები არიან, რა საჭიროა უკრაინიზაციის გატაცებათ და სხვა. ასეთ „რუსოპიატულ" სულიერ განწყობილებას აქვს ადგილი. წარმოიდგინეთ ჩვენი ველიკორუსი მუშაკი, რომელიც უკრაინაში ჩავიდა. მას პარტიულ ლიტერატურას აწვდიან უკრაინულ ენაზე, მოხსენების გაკეთებას ავალებენ უკრაინულ ენაზე, გლეხებს შორის გამოსვლას ავალებენ უკრაინულ ენაზე. ის, რასაკვირველია, ყვირის, სჩივის. ის ამბობს: მე ადვირი ამომდის, უმჯობესია გავიქცე; ჯანდაბას იქით უკრაინიზაცია და სხვაო. გავემგზავრები პიტერში, მოსკოვში, იქ, სადაც არ მექნება ეს აუტანელი დამატებითი მუშაობაო.

ასეთია პირველი რეაქცია ზოგიერთ მაინც და მაინც არა შორს მჭვრეტელ რუს ამხანაგების მხრივ.

მაგრამ განა სწორია ასეთი რეაქცია, განა სწორია ამ ხაზით სიარული? ჩვენ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ეს არ არის სწორი. ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი არის განსაზღვრულ ველიკორუსულ იდეოლოგიის გამოხატულება. ავიღოთ მდგომარეობა, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი. უკრაინის ინტელიგენციის ნაწილი, პირველ ყოვლისა სოფლის ინტელიგენციის ნაწილი, აღვივებს სიძულვილს „მასკალების" წინააღმდეგ, ემყარება რა დაწყევლილ ძველი რეჟიმის მოგონებას, როცა ცარიზმი სჩაგრავდა ყველა ნაციონალურ უმცირესობებს. ხოლო ჩვენს გვერდით სდგას პოლონეთი, რომელიც ერთის მხრივ ამზადებს ომს ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ ცდილობს ნაციონალურ უმცირესობების მიმზრობას, პილსუდსკი არც ისეთი სულელია, როგორც მას ზოგჯერ ხატავენ.

პოლონეთის ერთ-ერთი სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ პოლონეთი მრავალ სხვადასხვა ეროვნებით დასახლებული სახელმწიფოა, აშკარად გამოხატული პოლონური შოვინიზმით, სახელმწიფო, სადაც ნაციონალური ჩაგვრა გამწვავებულია იმდენად, რომ ქმნის ასაფეთქებელ მასალებს, რომელიც ემუქრება ფაშისტურ რეჟიმს „რეჩი პოსპოლიტა"-ში.

მაგრამ ამავე დროს შეხედეთ, როგორ მოხერხებულად მოქმედობს პილსუდსკი. მან გაანადგურა ბელორუსთა გრომადა, მაგრამ ამავე დროს ბელორუსთა კულაკურ-ბურჟუაზიულ ნაციონალურ ორგანიზაციებს ყოველმხრივ ეხმარება. უკიდურესი მემარცხენეები, ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა, კომუნისტების თანამგრძნობნი მან გაანადგურა, ხოლო ამავე დროს თვითონვე მიდის ზოგიერთ დათმობებზე ბელორუს ბურჟუაზიულ ნაციონალისტების მიმართ. მეორეს მხრივ, ის ეარშიყება უკრაინულ თეთრ ემიგრაციას, ფარულად მუშაობს ჩვენს უკრაინაშიაც. აი ამიტომ სხვათა შორის ძალიან სახიფათოა ყალბი ტონის აღება, იმის თქმა, რომ თქვენ „არ ეთანხმებით", „არ გინდათ უკრაინიზაცია", „პროტესტს აცხადებთ" უკრაინულ ენის წინააღმდეგ და სხვ. ასე მოქცევა ნიშნავს ერთგვარი სამსახურის გაწევას პილსუდსკისათვის და კომუნიზმის მტრებისათვის. ჩვენი მუშაკების ველიკორუსულ ნაწილს უკრაინაში, რასაკვირველია, გაუძნელდება ენის შესწავლა და სხვ. მაგრამ ისინი ვალდებული არიან ასე მოიქცნენ, თუ სურთ გაატარონ ჩვენი საერთო პარტიული ხაზი. თუ ჩვენ ეხლანდელ ისტორიულ მომენტში არ დავსძლევთ შინაურ უმოძრაობას, თუ რუსი ამხანაგები უკრაინაში ვერ შეიგნებენ, რომ დაუშვებელია ნახევრად ობივატელური ლაპარაკი: „ოჰ! მე არ შემიძლია, მიძნელდება, უკრაინიზაცია—სისულელეა, ზედმეტია, უკრაინაში უკრაინული მუშები არ არიან" და სხვ.,—ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ დავღუპოთ. ეს იქნება შორსმჭვრეტელობას მოკლებული, უაზრო პოლიტიკა. მას მხოლოდ ხვევენ პროლეტარულ სამოსელში, ლაპარაკობენ, თითქოს ეს არის რუსი პროლეტარის ხმა უკრაინელი გლეხის წინააღმდეგო, ისევე, როგორც ოპოზიცია ცდილობდა პროლეტარულ ტანსაცმელში გახვევას. პოლიტიკის შინაარსი იქაც და აქაც ნამდვილად ანტიპროლეტარულია. ანტი-უკრაინიზატორული პოლიტიკის წარმოება ნიშნავს ნაციონალურ შოვინიზმის გაღვივებას და გაძლიერებას, ნიშნავს არაპირდაპირ წყალის მოშვებას ისეთ გაქნილ ფაშისტურ მელას წისქვილზე, როგორიც არის პილსუდსკი. უმნიშვნელო შეცდომა ჩვენს ნაციონალურ პოლიტიკაში საზიანო შედეგებს მოუტანს მთელს ქვეყანას. ანგარიში უნდა გავუწიოთ ქვეყნის საერთო მდგომარეობას, ანგარიში უნდა გაუწიოთ ცალკე რესპუბლიკების მდგომარეობას. პირველყოვლისა საჭიროა ველიკორუსული შოვინიზმი ავლაგმოთ.

ანტისემიტიზმი

ეხლა რამდენიმე შენიშვნა ანტისემიტიზმზე. ჩვენში ანტისემიტიზმს აქვს ერთგვარი გარკვეული ბაზა. მთავარ საფუძველს აქ, როგორც ეს ადვილი გასაგებია, წარმოადგენენ შემდეგი მომენტები. სამხედრო კომუნიზმის დროს ჩვენ რუსეთის საშუალო და წვრილი ბურჟუაზია მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად გავფცქვენით. რუსი ინტელიგენტიც, რომელიც ერთ დროს

განზე იდგა, საბოტაჟს ეწეოდა და სხვ., განდევნილ იქნა თავისი პოზიცი. შემდეგ შემოღებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობა. ებრაულმა წვრილმა და საშუალო ბურჟუაზიამ დაიკავა პოზიციები რუსეთის წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის, რომელიც თავისი კალაპოტიდან ამოვარდა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში. თუ იყო პატარა დუქნები, რომლებზედაც წარწერილი იყო „ივანოვ“, შემდეგში გაჩნდნენ მეტი რაოდენობით პატარა დუქნები, რომლებზედაც წარწერილია „როზენბლიუმ“. დაახლოვებით იგივე მოუვიდა ჩვენს რუს ინტელიგენციას, რომელიც პირს იბრუნებდა და საბოტაჟს ეწეოდა; მისი ადგილები აქა-იქ დაიკავა ებრაულმა ინტელიგენციამ, უფრო მოძრავმა, ნაკლებ კონსერვატიულმა და ნაკლებ შავრაზმულმა. ამ რიგად ნაწილობრივი აღდგენა და ახალი წონასწორობა მოხდა რამდენიმედ სხვა ნაირ საფუძველზე. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ მედუქნე ივანოვმა ასე ილაპარაკოს: „ყოველგან როზენბლიუმები არიან. შეხედეთ, რუსეთი ურიებს მიჰყიდეს“. თავისებური მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს რუსეთის ინტელიგენტსაც შეუძლია სთქვას: „ყველგან როზენბლიუმებია, მთლიანად რუსეთი ურიებს მიჰყიდეს“. ანტისემიტიზმის ზრდა, გამოიხატება იმაში, რომ ჩვენში ცენტრალურ რაიონებში, ცენტრალურ ქალაქებში თავს იყრის ებრაული ბურჟუაზია და ებრაული ინტელიგენცია, რომელიც გადმოსახლდა დასავლეთ გუბერნიებიდან და სამხრეთ ქალაქებიდან. ამის გამო ჩვენი უმუშევარი და წვრილი ბურჟუაზია ვერ ხედავს ღარიბ, ლატაკ ებრაელებს, რომელნიც ცხოვრობენ არა აქ, არამედ მათ ყოფილ სამკვიდრო ადგილებში, იქ, სადაც ებრაელი—წვრილი ხელოსანი—ნახევრად შიმშილობს, სადაც ებრაელი—ნახევრად მუშა, წვრილი ვაჭარი—ჩათითულია სილატაკეში. აი ამიტომ ჩამორჩენილ, წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტების კლასიურ მტრობას, ასე ვსთქვათ, სოციალურ სიძულვილს ებრაელთა შეძლებულ და „კეთილმოწყობილ“ ფენებისადმი ემატება ნაციონალური ანტი-სემიტური სიძულვილი. ასეთია ბაზა ანტისემიტიზმის ზრდისათვის ჩვენში.

ჩვენ, ამხანაგებო, ანტისემიტიზმს გააფთრებით უნდა ვებრძოლოთ.

ჩვენში თვით პარტიის წრეებშიაც ხშირად წააწყდებით ანტისემიტურ მიდრეკილებებს ოდნავ გადახრას, რომელიც წარმოადგენს მოზარდ ველიკორუსულ შოვინიზმის მეორე მხარეს. ამას დაინახავთ „[illegible]“ ანეკდოტებში, ლაპარაკში „ურიებზე“ და სხვ. ეს არის, უეჭველად სიტყვა, „იდეოლოგია“, რომელსაც ჩვენ უნდა ვებრძოლოთ. ამ ნაციონალისტურ, ანტიკომუნისტურ, ყოვლად მიუღებელ „იდეოლოგიას“ ჩვენ ვალდებული ვართ ვურტყათ და ვურტყათ.

არის აგრეთვე მეორე გადახრა ანტისემიტიზმის საკითხში. ზოგიერთებს საერთოდ, ეშინიათ მოვლენების სიღრმეში ჩახედვა, ალბად თავის თავს „ინტერნაციონალისტებად“ სთვლიან და ეშინიათ ერთი სიტყვაც არ წამოცდეთ ებრაელ ნეპმანის წინააღმდეგ. ეს, რასაკვირველია, სისულელეა. ჩვენი პოზიცია სავსებით გარკვეული უნდა იყოს. ანტისემიტიზმს სხვათა შორის უნდა ვებრძოლოთ, როგორც „სულელების სოციალიზმს“, ავგუსტ ბებელის სიტყვით რომ ვსთქვათ. უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე, როგორც ეს არის. ხოლო ეს სიმართლე გულისხმობს ბრძოლას როგორც ებრაელ ნეპმანის, ისე რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ; უნდა ვებრძოლოთ „შინაურულ“ მითქმა-მოთქმებს, რაც ეხლა „მოდაშია“ და რაც წარმოადგენს ველიკორუსულ შოვინიზმის გამოხატულებას, აქ ბრძოლა აუცილებელია, ვინაიდან ველიკოროსმა პირველად ველიკოროსების ცოდვებზე უნდა ილაპარაკოს.

თუ ჩვენს წრეში ხედავთ „მოქალაქეობის უფლებას“ იღებს ის, რასაც ჩვენ რევოლიუციის დასაწყისში შავრაზმელობას დავარქმევდით, ამიტომ რაც შეიძლება მაგრად უნდა ჩავცხოთ ამას თავში. ხოლო მეორე მხრით, შეუძლებელია ბრძოლა ანტისემიტიზმთან სულელურად. ის, ვისაც ეშინია იმის თქმა, რომ არიან მდიდარი და ღარიბი ებრაელები, და რომ მდიდარი ებრაელები ჩვენი კლასიური მტრები არიან, ვინც ამას ჯიბეში ინახავს, ის მხოლოდ ხელს უწყობს ანტისემიტიზმის ზრდას. ჩვენ უნდა გავატაროთ ჩვენი ხაზი სავსებით აშკარად, სავსებით გარკვევით.

ჩვენ უნდა ვხედავდეთ, როგორ ყალიბდებიან და როგორ იზრდებიან ჩვენში სხვადასხვა ბურჟუაზიული ტენდენციები. ჩვენ ვიცით, რომ არასოდეს არავითარი იდეოლოგია არ ჩნდება თავიდან-ბოლომდე მზა-მზარეულად. „იდეოლოგიები“ ფეხს იკიდებენ თანდათანობით; ერთი ნაწილი აქ ჩამოყალიბდება, მეორე—იქ. პირველი პატარა ნაჭერია—ანტისემიტიზმი. მეორე—ველიკორუსული ნაციონალიზმი. მესამე ნაჭერია—„რატომ არ დავეხმაროთ მოღონიერებულ გლეხს“, თუნდაც ის ღარიბ გლეხობის წინააღმდეგ გამოდიოდეს. „რატომ ვილაპარაკოთ საერთაშორისო რევოლიუციებზე, როცა ჩვენ ჩვენი საქმეც ბევრი გვაქვს“,—აი ეს მეოთხე ნაჭერია. კიდევ რამდენიმე ნაჭერი და—ას პროცენტიანი ბურჟუაზიული იდეოლოგია მზად არის. ბრძოლის რთულ პირობებში თანდათანობით, არაერთბაშად, არამედ ნაწილ-ნაწილად, თავს იყრიან, თანდათანობით ყალიბდებიან და დამთავრებულ სახეს იღებენ ჩვენი საწინააღმდეგო იდეოლოგიები. აქ საჭიროა გამახვილებული ყურადღება, რომელსაც ამ პროცესის ყველა შემადგენელი ნაწილები თავის დროზე არ გამოეპარება.

ინტელიგენცია

ამხანაგებო მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმ პროცესების შესახებ, რომელიც ხდება ჩვენი ინტელიგენციის წრეში. პირველ ყოვლისა მე ვიტყვი ტექნიკური ინტელიგენციისა და ჩვენი მეცნიერების შესახებ. ახლა, როცა ჩვენ შევდივართ დიდ გეგმიან მშენებლობის პროცესში („დნეპროსტროი“ „ვოლგო-დონ“ და სხვ.), ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ შევიზიდოთ პირველხარისხოვანი ინჟინერები, მეცნიერები და სხვ. უფრო მეტად, ვინემ დღემდე. ერთ-ერთ ჩვენ გადაუდებელ საზრუნავ საგანს უნდა წარმოადგენდეს მეცნიერთა და ტექნიკური ინტელიგენციის უფრო მეტად მიზიდვა, ვინემ ეს დღემდე ხდებოდა. ჩვენ წინანდებურად შევებრძოლებით ისეთ არასაღ მოვლენებს, როგორც არის „სპეცეჭამობა“, თუმცა [illegible] სოციალური ტიპის ახალი მუშა კვლავ ილაპარაკებს სპეცების წინააღმდეგ საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ. ნამდვილ უაზრობას წარმოადგენს ისეთი ლაპარაკი, რომელსაც გაიგონებთ სხვათაშორის ლენინგრადშიაც, სახელდობრ ის, რომ ჩვენს პარტიას უნდა შესცვალოს თავისი კურსი ინტელიგენციის მიმართ და გადავიდეს „ნორმებზე“, რომელნიც არსებობდენ 1918 წელს და, რომ ჩვენ [illegible] ინტელიგენტები [illegible] დავტოვოთ და განვიხილოთ ისინი, როგორც საბოტაჟნიკები. ასეთი ლაპარაკი რასაკვირველია სრული უაზრობაა. ცხადია, ჩვენი მშენებლობის უდიდეს ამოცანების განხორციელების დროს მოთხოვნილობა იმ სამეცნიერო კვალიფიციურ ძალებზე, რომელნიც ჩვენთან ერთად მუშაობენ, განუწყვეტლივ იზრდება და ჩვენი ყურადღება ინტელიგენციისადმი გაძლიერდება, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვებრძოლოთ სხვადასხვაგვარ პროცესებს ინტელიგენტურ წრეებში, პროცესებს, რომელნიც ჩვენ უარყოფითად მიგვაჩნია. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ინტელიგენტურ წრეში, ლიტერატურაში და სხვა ფეხს იკიდებს შოვინიზმი, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამას.

რასაკვირველია ჩვენ მოგვიხდება ჩვენი სულელების გონზე მოყვანა, იმათი, ვისაც ძალიან დიდ ქვეყნის კაცად წარმოუდგენია თავი, ვინც კრიჭაში უდგება ყოველგვარ წვრილმანს, ვინც [illegible] ყოვლად უაზრო „ორგანიზაციულ დასკვნებს“ დარგში. ჩვენ შევეცდებით ისეთი მდგომარეობის აღმოფხვრას, როცა, თვითეულს, რომლის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის წესით რამეს დაწერენ, ეშინია, რომ მასზე „არ იმოქმედონ“ ადმინისტრატიული გზით. ჩვენ გონზე მოვიყვანთ ჩვენს უგუნურებს, მაგრამ ჩვენ შევებრძოლებით ყოველგვარ მავნე იდეოლოგიურ ტენდენციას. ხოლო თუ ასეთი ტენდენციები ფარულ ფორმებში მოიპოვებიან ჩვენი ინტელიგენციის წრეში, იქნება ეს შოვინისტური კილო ჩვენს ლიტერატურაში, თუ ჩვენი დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე გადასვლა, „დემოკრატიის“ მოთხოვნა და სხვა, იმის მოთხოვნა ჩვენგან, რომ ამას ყურადღება არ მივაქციოთ, რასაკვირველია, გულუბრყვილობაა. ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი პროლეტარული ხაზიდან გადახვევას. ჩვენ ვიკისრეთ მთელი სამეურნეო მანქანის, მთელი ქვეყნის ხელმძღვანელობა და არც ვფიქრობთ მის მიტოვებას, წასვლას. და ვერც ვერვინ გაბედავს ჩვენი განდევნის ცდას. ჩვენში მუშათა კლასი უდგია ძალა-უფლებას სათავეში, ჩვენშია პროლეტარული დიქტატურა,—ეს აქსიომა უნდა დაიხსომოს თვითეულმა, როგორც ორჯერ-ორი-ოთხია.

საჭიროა კვალიფიციური მომზადება

მე, ამხანაგებო, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო შემდეგს: პრობლემები, რომელნიც ჩვენ წინაშე დგანან იმდენად რთული და იმდენად ღრმაა, რომ ცირკულიარებით, პარაგრაფებით, ზეგავლენით, „შტამპებით“ ვერაფერს გავხდებით. ეს შეეხება ისეთ დიდ საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, საკითხი გლეხობის, პროლეტარიატის და სხვ. შესახებ, რაზედაც ჩვენ ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ. მაგრამ აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხებისა—იმავე ინტელიგენციის, კომკავშირის აღზრდის, ჩვენი ლიტერატურული ფრონტის, იდეოლოგიური ბრძოლის და სხვ. შესახებ,—აქ ამხანაგებო საქმეს ვერ გავაკეთებთ მარტო ზეგავლენის მოხდენით; თუ გინდა ასეთ იდეოლოგიურ მშენებლობაზე ხელმძღვანელობა, შენ ვალდებული ხარ გქონდეს მაგარი შინაგანი ავტორიტეტი, რათა ის, რომელსაც ხელმძღვანელობ, იჩენდეს შენდამი შინაგან პატივისცემას. თუ მე ვიცი, რომ ჩემდამი ხელმძღვანელობა უნდა ისეთ კაცს, რომელსაც ჩემზე სამჯერ ნაკლები ესმის, რასაკვირველია, მე მას დავუმორჩილდები დისციპლინის, სახელის შიშით, მაგრამ მე არ შემიძლია ვცნო ის ნამდვილ ავტორიტეტად. როცა ჩვენში ამდენად გართულდა ბრძოლა, გართულდა ხელმძღვანელობის ამოცანები, საჭიროა, რომ ჩვენ ბევრ რამეშიაც ვერკვეოდეთ, რომ თვალყური ვადევნოთ ლიტერატურას, ფილოსოფიას, მეცნიერებას, პოლიტიკას და ყველაფერს.

ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევქმნათ საკუთარი ავტორიტეტები სხვადასხვა დარგებში, აუცილებელია კვალიფიციური მომზადება თვით ჩვენთვის. საკუთარი ავტორიტეტის შექმნის და განმტკიცების ეს პრობლემა ჩვენს წინაშე სდგას, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ჩვენ აუცილებლად უნდა გადავსჭრათ.

ლენინგრადის ორგანიზაციის ერთი წლის მუშაობა

ლენინგრადის ორგანიზაციის ერთი წლის მუშ.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა მიმდინარე პარტიულ კონფერენციის შესახებ. მე მომიხდა გამოსვლა ლენინგრადის წინანდელ პარტიულ კონფერენციაზედაც. მას შემდეგ ლენინგრადის ორგანიზაციამ განვითარების დიდი წრე განვლო. ჩვენი პარტიის ცეკას ყოველთვის მიეგულებოდა ლენინგრადის ორგანიზაცია, როგორც მისი მთავარი დასაყრდენი, როგორც ჩვენი პარტიის მოწინავე პროლეტარული რაზმი. და იმ უდიდეს რევოლიუციონურ აქტების დიდი ისტორიული ინიციატივა, რომელთაც ახდენდა ჩვენი პარტია, დაწყებული ოქტომბრის აჯანყებიდან მეტ წილად ეკუთნოდა სწორედ ლენინგრადის ორგანიზაციას. შემდეგ ლენინგრადის ორგანიზაციამ განიცადა შინაგანი ციებ-ცხელება, მან განიცადა დიდი შინაგანი კრიზისი. წინანდელ კონფერენციაზე მან უკვე დაიწყო თავისი წინანდელი სატკივრების ჯამის გაკეთება. მე-24 კონფერენციაზე ჩვენ ვხედავთ ერთი წლის მუშაობის ჯამს. ამ ერთი წლის მუშაობამ ცხადჰყო, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია არა თუ განმტკიცდა, არა თუ ბოლომდე აღმოფხვრა მან თავისი სატკივარი, არამედ მან კვლავ დაიკავა ის ადგილი, რომელიც ამ ორგანიზაციას ეჭირა ჩვენს პარტიაში უკანასკნელ პარტიულ კრიზისამდე.

ჩვენ, ამხანაგებო, ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი პარტიის მთლიანობა სავსებით აღდგენილია: ჩვენ ოპოზიცია სასტიკად დავამარცხეთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამით დავკმაყოფილდეთ და დამშვიდებული ვიყოთ. სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ: „ალთქმის წერტილი დასმულია—ეხლა დაგვრჩენია მხოლოდ საქმიანი მუშაობა“. ჩვენ ბევრი დაბრკოლებები გვაქვს, ახალი დაბრკოლებები კიდევ წინ [illegible], წვრილ ბურჟუაზიული შეხლა-შემოხლის პირობები ჩვენს ქვეყანაში კიდევ ბევრია: ოპოზიციის ახალი გამოსვლების შესაძლებლობა არ არის განვლილი. რომ ჩვენში ყველაფერი ასი პროცენტით უნაკლოდ ხორციელდებოდეს, რასაკვირველია, ჩვენში ნიადაგი არ ექნებოდა რაიმე ოპოზიციას. ასი პროცენტით უნაკლოდ ჩვენში საქმე არ შეიძლება ხორციელდებოდეს და ჩვენ იმდენად გავიზარდეთ, რომ ეს გვესმის.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლები შეცდომები დავუშვათ, რათა სიძნელეები გადავლახოთ, რაც შეიძლება სწრაფად.

ჩვენ ოპოზიცია დავამარცხეთ. ჩვენ ფართო პარტიულ მასებს დავუმტკიცეთ ოპოზიციონურ თვალსაზრისის სიყალბე: ჩვენ დავარწმუნეთ ისინი, რომ პარტია მართალია; მაგრამ ჩვენ არა გვაქვს იმისი გარანტია, რომ ოპოზიციონურ ფრაქციულობას კიდევ ადგილი არ ექნება. მით უფრო ჩვენ მასებს უნდა განვუმარტოთ ჩვენი ხაზი და ლენინიზმის საფუძვლები. ამ განმარტებითი მუშაობაში ჩვენ უნდა ვერიდოთ მექანიკურ დაზეპირებას. როცა ხალხი იმეორებს ერთდაიმავე სიტყვებს: „გლეხობის და მუშათა კლასის კავშირი“ „კავშირი“; ლენინიზმი, ლენინიზმი“, ხოლო რომ შეეკითხოთ რას ნიშნავს ეს, ხან პასუხს ვერ მიიღებთ,—ასეთი მოვლენების წინააღმდეგ საჭიროა სასტიკი ბრძოლა, საჭიროა სერიოზულად შევუდგეთ მუშაობის გაღრმავებას.

ამასთან ერთად ჩვენ უფრო მტკიცე ნაბიჯებით ვივლით საქმიანი მუშაობის გზით. ამ მუშაობას დიდი გასაქანი აქვს. პერსპექტივები—როგორც შინაური, ისე საერთაშორისო—ძალიან დიდია. საერთაშორისო რევოლიუციონური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ შევიდა განვითარების ახალ, უმაღლეს სტადიაში. ორ დიდ ქვეყანაში რევოლიუცია თავის მაქსიმალურ ორგანიზაციულ სახელმწიფოებრივ ფორმას ღებულობს. ქრის მსოფლიო რევოლიუციის მრისხანე ქარი, ქრის სულ უფრო და უფრო ძლიერად, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ადგილებში კაპიტალისტური სტაბილიზაციის პროცესსაც აქვს ადგილი. სულ უფრო თვალსაჩინოდ და საგრძნობლად მართლდება ვლადიმერ ილიჩის წინასწარმეტყველება. მთელი სიგრძე-სიგანით ვითარდება ისტორიული პროცესი, გადაშლილი ფართო პერსპექტივები ჩვენს პარტიას და მუშათა კლასს უდიდეს მოვალეობას აკისრებს. ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის საყოველთაო დასაწყისს; ის არ არის ბჟუტავი ჩირაღდანი, რომელიც დახმარებას ითხოვს, ის არ გვემუქრება ტერმიდორით. ჩვენი ქვეყანა არის მსოფლიო რევოლიუციის მთავარი რაზმი, ხოლო ჩვენი პარტია—ეს არის მსოფლიო ისტორიული ბრძოლის უდიდესი ორგანიზატორი. (მქუხარე ტაში).

პარტიული ცხოვრება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 12 თებერვალი. 12 თებერვალს შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მორიგი პლენუმი ცენტრ. საკონტრ. კომისიის და ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

პლენუმმა განიხილა ძირითადი სამეურნეო საკითხები, რომელნიც გათვალისწინებულია პოლიტბიუროს და ცეკას პლენუმის მუშაობის 1926—27 წლის გეგმაში.

პლენუმმა მოისმინა ამხ. კუიბიშევის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებანი მრეწველობის კაპიტალური აღმშენებლობის შესახებ 1926—27 წელში, ამხ. მიქოიანის და კუიბიშევის მოხსენება საბითუმო და საცალო ფასების შემცირების შესახებ, ამხ. ბრიუხანოვის ცნობა 1926—27 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. კალინინის მოხსენება საბჭოების გადარჩევის მსვლელობისა და სოც. საბჭ. რესპ. კავშირის და რეს. სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საბჭოთა მომავალი ყრილობების შესახებ.

ყველა მოხსენებათა შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუციები. (ადს).

საერთაშორისო ქალთა კომუნისტური დღისათვის

(ყველა ნაციონალურ კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო ბიუროებს, საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს).

ცენტრალური კომიტეტი საერთაშორისო ქალთა კომუნისტური დღის ძირითად პოლიტიკურ ამოცანად მიმდინარე წელს სთვლის მშრომელ ქალთა—პირველ რიგში მუშა და მოჯამაგირე-ქალთა—ფართო მასების ყურადღების მიქცევას საბჭოების გადარჩევაზე და მათზე პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ამასთან ერთად, საჭიროა ყურადღება მიექცეს საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვ. საზოგადო ორგანიზაციების მიერ მთელ რიგ ზომების გატარებას მუშა და გლეხ-ქალთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის (არსებულ საბავშვო დაწესებულებების, საზოგადო სასადილოების გაუმჯობესება და ახლების გახსნა, ზომების მიღება ქალთა შრომის კვალიფიკაციის ამაღლებლად და სხვ.).

კამპანიის შინაარს უნდა წარმოადგენდეს: ა) მშრომელთა ფართო მასებისათვის საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საზღვარგარეთ მუშა და გლეხ-ქალთა მდგომარეობის გაშუქება; ბ) საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის დარგში წამოჭრილ ამოცანების გაშუქება მუშა და გლეხ-ქალთა წინაშე, კერძოდ—ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანების გაშუქება და ქალთა შრომის ჩანერგვა წარმოებაში, ქალთა მასების მონაწილეობა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში და ბრძოლაში ფასების დაკლებისათვის.

წინასწარ მოსამზადებელ პერიოდში უნდა ჩატარდეს ფართო საგიტაციო კამპანია და აგრეთვე გამომუშავებულ იქნას კონკრეტიული ზომები საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვ. ორგანიზაციების მიერ მუშა და გლეხ-ქალთა შრომის და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

გასული წლის 8 მარტს მიცემულ პრაქტიკულ დირექტივების ადგილებზე შესრულების შემოწმების დროს საბჭოების, კოოპერაციის, პროფკავშირების, ურთიერთ დამხმარე საგლეხო კომიტეტების და სხვ. ორგანიზაციების მიერ [illegible] ქალთა მასების შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დარგში, ცეკა იძლევა რჩევას, რომ ამ შემოწმებაში ჩაბმულ იქნას მუშა და გლეხ-ქალთა აქტივი, რათა მისი საშუალებით გაშუქებულ იქნას ეს ზომები მუშა და გლეხ-ქალთა ფართო მასებში. ამ მიზნით საჭიროა სათანადო მოხსენებების ჩატარება საბჭოების, პროფკავშირების და სხვ. ორგანიზაციების პლენუმების სხდომებზე, რომელნიც მიძღვნილი იქნებიან 8 მარტის დღისათვის.

თვით 8 მარტს ქალაქებში უნდა მოეწყოს გასართობები მუშა-ქალთა ფართო მასებისა და მათ ოჯახებისათვის; ამასთანავე ამ გასართობების მოწყობაში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშა-ახალგაზრდა ქალებმა, პიონერებმა და მუშა-ახალგაზრდობამ. იმავე მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას კლუბები, თეატრები, კინო, ცოცხალი გაზეთები, რადიოწრეები და სხვ. საზეიმო სხდომები ქალაქებში მინიმუმამდე უნდა იქნან დაყვანილი.

სოფლებში (კერძოდ, აღმოსავლეთში) უნდა მოეწყოს სათანადო გასართობები, რომელნიც შეფარდებულ უნდა იქნან გლეხ და აღმოსავლეთის ქალთა ცხოვრების პირობებთან.

მთელ ამ მუშაობაში მხურვალე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პრესამ, დაწყებული კედლის გაზეთებიდან წარმოებებში, მათში თვით მუშა და გლეხ-ქალთა უდიდესი მონაწილეობის გზით ქალთა მასებისათვის საინტერესო საკითხების გაშუქებით.

მთელი მუშაობის სახელმძღვანელოდ პარტკომებთან უნდა გამოიყოს ცალკე კომისიები პარტკომების, საბჭოების, პროფკავშირების, ახ. ლენ. კომკავშირის და კოოპერაციის ძირითად განყოფილებების წარმომადგენლების შემადგენლობით.

საკ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას მდივანი—შვერნიკი.

საკ. კომ. პარტ. (ბ) მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგე—კალიგინა.

ქალთა ორგანიზატორების მუშაობა სოფლად

სოფლის უჯრედების მიერ გამოყოფილ ქალთა ორგანიზატორების მუშაობის გასაცხოველებლად და ამ ორგანიზატორთა ხელმძღვანელობისათვის ცეკას ქალთა განყოფილებამ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც უკვე დაეგზავნა ადგილებს.

ინსტრუქციაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას სოფლად მუშაობაში წარმოადგენს პარტიის გავლენის გავრცელება გლეხ-ქალთა ფართო ფენებზე, მათი პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა და პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ მშენებლობაში ჩაბმის გზით. ამ ამოცანის ცხოვრებაში გასატარებლად სოფლის პარტუჯრედის ბიურომ უნდა გამოჰყოს თავის შემადგენლობიდან ორგანიზატორი გლეხ-ქალთა შორის მუშაობისათვის. თუ ორგანიზატორის გამოყოფა რაიმე მიზეზის გამო მოუხერხებელია ბიუროს შემადგენლობიდან, ასეთი გამოყოფილ უნდა იქნეს უჯრედის მიერ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უჯრედის მიერ გამოყოფილ ამხანაგს უნდა დაევალოს უჯრედის ბიუროს სხდომებზე დასწრება სათათბირო ხმის უფლებით.

ორგანიზატორის მთელი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ბიუროს უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. არა ნაკლებ სამ თვეში ერთხელ მოსმენილ უნდა იქნეს ორგანიზატორის მოხსენება ბიუროსა და უჯრედის სხდომაზე. სოფლის უჯრედის ორგანიზატორმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (გლეხკომი, ალმასკომი, კოოპერატივი, საბჭო, ქოხ-სამკითხველო, სასკოლო საბჭო და სხ.). მან შეძლებისდაგვარად მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ორგანიზაციების მუშაობაში, დაესწროს სხდომებს და სხვა. ორგანიზატორი თვალყურს უნდა ადევნებდეს აგრეთვე სადელეგატო კრებების მუშაობას და ყოველთვის უნდა ესწრებოდეს დელეგატ-ქალთა კრებებს.

კავშირის გასაბმელად დელეგატ-ქალთა და მათ ამომრჩევლებს შორის არა ნაკლებ სამ თვეში ერთხელ სადელეგატო და საერთო კრებებზე დელეგატი-ქალები უნდა აბარებდენ ანგარიშს თავის ამომრჩევლებს; ხოლო საზოგადო მოღვაწე ქალებთან კავშირის გასაბმელად სადელეგატო კრებებზე უნდა კეთდებოდეს საბჭოს, გლეხკომის წევრ-ქალთა და სახალხო მოსამართლე ქალთა საანგარიშო მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ.

მასიური მუშაობის მხრივ საჭიროა, რომ ორგანიზატორი სისტემატიურად მართავდეს გლეხ-ქალთა კრებებს (არა ნაკლებ თვეში ერთხელ) და არჩევდეს გლეხ-ქალთათვის საინტერესო საკითხებს.

სხვადასხვა კამპანიებში, რომლებსაც ატარებენ პარტია, ან და საბჭოთა, კოოპერატიული, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციები, სოფლის ორგანიზატორმა უნდა ჩააბას გლეხ-ქალთა ფართო მასები.

კულტურულად ჩამორჩენილ კუთხეებში, სადაც გლეხი-ქალები ხალისით არ იღებენ მონაწილეობას ამა თუ იმ კამპანიის ჩატარებაში, უნდა მართავდეს ცალკე კრებებს და ამ კრებებზე აცნობდეს გლეხ-ქალებს კამპანიის ამოცანებს და მნიშვნელობას.

პოლიტცოდნის გაღრმავებისა და პარტიასთან გლეხ-ქალთა დაახლოვების მიზნით, სოფლის ორგანიზატორმა პოლიტსკოლებში უნდა ჩააბას ძველი გაწვევის აქტიური დელეგატი-ქალები და გლეხი-ქალები, წამოაყენოს მათი კანდიდატურა საბჭოში, გლეხკომში, კოოპერატივის გამგეობაში და სხვ., ხოლო იქ, სადაც ეს მოუხერხებელია თავისებური პირობების გამო, უნდა მოეწყოს გლეხ-ქალთა ცალკე პოლიტწრეები.

ორგანიზატორმა ყველა ზომები უნდა იხმაროს, რომ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში ჩააბას გლეხ-ქალთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი, ამისათვის ისინი უნდა დაუახლოვოს არსებულ წითელ კუთხეებს, კლუბებს, ქოხ-სამკითხველოებს და სხვ. კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციების მუშაობას. პირველ რიგში უნდა აღმოიფხვრას წერა-კითხვის უცოდინარობა დელეგატ და საზოგადო მოღვაწე-ქალთა შორის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერა-კითხვის უცოდინარ გლეხ-ქალთა ჩაბმას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საერთო წრეებში, ხოლო იქ, სადაც ეს მოუხერხებელია ადგილობრივ თავისებურ პირობების გამო, უნდა მოეწყოს ცალკე სკოლები ქალთათვის. სოფლის ორგანიზატორმა თავის მუშაობაში ამ მხრივ უნდა მოიშველიოს საშეფო საზოგადოება.

საზოგადოებრივ მუშაობაში ახალგაზრდა გლეხ-ქალთა ჩასაბმელად, სოფლის ორგანიზატორი უნდა დაუკავშირდეს კომკავშირის უჯრედს და მასთან ერთად უხელმძღვანელოს ახალგაზრდა ორგანიზატორთა მუშაობას აწარმოოს სათანადო აგიტაცია პიონერთა კოლექტივების მუშაობის მთელი მნიშვნელობის ახსნა-განმარტებისათვის და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ცოდნის ამაღლებას პიონერ ორგანიზაციების შესახებ.

ამ მხრივ მან პირველი მაგალითი უნდა უჩვენოს თავის საკუთარ და დელეგატ-ქალთა ბავშვების ჩაბმით პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციაში, და პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად მათ შორის მიამაგროს დელეგატ-ქალები პიონერთა ორგანიზაციებზე.

სოფლის ორგანიზატორმა გლეხი-ქალები უნდა ჩააბას ადგილობრივ კედლის გაზეთების მუშაობაში, გლეხკორთა წრეებში (თუ ასეთი არის), და აგრეთვე პრესაში (გაზ. „ახალი სოფელი“, ჟურნალი „მშრომელი ქალი“). განსაკუთრებით მან ხელი უნდა შეუწყოს ჟურნალ „მშრომელი ქალი“-ს გავრცელებას.

დასასრულ ცირკულიარში აღნიშნულია, რომ მუშაობის პროცესში სოფლის ორგანიზატორი (უჯრედის და ქვედა კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანიზაციების საშუალებით) სისტემატიურად თვალყურს უნდა ადევნებდეს გლეხ-ქალთა (საზოგადო მოღვაწე და დელეგატ-ქალთა აქტივის მუშაობის უნარიანობას და ხელს უწყობდეს მათს შემდეგ დაწინაურებას.

ახლ.-კომკავშირის თბილისის კომიტეტის

პირველი პლენუმი

11 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე, შესდგა ახლენკომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევა და დელეგატების გაგზავნა ახლენკავშირის ბაქოს კონფერენციაზე.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სალუქვაძე, გობეჩია, გუმედინი, სილაძე, აზარაშვილი, გრიგორიანი, ბუჯიაშვილი, ჰანკვეტაძე, ხაჩიკიანი, იმხანოვი და პერეუშინი.

კანდიდატებათ: კარელი, ნონიკაშვილი, ჰაისურაძე, უმიკაშვილი და გურგენიძე.

თბილისის კომიტეტის მდივნათ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ლ. სალუქვაძე. საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ ამხ. სილაძე, აგიტპროპგანყოფილების—აზარაშვილი, ეკონომგანყოფილების—გრიგორიანი, პიონერთა თბილისის ბიუროს თავმჯდომარეთ—ბუჯიაშვილი, სასკოლო განყოფილების გამგეთ—კარელი.

პლენუმმა დაადგინა საკონფლიქტო კომისიის ახალი შემადგენლობის გამოყოფამდე განაგრძოს მუშაობა ძველმა საკონფლიქტო კომისიამ.

ახლენკომკავშირის ბაქოს კონფერენციაზე დასასწრებათ არჩეულ იქნა ამხ. სალუქვაძე და ყველა რაიკომების პასუხისმგებელი მდივნები.

ბ.

ლოზუნგები

25 თებერვლისათვის

1. „ჩვენ ვატარებდით, ვატარებთ და გავატარებთ კიდეც მშვიდობიანობის პოლიტიკას“.
2. „ყოველგვარ საფრთხეზე, რომელიც მიმართული იქნება პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, მისი კომუნისტური პარტია და მშრომელი მასები უპასუხებენ თავისი რიგების სიმჭიდროვით; ამ რიგებს ისინი შეამჭიდროვებენ ისე, რომ ყოველი ჩვენი მტერი კბილებს მიამსხვრევს ჩვენი ფოლადის ხიშტებზე“.
3. „ჩვენი ქვეყანა—მსოფლიო რევოლიუციის მოწინავე რაზმია, ხოლო ჩვენი პარტია—მსოფლიო ისტორიული ბრძოლის უდიდესი ორგანიზატორი“.
4. „ჩვენი პარტია იყო და რჩება საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციონერთა ორგანიზაციად“.
5. „ჩვენ უდიდესი ენერგიით განვამტკიცებთ წითელი არმიის ძლიერებას, გავაძლიერებთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს—მსოფლიო რევოლიუციის კერის თავდაცვას“.
6. „ქართული წითელი ჯარი ნაწილია სრულიად საკავშირო წითელი არმიის. ის მტკიცეა და ძლიერი. მეტი ყურადღება და დახმარება მას“.
7. „საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველოს აქვს უდიდესი მიღწევები კულტურულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგებში. მხოლოდ საბჭოების ხელისუფლების ხელმძღვანელობითაა შესაძლებელი საქართველოს შემდეგი აყვავება-განვითარება“.
8. „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოფხვრა ერთა უთანასწორობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მენშევიკების დროს. მან დაამყარა საბჭოთა საქართველოში მოსახლე ყველა ერთა ძმობა და თანამშრომლობა“.
9. „საქართველო შევიდა ამიერ-კავკასიის ერთა ოჯახში—ამიერკავკასიის ფედერაციაში. განვამტკიცოთ და დავიცვათ მტრებისაგან ერთნხული მშვიდობიანობის საწინდარი ამიერკავკასიაში“.
10. „დასავლეთის, განსაკუთრებით ინგლისის იმპერიალისტების დავალებების შესრულებით მენშევიკებს კიდევ ერთხელ სურთ ხელი შეუშალონ პროლეტარული დიქტატურის შემოქმედებითი მშენებლობას საქართველოში. მეტი ყურადღება და სიფხიზლე ინგლისის იმპერიალიზმის ამ მოსყიდულ აგენტების, საქართველოს მუშებისა და გლეხების გამცემლების გამხრწნელ საქმიანობისადმი“.
11. „განამტკიცეთ მუშებისა და გლეხების—საბჭოთა ხელისუფლების ამ ბურჯის კავშირი“.
12. „ჩვენ იმედს ვამყარებთ მასებზე, მუშურგლეხურ მასებზე, რომლებიც იზრდებიან, ვითარდებიან, მიდიან წინ და არავის არავითარ პირობებში არ მისცემენ ნებას, რომ მათ კვლავ დაადონ კაპიტალისტური მონობის უღელი“.
13. „მეტი ყურადღება საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოებას და ავიაქიმს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის თავდაცვის საქმეში“.

მომხსენებელთ მოხსენებებისათვის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, გამოყენებულ უნდა იქნეს: 1) ამხ. ბუხარინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა მოსკოვის პარტკონფერენციაზე (იხ. „პრავდა“ 13 და 15 იანვრის №№ 10 და 12 და „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

2. ამხ. ვოროშილოვის სიტყვა მოსკოვის პარტკონფერენციაზე (იხ. „პრავდა“ 14 იანვრის № 11 და „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილება.

მისალმება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს

თიანეთის ახლად არჩეულ თემსაბჭოს ყრილობა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციას უძღვნის მხურვალე სალამს. ყრილობა რწმენას გამოსთქვამს, რომ კომპარტიის ხელმძღვანელობით განმტკიცდება სახალხო მეურნეობა, გაიზრდება სოფლის კულტურული დონე და ამით კიდევ უფრო გამაგრდება მუშების და გლეხების კავშირი. თემსაბჭო პირობას იძლევა, რომ ყოველივე ძალ-ღონეს იხმარს რათა გაატაროს ის ხაზი, რომელსაც სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ მიჰყავს მუშები და გლეხები.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს საბჭოების ყრილობას!
გაუმარჯოს მუშების და გლეხების ძმურ კავშირს!

პრეზიდიუმი.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

გუშინ, გარდა ბათუმისა და მთიულეთისა არ უთოვია. ზოგიერთ ადგილებში ადგილი ჰქონდა ქარს. თითქმის მთელ ამიერ-კავკასიაში მოღრუბლული ამინდი იდგა. [illegible] იყო.

ბათუმის მიდამოებში ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარბუქს. ქარი იმდენად ძლიერი იყო, რომ დაწყვიტა ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულები.

თბილისში

გუშინ თბილისში არ უთოვია. ამინდი ცვალებადი იყო — ცა უმეტესად მოღრუბლული იყო, ხანდისხან გამოჩნდებოდა მზე. ტემპერატურა უდრიდა —1,1 გრადუსს.

11 თებერვლის დაახლოვებით ღამის 10 საათიდან თოვა შესწყდა. ღამე ქროდა სუსტი ქარი. ცოტაც ყინავდა, რის გამო 12 თებერვლის დილას, წინა დღით მოსული თოვლი გასიპული იყო. შუადღისას შედარებით დათბა და თოვლმა ლხვობა იწყო.

დღეს

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით დღეისათვის მოსალოდნელია ასეთი ამინდი: **აღმოსავლეთ საქართველოში** — ცვალებადი დარი, მოღრუბლულობა, ქარი და ალაგ-ალაგ ნალექი.

დასავლეთ საქართველოში — მოღრუბლულობა, ქარი და ნალექი.

ნამქერები

ნავთლუღ - ვაზიანის შუა, გუშინ დღის ორ საათზე ადგილი ჰქონდა დიდ ნამქერს. სატვირთო მატარებელი № 8, რომელიც მოდიოდა თბილისში გაჩერდა გზაში.

დასახმარებლად გაიგზავნა თოვლმწმენდი, მაგრამ იგი ორთქლმავლის გაფუჭების გამო გაჩერდა გზაში. ნამქერი იმდენად ძლიერი იყო, რომ ორთქლმავლის შეკეთების პროცესში, თოვლმწმენდი ჩაეფლო თოვლში. მის დასახმარებლად გაიგზავნა მეორე თოვლმწმენდი.

ნამქერს ადგილი ჰქონდა აგრეთვე სომხეთის ხაზზე, სოღანლუღ - სანდარის შუა.

საღამოს 8 საათიდან ეს უბანი [illegible], მაგრამ ამ შემთხვევას გუშინ მატარებლების მიმოსვლა არ შეუფერხებია.

ქარბუქი ა.-კ. რკინისგზაზე.

12 თებერვალს ნავლუღ-ვაზიანის ხაზზე ძლიერი თოვის გამო მატარებლების მიმოსვლა შეწყდა. სამგზავრო მატარებელი № 8, რომელიც თბილისში მოდიოდა, ნაშუადღევის 8 საათიდან თოვლშია ჩაფლული. დასახმარებლად გაიგზავნა თოვლსაწმენდი მატარებელი, მაგრამ ეს უკანასკნელიც, ორთქლმავლის დაზიანების გამო, თოვლში ჩაეფლა. თბილისიდან გაიგზავნა მეორე თოვლსაწმენდი მატარებელი.

საღამოს 8 საათზე თოვლის ზვავი ჩამოწვა სოღანლუღ-სანდარის ხაზზე. ღამის 12 საათამდე მოძრაობა ორივე ხაზზე შეჩერებული იყო.

დასავლეთის ხაზზე ნატანებიდან ბათუმამდე სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი შეწყვეტილია ძლიერი თოვის გამო. მატარებლები იგვიანებენ.

80.000 მანეთი

ტყვარჩელისთვის

ს. მ. უ. ს. საბჭომ მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ საკავშირო ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა გაიცეს 80.000 მანეთი ტყვარჩელის ქვანახშირის მადნების დასამუშავებლათ მიმდინარე წლის განმავლობაში.

აღნიშნული თანხა გადაეცემა ამას წინეთ ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსებულ კომისიას, რომელიც გამოიმუშავებს გეგმას ტყვარჩელის მადნების დასამუშავებლათ.

მიმდინარე წლის გაზაფხულიდან კომისია შეუდგება ტყვარჩელის მადნების დასამუშავებლათ სათანადო წინასწარ მუშაობის ჩატარებას.

ფოთის ნავსადგურში

უკანასკნელ ხანებში ფოთის ნავსადგურში შემჩნეულია დიდძალი ტვირთების შემოზიდვა. ამის გამო ნავსადგურში შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ ტვირთების შესანახად ადგილი არ მოიპოვება.

ა.-კ. რკინისგზას კი არა აქვს საშუალება დროზე გადმოზიდოს ტვირთები ფოთის ნავსადგურიდან, რადგან ნავსადგურში შემოტანილი ტვირთის რაოდენობა აღემატება რკ. გზ. ტვირთზიდვის შესაძლებლობას. აღნიშნული მდგომარეობის გამოსაკვლევათ, ა.-კ. გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ფოთში მიავლინა სპეციალური კომისია. კომისიაში შედიან გზ. სახ. კომ. რწმუნებულის მოადგილე ამხ. ხაჩიევი, ა.-კ. რკ. გზის უფროსი ამხ. ივანოვი და რკ. გზის ინსპექტორები.

კომისია გუშინ გაემგზავრა ფოთში.

მეცნიერება და ტექნიკა

ჯადოქარი „მენლო-პარკიდან“

(თ. ედისონის დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო)

მიმდინარე წლის თერთმეტ თებერვალს შესრულდა 80 წელიწადი მსოფლიოში უდიდესი გამომგონებლის—ტომას ალვა ედისონის დაბადების დღიდან. საეჭვოა რომ დედამიწის ზურგზე მოიძებნოს კუთხე, სადაც არ სმენიათ ეს სახელი, სადაც არ იცოდენ ამ შესანიშნავი ადამიანის შესანიშნავი გამოგონებების შესახებ.

კაპიტალისტების სამსახურში მყოფი ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთებს ხშირათ უყვართ ედისონისა და სხვა გამომგონებლების მაგალითის მოყვანა იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ გასაქანს აძლევს ნიჭიერ ადამიანს ამერიკაში არსებული „დემოკრატიული“ წყობილება. მაგრამ ამ გაზეთებმა დაივიწყეს ან განზრახ ივიწყებენ, თუ რა გადახდა თავს თუგინდ იმავე ედისონს, სანამ დღევანდელ სახელსა და პატივისცემას მოიხვეჭდა. ჩვენი გამომგონებლები, რომელთაც ათასი მცველი ჰყავთ: პრესა, ს. მ. უ. ს., გამომგ.-ლთა ბიურ.-ბი, ათასგვ. ჟურნ.-ბი, სადაც მათ შეუძლიათ რჩევა-დარიგების მიღება, ხშირათ სჩივიან ბიუროკრატიულ მოპყრობაზე, უყურადღებობაზე. ჩვენ, რასაკვირველია, აზრადაც არ მოგვდის გამომგონებლებისადმი ასეთი ბიუროკრატიული მოპყრობისა და უყურადღებობის გამართლება, მაგრამ საჭიროთ, ვთვლით ურჩიოთ ჩვენს გამომგონებლებს ენერგიულობისა და დასახული მიზნისადმი შეურყეველი სვლის მაგალითი აიღონ ედისონისგან არ დაყარონ ფარ-ხმალი იმის გამო, რომ რომელიღაც დაწესებულებაში მას ვიღაც არასათანადო ყურადღებით მოეპყრა, ან იმის გამო რომ მისი პირველი ცდა არ გამართლდა. საბჭოთა სახელმწიფოში გამომგონებლისათვის ხელის შეწყობა, მისთვის სათანადო ცდების მოხდენის შესაძლებლობის მიცემა უზრუნველყოფილია. ედისონმა კი ათასი უბედურება, შიმშილ-სიცივე და დაცინვა გამოიარა თავის „დემოკრატიულ“ სამშობლოში, სანამ მის ნიჭს აღიარებდენ. ედისონის ბიოგრაფიის გაცნობა ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩვენი გამომგონებლებისა და საერთოდ მშრომელებისათვის.

ღარიბი მშობლების შვილი, ედისონი, თორმეტი წლისა არც კი იყო, როცა იძულებული გახდა სამუშაო ეძებნა, რომ მშობლებს დახმარებოდა. მან მიიღო გაზეთის გამყიდველის ადგილი რკინისგზაზე, რომელიც გურონის ნავსადგურს აერთებდა მიჩიგანის შტატის მთავარ ქალაქ დეტროიტთან. მატარებელში ის ვაჭრობდა არა მარტო გაზეთებით, არამედ ხილით და გრილი სასმელებით. თავისუფალ დროს ატარებდა ქალაქის ბიბლიოთეკაში, სადაც სრულიად უსისტემოთ გადაიკითხა ყველა წიგნები. ბოლოს ცნობისმოყვარე ბავშვს ყურადღება მიაქცია ბიბლიოთეკის გამგემ და წიგნებს უკვე შერჩევით აძლევდა.

რკინისგზაზე ცოცხალმა, გონიერმა ბავშვმა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა და მას გადაეცა მონოპოლიური უფლება გაზეთების გასაყიდათ. რკინისგზის ადმინისტრაციამ მას მისცა პატარა კუნჭული ერთ-ერთ ვაგონში. ამ კუნჭულში „პატარა ალმა“ (ასე ეძახდენ ედისონს სახლში) მოაწყო თავისი პირველი ლაბორატორია და აქ ახდენდა ის თავის პირველ ქიმიურ ცდებს. კონდუქტორებმა ედისონს „პატარა პროფესორი“ დაარქვეს, მაგრამ „პატარა პროფესორს“ წიგნებისა და თავისი ცდების გამო „თავისი საქმე“ არ ავიწყდებოდა. ყოველდღიურათ ის 200 ცალ გაზეთს ჰყიდდა. ჩქარა მან შენიშნა, რომ შეიძლებოდა უფრო მეტი გაზეთების გაყიდვა, თუ მოახერხებდა მოთხოვნილების წინასწარ განსაზღვრას და გაზეთების საკმაო რაოდენობის მომარაგებას.



თ. ა. ედისონი

იმ ხანებში ბრძოლა სწარმოებდა სამხრეთ და ჩრდილოეთის შტატებს შორის. ერთხელ ედისონმა გაზეთის რედაქციაში წაიკითხა მსხვილი ასოებით დაბეჭდილი ცნობა დიდი ბრძოლის შესახებ, რომლის დროს ორივე მხარეს დაჰკარგა 50,000 კაცი, დაჭრილ-დახოცილი. ედისონმა თვალის დახამხამებაში გადასწყვიტა ესარგებლნა ამ ცნობით. გაიქცა ტელეგრაფის სადგურში და ნაცნობ ტელეგრაფისტს მთელ ხაზზე გააგზავნინა მოკლე ცნობა ბრძოლის შესახებ, თხოვნით გამოეკიდათ თვალსაჩინო ადგილზე. სამაგიეროდ ედისონმა ტელეგრაფისტს აღუთქვა გაზეთის მიცემა უფასოთ მთელი წლის განმავლობაში.

ამის შემდეგ ედისონი გაიქცა გაზეთის ექსპედიციაში. მას ფული ცოტა ჰქონდა, გაზეთი კი ორასის მაგიერ 1500 ცალი ესაჭიროებოდა. კანტორაში მას უარი უთხრეს ამდენი გაზეთის ნისიათ მიცემაზე. მატარებლის წასვლამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. იმედ დაკარგული ედისონი გაიქცა გაზეთის პატრონთან და სთხოვა ნისიათ მიეცა 1500 ცალი გაზეთი.

გაზეთის პატრონმა ახედ-ჩახედა ბავშვს და ნაგლეჯ ქაღალდზე რაღაც წააწერა.

— მიიტანე ექსპედიციაში და მოგცემენ.

გახარებულმა ედისონმა მოკურცხლა უკან, მიიღო გაზეთები და ის იყო მატარებლის საფეხურზე შესდგა ფეხი, რომ მისცეს წასვლის ნიშანი. გზაში მოუთმენლად ელოდენ ახალ გაზეთებს და როცა „პატარა ალი“ საღამოზე სახლში მივიდა, დედას საგრძნობი თანხა ჩააბარა.

ამ შემთხვევას დიდი გავლენა ჰქონდა ედისონის შემდგომ ცხოვრებაზე: იგი ძლიერ დააინტერესა ტელეგრაფმა, ურომლისოთაც იგი 1,500 ცალ გაზეთს ვერ გაასაღებდა. ედისონი შეუდგა ელექტრონისა და ტელეგრაფის შესწავლას. შეიძინა პატარა აპარატი, რომელზეც ახდენდა ცდებს.

ამავე დროს მას დაებადა საკუთარი გაზეთის გამოცემის აზრი. იყიდა ძველი პრესი, ნახევრათ გაცვეთილი შრიფტი და მრავალი უძილო ღამეების შემდეგ იმდენად შეისწავლა ასოთ-ამწყობის ხელობა, რომ მოახერხა გაზეთის ბეჭდვა. ეს გაზეთი გამოდიოდა კვირაში სამჯერ და ღირდა სამი ცენტი (5 კაპ.). გაზეთი იწყობოდა, იბეჭდებოდა და გამოდიოდა რკინისგზაზე, მასში თავსდებოდა უმთავრესად რკინისგზის ამბები და რკინისგზელებმა „პატარა პროფესორი“ „გადანათლეს“ „მთავარ რედაქტორად“.

ედისონის გაზეთი იმდენათ პოპულიარული შეიქნა, რომ მას საშუალება ჰქონდა მშობლებისათვის თვეში 80 მანეთამდე ეგზავნა.

მაგრამ ედისონს უკვე აღარ აკმაყოფილებდა რკინისგზის პატარა გაზეთი და თავის ამხანაგთან ერთად პორტ-გურონში დაიწყო ნამდვილი გაზეთის გამოცემა სახელწოდებით „პოლ პრიუ“. პოლ პრიუ—არის გმირი ერთი ძველი ინგლისური კომედიის, მოუსვენარი, ცნობის მოყვარე და თავხედი სუბიექტი, რომელიც ყველგან სჩრის ცხვირს. ედისონის გაზეთი სავსებით ამართლებდა თავის სახელწოდებას. „რედაქტორების“ თავხედურ გამოსვლებს პირველ ხანებში ითმენდენ. მაგრამ ერთხელ „პოლ პრიუ“-მ თავის ფურცლებზე „შეურაცხჰყო“ ქალაქის ერთი დიდი თანამდებობის პირი, რომელიც შეხვდა გზაში „მთავარ რედაქტორს“, მაგრად სცემა და შემდეგ მდ. სენ-კლერში გადააგდო. ედისონი დახრჩობას გადარჩა, მაგრამ მის გაზეთს ამის შემდეგ აღარ უხილავს სინათლე.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევა,—სწორეთ ასე მოუვიდა ედისონს. ლაბორატორიაში მუშაობის დროს მას ხელიდან გაუვარდა ბოთლი ფოსფორის ხსნარით. ერთ წამში ვაგონს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი ჩააქრეს. მაგრამ მატარებლის გამყოლმა, რომელსაც თავიდანვე ათვალწუნებული ჰყავდა „პატარა პროფესორი“ გააჩერა მატარებელი, გადმოჰყარა ედისონის ლაბორატორიის მთელი მოწყობილობა და შემდეგ თვით „პატარა პროფესორიც“ გამოაპანჩურა. ედისონის მთელი იმედები გააქრენ მოჩვენებასავით.

მაგრამ „პატარა ალი“ სასოწარკვეთილებას არ მიეცა. ის განაგრძობდა გაზეთების ყიდვას რკინისგზაზე და იმავე დროს მუშაობდა ელექტრონულ მოვლენების შესასწავლათ.

ყველაზე უფრო სამწუხარო ედისონისათვის ის იყო, რომ მას არ ჰქონდა არც დრო და არც საშუალება შეესწავლა ტელეგრაფის საქმე, თუმცა ძლიერ აინტერესებდა იგი. ერთხელ, როცა ედისონი მოჰყვებოდა შერეულ სამგზავრო-საბარგო მატარებელს, რომელზეც გაზეთებს ჰყიდდა, მან სიკვდილს გადაარჩინა სადგურ მუნტ-კლემენსის სადგურის უფროსის—მეკენზის პატარა ბავშვი, რომელიც მატარებელმა კინაღამ გასჭყლიტა.

მეკენზიმ, რომ სამაგიერო გადაეხადა შვილის გადამრჩენისთვის, ტელეგრაფისტობა შეასწავლა ედისონს. სამ თვეში ედისონმა ისე კარგათ შეისწავლა ტელეგრაფისტის ხელობა, რომ მასწავლებელს სჯობნიდა. ხშირათ დადიოდა ედისონი „დასავლეთის ტელეგრაფის კომპანიის ბიუროში“, სადაც პირველათ გამოიჩინა მან გამომგონებლის ნიჭი: მან ორჯერ გაადიდა დეპეშების გადამცემი მავთულის ძალოვნობა, მაგრამ მადლობის მაგიერ მას სამარცხვინოთ მოეპყრენ: ერთი მძიმე სამუშაოს შესრულებისათვის მას ოცი დოლარი ერგებოდა. ანგარიშის გასწორების დროს მას ნახევარი თანხა დააკლეს. შეურაცხყოფილმა ედისონმა მიატოვა სამსახური და წავიდა ქ. სტატფორდში.

სტატფორდში ედისონს მისცეს ღამის ტელეგრაფისტის თანამდებობა. რათა ტელეგრაფისტებს არ დასძინებოდათ, დაწესებული იყო სასტიკი კონტროლი. ამისათვის მათ ყოველ ნახევარ საათში დეპეშით უნდა გადაეცათ სიტყვა „Six“ (ექვსი). ედისონს ღამით ყოველთვის ძილი ერეოდა და რომ კონტროლისგან განთავისუფლებულიყო შემდეგი ხერხი მოიგონა: საათზე მიამაგრა პატარა დაკბილული ბორბალი, ლითონის მავთულის საშუალებით ეს ბორბალი ტელეგრაფის აპარატთან შეაერთა და როცა ნახევარი საათი გაივლიდა, ტელეგრაფის აპარატი თავისით გზავნიდა საკონტროლო ნიშანს. ედისონი კი ამ დროს ტკბილად ხვრინავდა. ეს ხრიკი დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა.

ერთი დაუდევრობის გამო, რომელსაც უდიდესი კატასტროფა კინაღამ არ მოჰყვა რკინისგზაზე, ედისონი იძულებული შეიქნა სტატფორდიდან გაქცეულიყო და ისევ პორტ-გურონში ჩავიდა. ეს იყო ზამთარში. პორტ-გურონსა და სარნიას შორის ყოველგვარი კავშირი გაწყდა. ვერაფერი გზით ვერ მოახერხეს კავშირის აღდგენა. დაუძახეს ედისონს, რომელმაც ამოცანა სრულიად უბრალოდ გადასწყვიტა. მისი მოთხოვნით გამოიყვანეს ორთქლმავალი. ედისონმა ორთქლმავალის საყვირი ისე აამუშავა, რომ ტელეგრაფის ნიშნებს ჰგავდა მისი ხმები. სარნიაში ყურადღება მიაქციეს ამ ხმებს, ტელეგრაფისტები მიხვდენ, თუ რაში იყო საქმე და იქიდან პასუხი მისცეს. ამრიგად აღადგინეს გაწყვეტილი კავშირი.

ამ ამბავმა ედისონს სახელი გაუთქვა. მან ისევ მიიღო ტელეგრაფისტის ადგილი.

17 წლის ედისონი უკვე ინდიანოპოლისის ტელეგრაფზე მუშაობს. მას დავალებული ჰქონდა ღამის დეპეშების მიღება გაზეთისათვის. დეპეშები ისეთი სისწრაფით მოდიოდა, რომ ტელეგრაფისტები ვერ ასწრებდენ მათ გადაცემას. ედისონმა ორი ტელეგრაფის აპარატი ერთმანეთს შეუერთა. როცა ერთი აპარატი იღებდა 30—40 სიტყვას წამში, მეორე გადასცემდა 20—30 სიტყვას. გაზეთები განცვიფრებული იყვენ დეპეშების სისწორით გადმოცემით. მაგრამ ორმაგმა აპარატმა ცუდი სამსახური გაუწია ედისონს. თუმცა იგი ცნობებს სისწორით გადასცემდა, მაგრამ მუშაობისათვის დროს მეტს მოითხოვდა. ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა ედისონმა ორი საათის დაგვიანებით გადასცა. გაზეთების რედაქციებმა იჩივლეს დირექტორთან. საქმის გამოძიების დროს იპოვეს ორმაგი აპარატი და ედისონი დაუყოვნებლივ დაითხოვეს სამსახურიდან.

ედისონი გადავიდა ცინცინატში, იქიდან კი მემფისში (ტენესის შტატი). იქაური ტელეგრაფის სადგურის უფროსი ცდილობდა გამოგონებია აპარატი, რომელიც უტელეგრაფისტოთ გადასცემდა დეპეშებს ნიუ-იორკის ხაზიდან ნიუ-ორლეანის ხაზზე. აქ გამოიყენა მან თავისი პირველი გამოგონება—ორმაგი აპარატი. ცდები ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. მაგრამ სადგურის უფროსი ბრაზისაგან კინაღამ გადაირია—„ვიღაც ლაწირაკმა როგორ მაჯობაო“ და ედისონი სრულიად უმიზეზოთ დაითხოვა სამსახურიდან. მთელი „თავისუფალი თანხები“ ედისონს მშობლებისათვის ჰქონდა გაგზავნილი. უგროშ-კაპეიკოთ, უტანსაცმლოთ დარჩა ზამთარში, ქუჩაში. საშინელ ყინვაში, თეთრ საზაფხულო ტანსაცმელში ფეხით გაუდგა გზას ედისონი ლუზიანასაკენ, რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე.

აქ მან ისევ იშოვა სამსახური.

რამდენიმე წლის ხეტიალისა და დაუღალავი მუშაობის შემდეგ ედისონი იძულებული შეიქნა ისევ სამშობლო ქალაქში—პორტ-გურონში—დაბრუნებულიყო. აქ მან გამოიგონა ერთი მავთულით ორი ნიშნის გაგზავნის წესი. კომპანიამ, სადაც ედისონი მსახურობდა დიდი მოგება მიიღო ამ გამოგონებიდან, მაგრამ თვით გამომგონებელი დააჯილდოვა... მხოლოდ რკინისგზის ბილეთით ბოსტონამდე, სადაც მას ტელეგრაფისტის ადგილი მისცეს.

ედისონის პირველი გამოგონება ბოსტონში იყო ხმების მთვლელი აპარატი. ედისონმა შენიშნა, რომ ამერიკის პარლამენტში დიდი დრო უნდებოდა ხმების დათვლას. მან საკითხი შემდეგნაირად გადასჭრა: თითეულ სავარძელს შეუერთა ორი მავთული. ერთი—რომელიც ნიშნავდა „კი“-ს და მეორე—„არა“-ს. როცა დეპუტატი დააჭერდა ხელს შესაფერ ფოლაქს ელექტრონის მთვლელში იღებდენ კენჭის ყრის შედეგს. მაგრამ ედისონის გამოგონება კონგრესის თავმჯდომარეს სასაცილოდაც არ ეყო. იმედგაცრუებულმა ედისონმა მოაწყო საკუთარი ლაბორატორია, სადაც ამზადებდა ელექტრონის აპარატებს და ამავე დროს აწარმოებდა ცდებს ერთი მავთულით ორი ცნობის გასაგზავნად.

ედისონი გაემგზავრა ნიუ-იორკში, დარწმუნებული, რომ იქაური კაპიტალისტები მისცემდენ მას ფულებს მისი გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად. მაგრამ ეს იმედები ფუჭი გამოდგა.

შემთხვევით მან იშოვნა სამსახური ნიუ-იორკის ერთ-ერთ კანტორაში, რომელიც დეპეშით აცნობინებდა ფინანსიურ დაწესებულებებს ბირჟის მდგომარეობას. აქ მას ძლიერ გამოადგა თავისი ძველი გამოგონება—საბირჟო ცნობების ავტომატიური მბეჭდავი. ეს გამოგონება მან 80,000 მანეთად მიჰყიდა ელექტრონის საზოგადოებას, სადაც ის გადავიდა სამსახურში ზემოხსენებული კანტორიდან.

80,000 მანეთი იმდენათ დიდი თანხა იყო ედისონისათვის, რომელიც კაპეიკს კაპეიკზე აწებებდა, რომ ედისონს პირველათ არც კი სჯეროდა და ეს ამბავი—დამცინიანო იფიქრა.

ბოლოს მან მიიღო ეს ფული და მოაწყო საკმაოდ დიდი სახელოსნო, შესაფერი ლაბორატორიით, სადაც აწარმოებდა ცდებს. 1873 წ. ეს სახელოსნო გადაიქცა ფაბრიკათ, სადაც 300 კაცი მუშაობდა.

1876 წ. ედისონმა გაჰყიდა თავისი ფაბრიკა და, ნიუ-იორკიდან 40 კილომეტრის მანძილზე შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც მოაწყო დიდი ლაბორატორია, რომელსაც მან უწოდა „მენლო პარკი“. ლაბორატორია მომარაგებული იყო ყველა საჭირო ხელსაწყოებით და იარაღ-მანქანებით.

რათა თავი დაეცვა ცნობის მოყვარე ხალხის აბეზარობისგან, ლაბორატორიის გარს შემოვლებული ჰქონდა მაღალი გალავანი, დარაჯს კი ბრძანება მიეცა არავინ შეეშვა ლაბორატორიის ეზოში.

ამან კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი „მენლო-პარკისადმი“. გაზეთები სავსე იყო ათასგვარი ზღაპრებით „თანამედროვე ფაუსტის“, „მენლო-პარკის ჯადოქარის“ შესახებ და სხვ.

ამიერიდან ედისონს უკვე მიეცა სრული შესაძლებლობა ფართე ნიადაგზე დაეყენებია თავისი ცდები. ჩვენ არ შევჩერდებით იმ გაუმჯობესებებზე, რომლებიც მან შეიტანა ტელეგ.-ისა და ტელეფონის აპარატებში, მრავალ წვრილმალ გამოგონებებზე, რომლებზეც ედისონმა აუარებელი ენერგია და თანხები დახარჯა.

ავღნიშნავთ მხოლოდ სამ მის უდიდეს გამოგონებას, ფონოგრაფს, სავარვარო (ელექტრონის) ლამპას და კინემატოგრაფს.

ფონოგრაფის დამზადების იდეა ედისონს დაებადა სრულიად შემთხვევით, მაგრამ მრავალი წლის შრომა დასჭირდა, სანამ დაამზადებდა ისეთ მანქანას, რომელიც მის სიტყვებს გაიმეორებდა. 1877 წ. მან დაამზადა პირველი ასეთი მანქანა, რომელიც კიდევ ბევრ გაუმჯობესებას საჭიროებდა, მაგრამ გზა უკვე გაკვალული იყო. 1899 წ. მსოფლიო გამოფენაზე პარიზში ფონოგრაფი იყო მთავარი ექსპონატი, რომელიც ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობდა. მის სანახავად დღეში საშუალოდ 30.000 კაცი მოდიოდა.

დიდ გამოგონებას ყოველთვის მოჰყვება პატარა. ფონოგრაფის გამოგონებას მოჰყვა მოლაპარაკე დედოფლების გამოგონება, გამოგონება ფონომოტორის, რომელიც ადამიანის ხმას აქცევს ძალათ, რომელსაც შეუძლია მოძრაობაში მოიყვანოს მანქანა, გამოიგონა ხმის გამაძლიერებელი აპარატები მეგაფონი და აეროფონი (უკანასკნელი ორასჯერ აძლიერებს ხმას).

განსაკუთრებით დიდი შრომა დახარჯა ედისონმა სავარვარო ლამპის გაუმჯობესებაზე. აუარებელი ენერგია დახარჯეს მეცნიერებმა, რომ ეპოვათ ელექტრონის ისეთი გამტარი, რომელიც გაუძლებდა გახურებას და არ დაიფშვნებოდა.

რუსი და ფრანგი მეცნიერები ახდენდენ ცდებს ნახშირიდან დამზადებული მავთულით, რომელსაც ათავსებდენ უჰაერო არეში თუმცა ცდები სწორ ნიადაგზე იყო დაყენებული, მაგრამ ნახშირიდან წვრილი მავთულის დამზადება შეუძლებელი იყო. 1877 წ. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ედისონმა. დაარსდა სპეციალური სააქციო საზოგადოება, რომელიც ფინანსიურ დახმარებას უწევდა ედისონის ცდებს. ოთხი დღე-ღამე გაატარეს უძილოთ და უჭმელათ ედისონმა და მისმა თანაშემწემ ბეშლორმა, სანამ დაამზადებდენ ისეთ ლამპას, რომელიც განუწყვეტლივ ენთო 48 საათის განმავლობაში.

ამის შემდეგ ევროპისა და ამერიკის მთელი პრესა მხოლოდ ედისონზე ლაპარაკობდა. მაგრამ ედისონს არ აკმაყოფილებდა მიღწეული შედეგები. მრავალი განმეორებითი ცდების შემდეგ ბამბუკის ძაფებიდან მან დაამზადა ლამპები, რომლებიც განუწყვეტლივ ენთო ათასი საათის განმავლობაში. მაგრამ ბამბუკი სხვადასხვა ჯიშისაა და ედისონმა რამდენიმე ექსპედიცია გაგზავნა საუკეთესო ჯიშის ბამბუკის საპოვნელად, უკანასკნელი ექსპედიცია არც კი იყო დაბრუნებული, რომ ედისონმა სრულიად მიატოვა ცდები ბამბუკზე და ლითონიდან დაამზადა ისეთი მავთული, რომელიც უფრო უძლებდა ყველა გარეშე ზეგავლენებს.

1887 წ. ედისონს აზრათ მოუვიდა დამზადება ისეთი აპარატის, რომელიც ისეთივე როლს შეასრულებდა თვალისათვის, როგორც ფონოგრაფი სმენისათვის.

მრავალი ცდების შემდეგ მან, დაბოლოს, დაამზადა ორი აპარატი, რომლებიც ერთმანეთთან შეერთების შემდეგ იძლეოდენ ცოცხ. სურათს: ერთს ეწოდება კინემატოგრაფი და იგი დანიშნული იყო სურათების გადასატანათ ფირფიტაზე და მეორე—კინეტოსკოპი—ამ სურათების საჩვენებლათ.

კინო-სურათების გასაცოცხლებლათ ედისონმა განიზრახა კინემატოგრაფისა და ფონოგრაფის გაერთიანება და კიდეც გადასჭრა ეს ამოცანა.

ასეთია ედისონის ცხოვრების ისტორია, რომელიც შეიძლება ორ პერიოდათ გაიყოს: ერთი, როცა მას უხდებოდა ათასგვარი გაჭირვების, დამცირებისა და დაცინვის ატანა; მეორე, როცა ედისონმა უკვე გაიკაფა გზა დიდებისაკენ, როცა მისი ცხოვრება უკვე მატერიალურად უზრუნველყოფილი შეიქნა. ახლა ედისონი ისეთივე კაპიტალისტია, როგორც სხვები. მას ეკუთვნის მთელი რიგი ფაბრიკები (მაგ. იმ მოლაპარაკე დედოფლების ფაბრიკა, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ), სატელეგრაფო ხაზები და მრავალი სხვა წარმოებები. მართალია თავის მოგების მეტ წილს ის ახალ ცდებზე და გამოგონებებზე ხარჯავს, მაგრამ იგი უკვე საბოლოოთ არის დაშორებული იმ წრეს საიდანაც გამოვიდა. მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებს მის უდიდეს როლს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის და მეოცე საუკუნის განვლილი მეოთხედის ტექნიკის განვითარებაში. მას ეკუთვნის ათასზე მეტი გამოგონება (ამ რიცხვში შედის უკვე გამოგონებულ მანქანების და საშუალებების გაუმჯობესება ედისონის მიერ). ზოგი ამ გამოგონებათაგან უკვე ფართოდ არის გამოყენებული კაცობრიობის მიერ, ზოგის გამოყენება ახლა იწყება (ელექტრომავალი), ზოგიც კიდევ ელის გაუმჯობესებას და გამოყენებას.

ე. ზ.

გაახალგაზრდავების

ახალი საშუალება

ბოლონიის (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორმა ფრანჩესკო კავაციმ აღმოაჩინა გაახალგაზრდავების ახალი საშუალება.

პროფ. კავაციმ სრულიად უარჰყო გაახალგაზრდავების ოპერატიული მეთოდი და მის მაგიერად შემოიღო კანქვეშ შეშხაპუნება განსაკუთრებული ნივთიერების, რომელსაც იღებენ ყოველგვარი სახის (და არა მხოლოდ მაიმუნის) შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებიდან.

პროფ. კავაციმ თავისი „სიცოცხლის ელექსირი“ სცადა ბოლონიაში მთელ რიგ მცხოვრებლებზე (65—85 წლის ჰასაკის). მიღებულ იქნა პირდაპირ განსაცვიფრებელი შედეგები: პაციენტებმა საგრძნობად მოიმატეს წონაში, მოღონიერდენ და გარეგნულად უფრო ახალგაზრდის სახე მიიღეს.

აპარატი ყრუთათვის

ამერიკელმა ინჟინერმა ლეგმა გამოიგონა ახალი აპარატი, რომლის საშუალებით ყრუთ შეუძლიათ მოისმინონ ლაპარაკი ტელეფონით, და რადიო-გადაცემები.

წუმწუმას ასი წ. თავი

მრავალი საუკუნეების განმავლობაში ვრძელდებოდა კაჟისა და აბედის ბატონობა. მხოლოდ 1805 წ. პარიზელმა ქიმიკოსმა შანსელმა დაამზადა წუმწუმა, რომლის ღეროების თავი გავლებული იყო გოგირდის, ფისის და ბერტოლეს მარილის ნარევიდან. მაგრამ პრაქტიკულად გამოსადეგი წუმწუმა დამზადებულ იქნა მხოლოდ 1826 წ.—ჯერ კუპერისა და შემდეგ მცირეოდენი ცვლილებით—კონგრევის მიერ.

ამრიგათ, წუმწუმა გადადის არსებობის მეასერთ წელში. მაგრამ პირველ წლებში წუმწუმა არავითარი წარმატებით არ სარგებლობდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა საქმე, როცა 1832 წელს ინგლისელმა ჯონსმა გამოიგონა წუმწუმა, რომელსაც ცეცხლი უჩნდებოდა მინის ქაღალდზე ხახუნის შემდეგ. ჯონსის წესით დამზადებული წუმწუმა ხშირათ თავისთავად ენთებოდა ისე, რომ პოლიციამ მთელ რიგ ქვეყნებში აკრძალა მათი დამზადება.

1832 წ. კამერერმა პირველათ დაამზადა გოგირდის წუმწუმა და ამიტომ ის სამართლიანად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე სახის წუმწუმის გამომგონებლად. მაგრამ ეს წუმწუმაც დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტრევანიმ 1835 წ. მეტად ძვირი ბერტოლეს მარილი შესცვალა სურინჯისა და შავი ქვის ჟანგის ნარევით, კროსელმა კი მთლიანად—სურინჯისა და გვარჯილას ნარევით, დაიწყო წუმწუმის მრეწველობის სწრაფი აღორძინება. 1848 წ. გერმანელმა ქიმიკოსმა ბეტგერმა იპოვა წესი ერთი წლის წინათ აღმოჩენილი წითელი უშიშარი ფოსფოროს გამოსაყენებლათ ისეთი მასის დამზადებისათვის, რომელიც მასზე ხახუნის დროს ანთებდა წუმწუმას, რომელშიც ფოსფორი არ იყო ნარევი. გერმანიაში ეს გამოგონება არ სცნეს. წარმოება გადაიტანეს შვეციაში, საიდანაც ბეტგერის წუმწუმა, „შვედური წუმწუმის“ სახელწოდებით გავრცელდა მრავალ ქვეყნებში.

ახლა არსებობს ამგვარი წუმწუმა: 1) ფოსფორიანი, 2) შვედური, ანუ უშიშარი, 3) კონგრევის წუმწუმა, რომელიც ფოსფორს არ შეიცავს.

ოცი წლის წინათ წუმწუმას ყოველდღიური მოხმარება მთელ მსოფლიოში უდრიდა ორ მილიარდს. ამჟამად მთელი დედა-მიწის ზურგზე ყოველდღიურად იხარჯება 10 მილიარდი ცალი წუმწუმა, ე. ი. წუმწუმა გადაიქცა ყველაზე უფრო გავრცელებულ მოხმარების საგნად.

ძველი რომაული

ქალაქის აღმოჩენა

შუა იტალიის სიძველეთა მუზეუმების დირექტორმა პროფ. მორეტიმ გააკეთა აღმოჩენა, რომელსაც აფასებენ, როგორც იტალიის არქეოლოგების უმნიშვნელოვანეს მიღწევას უკანასკნელი წლების განმავლობაში. ქ. სან-სევერინის მიდამოებში (შუა იტალია, აპენინების მთაგრეხილის აღმოსავლეთ ფერდობებთან) მორეტიმ იპოვა უძველესი ქალაქის ნანგრევები. გამოირკვა, რომ ამ ქალაქს ძველი რომაელები უწოდებდენ სეპტემპედას.

გათხრების დროს იპოვეს ნაშთი ციხის გალავნის, რომელიც აგებული იყო ხუთკუთხედის სახით. გალავნის თითეულ კუთხეში აღმოჩნდა ალაყაფის კარები, რომლებსაც ორივე მხრიდან იცავდა ორი კოშკი. თვით ქალაქში, გათხრების დროს, იპოვეს შესანიშნავი მოზაიკური ხელოვნებით შესრულებული იატაკები. ისტორიული ცნობებით, ქ. სეპტემპედა მეოთხე საუკუნეში დაანგრიეს გოტებმა (გერმანული ტომი). მაგრამ ქალაქის სიმაგრეები ისე მაგარი მასალიდან აღმოჩნდენ აგებული, რომ ზოგან სრულიად დაუზიანებელი სახით მოაღწიეს ჩვენამდე.

60.000 სინათლიანი ლამპა

ისტორია მოგვითხრობს, რომ რომის იმპერატორმა ნერონმა, რომ კარგათ გაენათებია ქეიფის დროს თავისი სასახლის ტერასები გადასწყვიტა დაეწვა მთელი ქალაქი. მართლაც და, წარმოუდგენელია თუ რამდენად უძლური იყვენ ძველ დროში, თვით იმპერატორებიც კი, თავიანთი ბინების განათების საქმეში. სოფელში, სადაც ელექტროფიკაცია არის გატარებული, თითეულ გლეხს შეუძლია შეიძინოს 2 მანეთიანი ელექტრონის ლამპა და უფრო უკეთესად გაანათოს თავისი ღარიბი ქოხი, ვიდრე ნერონმა, რომელმაც დასწვა მთელი რომი.

ელექტრონის ენერგიის საშუალებით ადვილათ შეიძლება სინათლის მიღება. სინათლე შეიძლება მიღებული იქნეს სასურველი სიძლიერის. ამის მაგალითს წარმოადგენს 60.000 სანთლიანი ლამპა, რომელსაც ამზადებს ვესტინგაუზის კომპანია (ამერიკაში).

წარმოუდგენელია თუ რა სიძლიერის სინათლეს იძლევა ეს ლამპა. თუ წარმოვიდგენთ, რომ სამაზრო ქალაქში, სადაც 5—6 ათასი მცხოვრებია, ანთებენ მხოლოდ ნავთის ლამპებს, ყველა ამ ლამპების სინათლის ძალა საეჭვოა, რომ აღემატებოდეს ამ ელექტრონის ლამპის სინათლის ძალას.

ამ ლამპის სინათლისათვის თვალის გაჩერება უსათვალეებოთ შეუძლებელია.

ტელეფონის გავრცელება

ტელეფონის აბონენტების ყველაზე მეტი რაოდენობა ევროპაში აქვს გერმანიას, სახელდობრ 2-ნახევ. მილიონი. ჩრდილო - ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მხოლოდ ორჯერ მეტი მოსახლეობაა, ვიდრე გერმანიაში, არის 17 მილიონი მომქმედი ტელეფონის აპარატი, ე. ი. თითქმის შვიდჯერ მეტი, გერმანიასთან შედარებით.

ნიუ-იორკში არის მილიონ ნახევარი აბონენტი, ე. ი. მეოთხედი მილიონით მეტი, ვიდრე ინგლისში.

ჩიკაგოში ტელეფონის აბონენტების რიცხვი მეტია, ვიდრე მთელ საფრანგეთში.

ამერიკაში ხალხი მეტს „ლაპარაკობს“, ვიდრე ევროპაში. ამ მხრივ სარეკორდო რიცხვი ევროპაში (დანიაში) არის 130 ლაპარაკი წელიწადში ერთ აბონენტზე, ამერიკაში კი ერთ კაცზე მოდის 190 ლაპარაკი.

ტელეფონის ასეთი ფართო გავრცელება ამერიკაში მოხდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. 1877 წელში მთელ ამერიკაში სულ იყო 2.500 ტელეფონის აპარატი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

თბილი კომპანია

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 11 თებერვალი. პარტიული და საბჭოთა ორგანოების განკარგულებით დაატუსაღეს ქობულეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე **ხასან თხილაიშვილი**, მისი მოადგილე **დურსუნ ტაბიძე**, მეტყევე **მეჯიდ თხილაიშვილი**, მილიციის უფროსის მოადგილე **პლატონ შოშიტაიშვილი** და ქობულეთის პარტიული კომიტეტის მდივანი **მეჯიდ კაკალაძე**.

მათ ბრალად ედებათ საფონდო მიწის გაყიდვა, მრავალი „მახინაციები", სახალხო ფულებით ქეიფობა, საბჭოთა და პარტიული აპარატის პირადი ინტერესებისათვის გამოყენება და სხვა.

დურსუნ ტაბიძემ და მეჯიდ კაკალაძემ ქობულეთში მიიღეს საფონდო მიწა, რომელიც შემდეგ მიჰყიდეს ადგილობრივ კულაკს კაკალ-ოღლის 600 მ.

აღმასკომის მეტყევეს და მილიციის საშუალებით ხდებოდა ამ ყიდვა-გაყიდვის „კანონიერი" რეგისტრაცია.

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მათი მოქმედება აღშფოთებას იწვევდა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ გამოკვლევით ყველა ფაქტები დადასტურდა.

გენო.

ცხენი სკოლაში

(ლეწურწუმე, ზუგდ. მ.)

ბახაზურათ მოკაზმული ლურჯა ცხენი, გვერდზე მოგდებული კავკავის ნაბადი, თავზე „აქლემის ყელის" ყაბალახი და „კაზანაცკის აზიაცკები"—აი ძველი დროის ფუქსავატ და ლორმუცელა მევრელ თავად-აზნაურობის სამკაული. ეს ტიპები დღითი-დღე ქრებიან და მალე დადგება დრო, როცა ისინი მხოლოდ მუზეუმებში და დარჩებიან.

მაგრამ ამ ტიპების მოყვარულთ შეუძლიათ თავი ინუგეშონ. ძველ, უსაქმურ თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ რჩება სამეგრელოში მიმბაძველები. ესენია შეძლებული გლეხები. ადგილობრივი ჩარჩ-ვაჭრები და აქა-იქ საბჭოთა მოსამსახურეებიც კი. ლურჯა ცხენი, კავკავის ნაბადი და „აზიაცკები"—ეხლაც შეგხვდებათ ჩვენი სოფლების ორღობეებში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, თუ წინათ ეს მორთულობა თავადსა და აზნაურს უშვენიებდა ყასიდ ქმობით ჩაყუჩებულ მხარ-ბეჭს, ეხლა ჩარჩ-ვაჭარი და კულაკი გლეხი ამაყობს იმით. ხანდახან კი სოფლის საბჭოთა მოსამსახურეც გაერევა მათში.

აი მაგალითად ს. ლეწურწუმეს ოთხწლედის გამგე. ის მეტად დახელოვნებული ცხენოსანი კაცია. სკოლა ამ გამგისათვის არსებობს იმდენად, რამდენადაც შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ის მისთვის. მეცადინეობა როგორც და როდის მოეპრიანება ისე მიჰყავს. თუ უნდა სრულიადაც არ გამოცხადდება სასწავლებელში.

ამას წინად ჩვენმა გამგემ სკოლაში ლურჯა ცხენი მოაგენა. ავდარი იყო. ცხენი გარეთ ვერ დასტოვა, მოგეხსენებათ გამგე ცხოველების მოყვარული და გულჩვილი კაცია. ადგა და ლაფში პირდაპირ სამეცადინო ოთახში შეიყვანა ბაკა-ბუკით. ცხენმა ამგვარი პატივისცემა კარგათ შეიშინა, ერთი კი დაიფრუტუნა, წვრილსაკან ტანი დაიფერთხა და შემდეგ გულმოდგინეთ დაიწყო მისთვის საგანგებოთ მოტანილ ჩალის შექცევა.

გამგემ, თითქოს აქ არაფერიაო, მიუბრუნდა მოწაფეებს და მეორე კუთხეში მეცადინეობას შეუდგა.

კიდევ კარგი, რომ ლურჯა ზრდილობიანი და ჰეტის-მიტაღ თავდაჭერილი ოთხფეხი აღმოჩნდა. მთელი გაკვეთილი ისე გაატარა, რომ არაფერი დაუსვრია და დაუსველებია. ცხენის ზრდილობისა და სკოლისადმი პატივისცემის მხრივ ლურჯამ ბევრათ წინ გაუსწრო თავის მხედარსაც, ლეწურწუმეს ოთხწლედის პატივცემულ გამგეს.

აქედან სათანადო დასკვნა, სათანადო ორგანოებისათვის მიგვინდვია.

ზ. ნ—ლი.

დადგენილებას არ ასრულებენ

(თავასის თ., შორაპნ. მ.)

თავასის თემის სოფლები დაშორებულია დაბა ჩხარის სარაიონო ეპოს 10-15 ვერსით. თემში არსებობს ორი ეპოს განყოფილება, თავასის და თოხზის, რომელიც აკმაყოფილებდა გლეხობის მოთხოვნილებას ფართლით და სხვა საჭირო საგნებით. მრავლდებოდა წევრთა რიცხვი და სხვა. წარსულ წელს. 30 ნოემბერს, ფართალი უკანვე წაიღეს და მის ნაცვლად: ბისკვიტი, პუდრი, კანფეტები, ბორჯომის წყალი და სხვა გამოუგზავნეს...

ამავე წარსული წლის 16 დეკემბერს იქნა მოწვეული ეპოს წლიური ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ ამხ. კალისტრო გამეზარდაშვილი მაზრიდან და ამხ. სამუილ ხარაიძე ცეკავშირის ინსტრუქტორი.

გამგეობის მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ ფართალს აძლევდენ ისეთ განყოფილებებს, რომელნიც ბაზარზე ყოველი მხრით ახლოს არიან, ხოლო თავასის განყოფილებების გლეხობა კი ჩხარის ფეხზე მოვაჭრე მეწვრიმალეების ხელში. რწმუნებულთა ყრილობამ და მოსულმა ამხანაგებმა გამეზარდაშვილმა და ხარაიძემ დიდი მწუხარება გამოსთქვეს გამგეობის შეცდომაზე და ყრილობამ მისცა გამგეობას წინადადება: დაუყოვნებლივ გადაეგზავნათ ფართალი შორეულ განყოფილებებისთვის. ყრილობამ დაადგინა არ მისცემოდა ფართალი არა წევრებს.

ეპოს გამგეობამ ეს დადგენილება ფეხზე მოიკიდა და თავასის განყოფილებებს ისევ უარი უთხრეს ფართალზე. გლეხობას გამოუგზავნეს ძველი სტილით, (რომ მხიარულათ გაეთენებიათ ძველი ახალი წელიწადი) სხვადასხვა ფირმის კანფეტები და მონპანსე.

მაყურებელი.

უყურადღებოთ მიტოვებული სოფელი

(შუხუთი, გურია)

სოფ. შუხუთში გლეხობა მისდევს უმთავრესად სიმინდის მეურნეობას. მინდვრები თითქმის საკმარისია. მაგრამ მიწების საუკეთესო ნაწილი „ჯიქის ტბის" მიწები დანაწილებული არაა სწორათ. ვისაც როგორ უნდოდა, ისე მოაგვარეს ეს საქმე. უმიწაწყლო გლეხების ინტერესების მოსარჩლეთ არვინ გამოჩნდა.

საქმე იმაშია, რომ ეს მიწები პირველ ხარისხისაა და კარგი მიწებია და მასთან ზედ სოფელთანაა. ცხადია თავს ამისათვის არვინ ზოგავდა და ამ ნიადაგზე მიწები დანაწილდა არა კანონიერად. მაგალითად გიგო ორაგველიძეს თავის გაჩეხილი და დამუშავებული მიწა წაართვეს და ისეთს მისცეს, რომელსაც კარგი შეძლება ჰქონდა. ასეთი მაგალითები ბევრია.

მიწის ყიდვა-გაყიდვა იქ ხშირია, მაგრამ დამნაშავეებს პასუხისგებაში ნაკლებად აძლევენ. ბევრი უკულმართობა ხდება აქ, მაგრამ ენა ვერავის ამოუღია. თუ ვინმემ რამე სთქვა ან დაასწრო, ვაი მის ტყავს. უმინოდეს გრძელ წვერიან რევოლვერის. ამ ნიადაგზე ეჭვით ერთ-ერთ გლეხკორის ამხ. ბზეკალავას წინააღმდეგ რევოლვერით იწვევდნ. საჭიროა ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს სათანადო ორგანოებმა.

იერემი იმნაიშვილი.

მუშათა ცხოვრება

ვიმზადოთ

ორი კვირის შემდეგ საქართველოს მშრომელნი იდღესასწაულებენ საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების ექვსი წლის თავს. ამ დღეს ჩვენი მშრომელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ ამ დღისთვის განსაკუთრებული მომზადება გვმართებს. 25 თებერვალი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ხელისუფლებისა და მშრომელთა მასების ერთმანეთთან დასაახლოვებლად, პარტიის და ხელისუფლების გავლენის განსამტკიცებლად. ამას ჩვენ მივაღწევთ არა ცარიელი სიტყვებით, არამედ მშრომელთა თვალწინ უნდა გადავშალოთ, თუ რა გავაკეთეთ ამ 6 წლის განმავლობაში. ვის არ ახსოვს, თუ რა ჭორებს ავრცელებდენ ანტისაბჭოთა პარტიები საქართველოში — კომუნისტებს დანგრევა შეუძლიათ, აშენება კი არა და სხ. დღეს კი ყველა აშკარად ხედავს, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენი გააკეთა ამ 6 წლის განმავლობაში, რასაც სხვა რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ვერ გააკეთებდა.

საჭიროა, რომ მუშათა ფართო მასებს ყოველ მხრით გავაცნოთ, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ ამ ექვსი წლის განმავლობაში. ეს საჭირო და აუცილებელია. ამას წინად მუშკორი ალ. ბალი სწერდა: ჩვენს ფაბრიკაში თბილისის საბჭოს წევრმა მოხსენება გააკეთა საბჭოს გასული წლის მუშაობაზე; ბევრი ისეთი რამეებია გაკეთებული საბჭოს, რის შესახებ მუშებმა არც კი იცოდენ; მუშები სურვილს გამოსთქვამენ, რომ ხშირად გაიმართოს ასეთი მოხსენება, რომ საბჭომ გაგვაცნოს თავისი მუშაობა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ მუშებს შორის ბევრი ყოფილან ისეთები, რომელთაც არ სცოდნიათ რა გაუკეთებია საბჭოთა ხელისუფლებას თბილისის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მათ წარმოდგენაც არ ჰქონდეთ, თუ რა კეთდება საქართველოს დანარჩენ ქალაქებში და სოფლებში. რამდენი ახალი ფაბრიკები, ქარხნები, ელექტრო-სადგურები, სკოლები შენდება, ახალი გზები და სარწყავი არხები გაგვყავს. ყველაფერი ეს მუშათა ფართო მასებს უნდა გავაცნოთ. მუშათა კლუბებმა, წითელმა კუთხეებმა, ლენინის კუთხეებმა აქიდანვე უნდა შეუდგენ მუშაობას. აქტიური მუშების მეთაურობით ყველა ფაბრიკებსა, ქარხნებსა და დაწესებულებებში უნდა მოეწყოს მუშა-მოსამსახურეთა წინასწარი კრებები, სადაც ციფრებით და სტატისტიკური ცნობებით ხელში ფართოდ უნდა გავაცნოთ მათ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა ამ ექვსი წლის განმავლობაში. არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, რომ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდეს იმაზე, თუ რა გაკეთდა საქართველოში 6 წლის განმავლობაში.

მარელისის ავეჯეულობის ქარხანაში

გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა მარელისში დაწყებული იყო პატარა გეგმით, რომელიც უნდა დამჯდარიყო არა უმეტეს 150.000 მანეთისა. ნამდვილად კი ქარხანა იმ თავითვე გაფართოვდა. აგებულ იქნა დიდი დაზგები. დღემდე ქარხანაზე დახარჯულია 1.072.000 მან.

მარელისის ქარხნის ასაგებათ გერმანიიდან გამოწვეული იყო სპეციალისტი მომუშავეები, რომლებმაც იმედები ვერ გაამართლეს. დადგმული დაზგები უვარგისი გამოდგა, რასაც მიექცა ყურადღება და ცენტრიდან გამოწვეულ იქნა სპეციალური კომისია. როგორც კომისიამ გამოარკვია ქარხანაზე ბლომად დახარჯულა ზედმეტი თანხები.

ადგილმდებარეობა, სადაც ქარხანაა აშენებული, ციებ-ცხელებიანია და ამ ნიადაგზე მუშები ხშირად ხდებიან ავად მალარიით, რასაც შედეგად თან მოსდევს მათი განთავისუფლება სამუშაოდან და უამრავი ხარჯი მიდის მათზე საექიმოთ. ქარხანასთან არ არის მუშებისათვის საცხოვრებელ ბინების საჭირო რაოდენობა; არც არის აგრეთვე აბანო, კლუბი და არც სხვა კულტურული გასართობი.

ქარხნის ამუშავება განზრახულია თებერვლის შუა რიცხვებში. ქარხანა ყოველ წლიურად დაახლოებით შემოიტანს 79.800 მანეთამდე მოგებას.

მიაქციეთ ყურადღება

სადგურის ქუჩაზე (სახლი № 22) ეკუთვნის ვინმე ლასკუტოვს. პატრონი ამ სახლებს სრულიად ყურადღებას არ აქცევს. ეზოს ორი შესავალი აქვს, ერთის კარები სრულებით არ არის, მეორე ძირს ყრია. ამის გამო რაც სადგურის ირგვლივ ავარები, ქურდები, უზნეო ქალები არიან აქ იყრიან თავს. მუშა მოსამსახურენი ძლიერ შეწუხებული ვართ. საჭიროა ვისაც ჯერ არს ამ მდგომარეობას მიხედოს.

მუშა ხ—ლი.

„სპეკულიანტების მოედანი"

ეს მოედანი მდებარეობს ყოფილ ავჭალის აუდიტორიასთან. ამ მოედანზე ახლო სოფლებიდან გლეხებს შემოაქვთ აუარება სხვადასხვა სანოვაგე. გაუახლოვდება თუ არა ამ მოედანს გასასყიდ რაიმე სანოვაგით გლეხი, სპეკულიანტები მგლებივით მივარდებიან ხოლმე გლეხს, სადაც მიუსავალ ალაგს გაიტაცებენ და ჩალის ფასად იძენენ სანოვაგეს. თუ ვინმე—მოქალაქეთაგანმა გაბედა და მათ შეეცილა რაიმე სანოვაგის ვაჭრობაში ისე გაამასხარებენ, ისეთი სიტყვებით გაუმასპინძლდებიან, რომ ძალაუნებურად იძულებული ხდება თავი აანებოს სანოვაგის ყიდვას.

მილიციამ დროა მაგრად ხელი ჩაჰკიდოს ამ გათამამებულ ვაჟბატონებს.

მუშა გოგია.

მადლობის ღირსია

6 თებერვალს საღამოს 8 საათზე მუშებით გაივსო მ. ც. კლუბის სათეატრო დარბაზი, ამ საღამოს დაიდგა ქართული წარმოდგენა—„პარიზი". მიხ. ქორელის რეჟისორობით.

წარმოდგენას ბევრი მუშა-მოსამსახურე დაესწრო დაესწრო უზრდელი ელემენტებიც,—ეგრედ წოდებული „ხულიგანთა" ჯგუფი, რომელნიც შემოსულიყვნენ მხოლოდ წესიერების დასარღვევად: წარმოდგენის მსვლელობის დროს, ისინი არღვევდნენ სიჩუმეს, ხელს უშლიდნენ და სმენას უხშობდნენ მაყურებელ საზოგადოებას; თუ ვინმე გაბედავდა და წესიერებისაკენ მოუწოდებდა მათ, ლანძღვა მუქარით უმასპინძლდებოდნენ და იწვევდნენ ქუჩაში გასალახათ.

— ეს უწესრიგობა განუცხადეს დამსწრე—ძველმა მუშებმა კლუბის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ელიაშვილს, რომელიც ავიდა სცენაზე და ხალხის წინაშე გააფრთხილა უკანასკნელად ის საზიზღარი ელემენტები, რომ აღარ გაემეორებინათ უზრდელობა...

იმედია კლუბის გამგეობა მიიღებს მკაცრ ზომებს აქ მოსიარულე ხულიგანთა ბრბოს სამუდამოდ გასაძევებლად მშრომელთა კულტურის კერიდან.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; დიდი მადლობის ღირსია ხელმძღვანელი ამხ. ქორელი მსახიობების საუკეთესო მომზადებისა და დიდებული დადგმისათვის მუშების საკეთილდღეოდ; აგრეთვე მუშურ მადლობას ვსწირავთ კლუბის გამგეობას ასეთი კარგი წარმოდგენების დადგმისათვის და ვისურვებთ ხშირად მოიწვიოს ზემოხსენებული ქართული დრამწრე წარმოდგენების დასადგმელად.

მუშკორი ლადო.

ამხ. რ. მუსერიძის ხსოვნას

48 წელი შესრულდა, მას შემდეგ რაც ამხ. რომანოზ მუსერიძე ქალაქის სასაკლაოში სალახის თანამდებობაზე მუშაობდა. ის თავიდან პატიოსან და მუყაით მუშაკად ითვლებოდა და ამიტომ ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. დღეს კი თვენახევარი ავადმყოფობის შემდეგ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ძვირფასი და დაუვიწყარი მუშაკი.

ქალაქის სასაკლაოს მუშაკნი დიდ მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას და დაუვიწყარ ამხ. რომანოზ მუსერიძის დაკარგვის გამო.

ჟ. გვარამაძე.

მუშათა წერილებიდან

ცუდ პურს აცხობენ

(წერილი ქ. ჭიათურიდან)

ისეთი ცუდი პური ცხვება, რომ მისი ჭამა ხანდახან შეუძლებელი ხდება. პურის ფქვილი პირველი ხარისხის არის და მუშები ვერ გარკვეულან, რომ პურს მოშავოს და ცომს აცხობენ. ამ საქმეს ქ. ჭიათურის მუშკოოპის გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

მუშა ჭიათურელი.

შესცვალეთ

რკინის გზის საავადმყოფოს ამბულატორიის მოსაცდელ დარბაზს არ აღებენ დილის რვა საათამდე, რკინის გზის ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებს კი ყინვაში და წვიმაში უხდებათ ქუჩაში შემოსასვლელ კარებთან რიგებში გაჩერება შვიდის ნახევარ საათიდან რვა საათამდე. ციებიან და ავადმყოფობას ავადმყოფობა ემატება. საჭიროა რკინის გზის საავადმყოფოს ადმინისტრაციამ შესცვალოს თავისი ბრძანება და დილის 8 საათის ნაცვლად, ამბულატორიის მოსაცდელ დარბაზის კარები ვაღებინოს დილის 7 საათიდან.

მუშკორი კოლოდიუში.

მუშათა ქრონიკა

— **გამოკვლევა.** რ. გ. სპეციალურ კომისიამ მოახდინა ა. კ. რკ. გზ. მოძ. სამსახურის მე-2 განყოფილების მუშაობის გამოკვლევა. კომისიამ მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

— **წითელი კუთხე.** სად. მცხეთის ადგილკომმა დაარსა წითელი კუთხე.

— **წევრთა რიცხვი.** სატრანსპორტო კოოპერაციის წევრებად სად. თბილისის მოძრაობის დარგში ითვლება 500-ზე მეტი კაცი.

პროფკავშირი.

ყრილობები და თათბირები

იუსტიციის მუშაკთა თათბირი

კამათი ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო.

12 თებერვლის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. შონიამ, გაშიმოვმა, მუსაელიანმა, კაჭარავამ და სტეპანოვმა.

ამხ. გაშიმოვის მოხსენება.

შემდეგ ამხ. გაშიმოვმა მოხსენება გააკეთა ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებებთან ბრძოლას, მომხსენებლის სიტყვით, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ეს ბოროტმოქმედებანი ძირს უთხრიან სახელმწიფოს საერთო მშენებლობისათვის მიმართულ ღონისძიებებს და არყევენ იმ კანონიერებას, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა წესწყობილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ყოფაცხოვრებითი ბოროტმოქმედებების შესახებ არ არის კარგად შესწავლილი, ხოლო ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მთლად გამოუკვლეველია. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყოფაცხოვრება კი (პატრიარქალობის ნაშთები, საწარმოო ძალთა სუსტი განვითარება, სამეურნეო ფორმების ჩამორჩენილობა, მოსახლეობის ნაკლები კულტურობა) მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ ყოფაცხოვრების პირობებს და ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებებს.

შემდეგ, ამხ. გაშიმოვი შეეხო, უმთავრესად, ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებებს აზერბეიჯანში. განსაკუთრებით საშიშ ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებას აზერბეიჯანში წარმოადგენს: მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე, მრავალცოლიანობა, სქესობრივ მომწიფებამდე ქორწინება, ქალების გატაცება, პედერასტია და სხვ., რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა სასტიკი ბრძოლის წარმოება. ყველა ეს ბოროტმოქმედებები გათვალისწინებული აქვს აზერბეიჯანის სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც სოციალური დაცვის უსასტიკეს ზომებს ღებულობს ასეთი ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ზემოჩამოთვლილ ბოროტმოქმედებებიდან გათვალისწინებული აქვს მხოლოდ ქალთა გატაცება და პედერასტია, სომხეთისას კი—იძულებითი ქორწინება და ქალების გატაცება.

ქალის გატაცების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში აზერბეიჯანში გათვალისწინებულია უმაღლესი სასჯელი. იგივე სასჯელი იხმარება სქესობრივი ბოროტმოქმედებების, ქალთა განთავისუფლების საწინააღმდეგო ბოროტმოქმედების, შურისძიების ნიადაგზე მკვლელობის წინააღმდეგ.

სტატისტიკური ცნობებით, ყოფაცხოვრებითი ბოროტმოქმედება აზერბეიჯანში შეადგენს ყველა ბოროტმოქმედებათა 30—35 პროცენტს. ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებებს შორის უმეტეს პროცენტს შეადგენს მკვლელობა (ყველა ბოროტმოქმედებათა 18—19 პროცენტს).

საკმაოდ სასტიკია განაჩენი ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებებზე: გარჩეულ საქმეების 50 პროცენტზე გამოტანილია უმაღლესი სასჯელი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მკვლელობას შურისძიების ნიადაგზე. იყო შემთხვევები, როდესაც ბოროტმოქმედება შურისძიების ნიადაგზე ჩადენილ იქნა 10—15 წლის შემდეგ. ამას წინად ერთი შემთხვევა იქნა გარჩეული, როდესაც მკვლელმა 1924 წელში იძია შური თავის მოწინააღმდეგეზე, რომელმაც თავის მხრივ მკვლელობა ჩაიდინა 1910 წელს.

მაგრამ საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ისიც, რომ მარტო დასჯის ზომებით ვერ აღმოვფხვრით ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებებს. საჭიროა ამავე დროს დაუყოვნებლივ შევუდგეთ ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებათა მიზეზებისა და პირობების შესწავლას. ამასთანავე საჭიროა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ მძიმეა სასჯელი ასეთ ბოროტმოქმედებებზე და ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ შეგვერბილებია ის.

კამათი.

კამათში ამხ. გაშიმოვის მოხსენების გარშემო გამოვიდენ ამხ. შავერდოვა, კაჭარავა, ბაღდასარიანი, ვართაპეტიანი და ასკეროვი.

ამხ. კაჭარავა აღნიშნავს ერთგვარ დაშორებას აზერბეიჯანის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსებს შორის სასჯელის მისჯის მხრივ, რასაც ის არასასურველ მოვლენად სთვლის. აზერბეიჯანის სისხლის სამართლის კოდექსიდან, მისი აზრით, საჭიროა გაუქმებულ იქნას უმაღლესი სასჯელი მთელ რიგ დანაშაულობათათვის.

ამხ. ასკეროვმა გაილაშქრა სასტიკი ზომების წინააღმდეგ ყოფაცხოვრებითი ხასიათის ბოროტმოქმედებებისათვის და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ აზერბეიჯანში ამჟამად აღმოფხვრილია ერთი სახის ყოფაცხოვრებითი ბოროტმოქმედება, სახელდობრ—მკვლელობა დაქირავების დარგში, რომელიც წინედ ძალიან გავრცელებული იყო ბაქოში.

12 თებერვლის საღამოს სხდომა

12 თებერვლის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი გაშიმოვის მოხსენების შესახებ.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ვარდანიანის მოხსენება

სასამართლო აპარატის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი ჩამოსთვლის მ.-გ. ინსპექციის მიერ სასამართლო დაწესებულებებში აღმოჩენილ დეფექტებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: სასამართლოების მეტისმეტი დატვირთვა, მათი მოღვაწეობის მეტად ფართე რადიუსი და სხვა. სასამართლოების განსატვირთავად მომხსენებელს მიზანშეწონილად მიაჩნია სასოფლო სასამართლოების მოწყობა, რომელთაც გადაეცემათ წვრილი საქმეები. სასამართლოების პირადი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად მომხსენებელი საჭიროდ სცნობს არსებულ კადრის გადამზადებას და ცალკე მუშაკების უფრო კვალიფიციური მუშაკებით შეცვლას.

დასასრულ მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სასამართლოებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხზე.

მოხსენების შესახებ გაიმართა კამათი.

ზაკსოიუზის საბჭოს მეოთხე სესია

მეორე სხდომა.

კამათი ამხ. ბუკრეევის და ბოკოვის მოხსენების გარშემო.

12 თებერვლის დილის სხდომა მთლიანად მოუნდა კამათს ამხ. ამხ. ბუკრეევის და ბოკოვის მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა კაცმა.

ორატორები „ზაკსოიუზ"-ის გამგეობის საქმიანობას ერთხმად დამაკმაყოფილებლად აღიარებენ, მაგრამ აღნიშნავენ იმასაც, რომ ადგილი ჰქონდა ნაკლს, რაც უმთავრესად გამოიხატა საორგანიზაციო მუშაობაში.

განსაკუთრებით იქნა აღნიშნული ა.-კ. კოოპერაციის მოსკოვის წარმომადგენლობის უაღრესად არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი 20 პროცენტით გამოუსადეგარია ამიერ-კავკასიისათვის.

კამათში გამოსული ორატორები შეეხნენ აგრეთვე პურის ოპერაციებს, კრედიტების საკითხს, სოფლის პროდუქტების დამზადებას, გადასახადების საკითხს, კოოპ. ორგანიზაციების ურთიერთ საინფორმაციო კავშირის და სხვ.

რეზოლიუცია.

ამხ. ბუკრეევის და ბოკოვის საბოლოო სიტყვების მოსმენის შემდეგ გამგეობის მუშაობის შესახებ, სესიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც „ზაკსოიუზ"-ის 1925—26 წ. მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

მე-3 სხდომა.

საღამოს სხდომაზე სესიამ მოისმინა ამხ. ვ. კანდელაკის მოხსენება „ზაკსოიუზ"-ის 1926—27 წლის ოპერატიულ-ფინანსიური გეგმის შესახებ და ამხ. პიჩიკიანის მოხსენება 1926—27 წლის საორგანიზაციო გეგმის შესახებ.

ამხ. კანდელაკის მოხსენება.

ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის საქონლით მომარაგების ზრდასთან ერთად „ზაკსოიუზ"-ის ოპერატიულ-ფინანსიური გეგმა მიმდინარე სამეურნეო წელში გადიდებულია 37 პროცენტით.

მიმდინარე წელს გენერალური ხელშეკრულებებით შემოზიდული იქნება უმეტესად შემდეგი სამრეწველო საქონელი: შაქარი, მანუფაქტურა, რეზინის ნაწარმოები, სილიკატური ნაწარმოები და ლითონები. ამავე გზით გათვალისწინებულია ზოგ ორგანიზაციების მომარაგება საკონდიტრო ნაწარმოებით.

გარდა ამისა, „ცენტროსოიუზ"-ის საშუალებით შემოზიდულ იქნება: ქაღალდი, ლითონები, ჩაი და ფქვილი. მოთხოვნილებათა მიხედვით კი: გალანტერეია და საბაყალო საქონელი.

საიმპორტო საქონლის შემოტანა წელს უფრო შემცირდება, იმპორტის საერთო შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოტანის „ზაკსელმაშ"-ისათვის გადაცემის გამო.

მოსალოდნელია დასამზადებელ ოპერაციების შემცირებაც, ნაციონალურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ცენტრების მიერ ამ საქმისათვის ფართოდ ხელის მოკიდების გამო. ამგვარად შემცირდება ექსპორტიც.

სამრეწველო საქონელი რესპუბლიკებს შორის განაწილდება ამგვარად: საქართველო მიიღებს 2.622.000 მანეთის საქონელს, აზერბეიჯანი—2.298.000 მანეთისას და სომხეთი—868.000 მანეთისას.

ამხ. პიჩიკიანის მოხსენება.

უკეთებს რა ჯამს „ზაკსოიუზ"-ის საორგანიზაციო მუშაობას გასული წლის განმავლობაში, მომხსენებელი არკვევს საორგანიზაციო მუშაობის მეთოდებს 1926—27 წელში.

საორგანიზაციო მუშაობა იწარმოებს ორი მთავარი მიმართულებით: მუშაობის გეგმიანი წარმოებისა და ამისათვის საჭირო სამეურნეო ინსტრუქტაჟის გაწევის მხრივ.

ბუნებრივად ამ საქმიანობის გვერდით სერიოზული ყურადღება მიექცევა ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლებას.

თათბირი ჭლექის შესახებ

დღეს, დილის 12 საათზე, გაიხსნება თბილისის საქალაქო კონფერენცია ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განსახილველად და მომავალი სრულიად საკავშირო ტუბერკულობისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა ჩასატარებლად.

კონფერენციაზე დასასწრებლად მოწვეული არიან, გარდა სამკურნალო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, აგრეთვე დაინტერესებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია ორი ძირითადი საკითხი: 1) ჭლექის სოციალური პროფილაქტიკა და 2) ჭლექის თანამედროვე მკურნალობის საშუალებანი.

კონფერენცია გაიხსნება სანიტარული განათლების თეატრში.

ქუთათელაძის კომერციული მოღვაწეობის ირგვლივ

მიწათმოქმედების სახალხო კომისარის განკარგულებით, ქუთაისის მეაბრეშუმეობის სადგურის სარევიზიოდ დანიშნულმა კომისიამ ამხ. ბარბაქაძის თავმჯდომარეობით აღმოაჩინა, რომ, გარდა მთელ რიგ სხვა დანაშაულობათა და ბოროტმოქმედებებისა, სადგურის სალაროს და სხვა ყოველგვარი ხასიათის ანგარიშები სწარმოებდა უწესრიგოდ და დაუდევრათ. ჯერ კიდევ 1923 წელს სადგურის მოანგარიშემ წესიერ ნიადაგზე დააყენა სადგურის ანგარიშთწარმოება, მაგრამ ქუთათელაძემ გააუქმა ანგარიშთწარმოების ეს ახალი წესი და მის მაგიერ შემოიღო სხვა წესი.

რევიზიის დროს, სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორებს წარუდგინათ ქუთათელაძისათვის 1458 მან. საავანსო ანგარიშები, ხოლო სახელდობრ რომელი თანხებიდან იყო წაღებული ეს ავანსები — ვერ გამოირკვა.

სადგურის ბინის აივანზე აღმოაჩინეს ოთხიუთი სხვადასხვა ქონება, რომელიც ეკუთვნოდა ყოფ. ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის კომიტეტს. ეს ქონება რამდენიმეჯერ მოსთხოვეს ქუთათელაძეს, მაგრამ მან იგი არ წარადგინა და აცხადებდა, რომ არავითარი ქონება არ არისო. გარდა ამისა ი. ქუთათელაძის ბინაზე აღმოჩენილ იქნა სადგურის კუთვნილი ისეთი ქონება, რომელიც არ არის აღნუსხული სადგურის საინვენტარო წიგნებში. ამ ქონებაში, სხვათა შორის, არის ათი მიკროსკოპი სხვადასხვა სისტემებისა. აღნიშნული მიკროსკოპების ღირებულება სპეციალისტების აზრით ძალიან დიდ თანხას შეადგენს. აქვე იპოვეს აგრეთვე ბევრი ისეთი აპარატი, რომელიც მეტად დიდ საჭიროებას შეადგენს მეაბრეშუმეობის საქმეში.

ქუთათელაძის მოქმედებით მიყენებული ზარალის საერთო ჯამი ჯერ კიდევ არაა გამორკვეული. რევიზიის მიერ შეკრებილი ყველა მასალები გადაეცა რესპუბლიკის პროკურორს.

ინჟ. მადიჩი საზოგადო მოღვაწის ტანსაცმელში

ინჟ. მადიჩის ინიციატივით დაარსდა საბინაო ამხანაგობა „ქალაქის ბაღი". ინიციატორმა ამხანაგობას დიდი გეგმები დაუსახა. უნივერსიტეტის მახლობლად წყნეთის მიმართულებით დიდ სივრცეზე შეადგინა გეგმა, დაანაწილა უბნებათ, ეზოებათ და მოედნებათ. ამ მეტად სიმპატიურ საქმეში ჩავებით მუშა-მოსამსახურეთა საკმაო რიცხვი. შევიტანეთ საპაიო, საწევრო, სახლისაგების თანხის 10 პროცენტი და ამით შედგა რამდენიმე ათასი მანეთი.

წევრებმა მივიღეთ მიწის ნაჭრები და შევეცადეთ რაც შეიძლება მეტი თანხა შეგვეტანა კოოპერატივში, რადგან ამას მოითხოვდა ინჟ. მადიჩი საქმის წინ გასაწევად.

წლებმაც ვერ გააცრუა ჩვენი იმედები, რადგან ეჭვი არ გვეპარებოდა ინჟ. მადიჩის კეთილსინდისიერებაში. მაგრამ გამოირკვა შემდეგი!

1) ის მიწები, რომლებიც ჩვენ დაგვირიგეს არ ყოფილა „ქალაქი-ბაღის" განკარგულებაში. ინჟ. მადიჩს შეუდგენია ხელშეკრულება ამ მიწების მიღების შესახებ. მაგრამ ხელშეკრულებას ცოტა რამ აკლია... აკლია ქალაქის აღმასკომის დასტური ამ მიწების გადმოცემის შესახებ. ე. ი. მადიჩმა მოტყუებით, ხლესტაკოვის როლი შეასრულა, დაგვირიგა ის რაც არ ეკუთვნოდა ამხანაგობას.

2) ამ მოტყუებით შეკრებილი თანხა, რომელიც ინახებოდა ბანკში, სადღაც გაქრა. კომუნალური ბანკიდან ინჟ. მადიჩმა და კომპანიამ მთელი ფული გაიტანეს, რის უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

3) გატანილი ფულით აფერისტებმა რამოდენიმე საჟენი ქვა დაწყეს ვითომდა კოოპერატივის ადგილზე წევრთა თვალის ასახვევათ, რომ თითქოს რამე კეთდებოდა და შეუდგენ კერძო სავაჭრო კომბინაციების წარმოებას.

4) კოოპერატივი „ქალაქ-ბაღი". არ დაკავშირებია საბინაო კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს. რომლის სახელითაც ის მოქმედებდა. ამ კავშირმა არც კი იცის ვინ არის „ქალაქი-ბაღის გამგეობის წევრები.

5) ვინც საქმის ვითარება არ იცის, კიდევ წარმოადგენს ინჟ. მადიჩისა და კომპანიის საწვევ ფულს, მათთვის არსებობს გამგეობაც, ბაღიც და ყოველივე. მაგრამ მათთვის ვინც ფული მოითხოვა უკანვე ყველაფერი გაქრა. მადიჩმა განაცხადა, რომ ის პასუხისმგებელი არ არის და მიუთითა თავმჯდომარეზე, ვინმე გოცირიძეზე, გოცირიძემ განაცხადა, რომ არაფერი იცის და მიგზავნა მოლარესთან. ბოლოს გავიკვირვე ასეთი შეხვედრა და ყველამ ერთად კი აღიარა, რომ ისინი ვერავის დაუბრუნებენ ფულს.

რას ამბობს ამ ფაქტის შესახებ სხვადასხვა ორგანოები?

პროკურატურა გვიპასუხებს, რომ საჭიროა ვისმეს ბრალი დაედოს ბოროტმოქმედებაში კონკრეტულად და მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემა.

შრომის კომისარიატი ამბობს, რომ ის ვერ ჩაერევა საზოგადოებრივ ორგანიზაციის შინაგან ცხოვრებაში და ეს საქმე ეხება „ქალაქი-ბაღის" სარევიზიო კომისიას.

საბინაო კოოპერატივთა ცენ. კავშირი აცხადებს, რომ ჩვენ ხელი არა გვაქვს ამ კოოპერატივთან, არ ვიცით რა ხალხია შიგ, ვიცით რომ სწარმოებს რაღაც ბნელი საქმეები და საჭიროა მათი ლიკვიდაციაო.

ყველა მართალია, მაგრამ ამით აფერისტებს საშუალება ეძლევა ატყვილონ მუშა-მოსამსახურეები, ურიგონ მათ „მიწის ნაჭრები", რომელიც ქალაქს ეკუთვნის. შეიტანიონ საწევრო გადასახადი და ამ მიწის მისაღები თანხა. ვინც უკვე წევრებათ არიან ისინი უკვე გახდენ აფერისტების მსხვერპლნი და წვა-დაგვით მოგროვილი თანხები აფერისტთა საკომბინაციოთ გახდა.

აუცილებელია დაუყოვნებლივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული საზოგადო მოღვაწის ტანსაცმელში გადაცმული აფერისტები, გამოირკვეს „ქალაქი-ბაღის" საქმეები და დაცულ იქნეს მუშა-მოსამსახურენი აფერისტებისაგან.

ჟ. ხ.

ზ ა ჰ ე ს ი

გამაძლიერებელი სადგურის აგება

ა. წ. 28 იანვარს ეკონომიურმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის ზაჰესის ელენერგიის ხაშურამდე გადამ. 115.000 ვოლტ. სად. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

ზაჰესიდან ხაშურამდე ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა შედის გზათა სახალხო კომისარიატის კომპეტენციაში, ხოლო ზემოხსენებულ სადგურის აგება, თბილის-ხაშურის რკინის გზის ხაზის ერთ-ერთ ადგილზე, უნდა იკისროს ზაჰესის სამუშაოთა სამმართველომ. ზაჰესის პირველ მიზანს წარმოადგენდა თბილისისა და მისი რაიონებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. ამასთან შეფარდებით ნავარაუდევი იყო ტურბინების საჭირო სიმძლავრე და ხელსაყრელი [illegible] სახით. 35.000 ვოლტის გადაცემა ქვესადგურებთან ერთად. მაგრამ ზაჰესის მნიშვნელობა ამით არ შემოიფარგლა. ის გახდა სამრეწველო მნიშვნელობის სადგური. მეორე ასეთი სადგურის აგება გათვალისწინებულია ქუთაისში. (რიონზე). ორივე სადგური დაკავშირებული უნდა იქნენ გადაცემის მაგისტრალურ ხაზით, რომელიც ორი მხრიდან მიაწვდის სურამის საუღელტეხილო უბანს ელექტროენერგიას და ამ ხაზიდან, შემცირებელ ქვესადგურების შემწეობით, გადასცემს ელექტროენერგიას თბილის-ხაშურის რაიონს, სადაც მოთავსებული იქნება ელექტროენერგიის უმთავრესი მომხმარებლები (ნავთსადენის სადგურები, ცემენტის ქარხანა კავთისხევში, გორის მაზრის მექანიკური მორწყვა და სხვ.).



გამაძლიერებელი სადგურის ფასადი

ზაჰესის-ქუთაისის სადგურების ელექტროენერგიის გადამცემ ხაზის საკითხი წამოიჭრა ქუთაისის სადგურის მუშაობის დაწყებამდე.

გამაძლიერებელ ქვესადგურის აგებასთან დაკავშირებულია გამაძლიერებელ ტრანსფორმატორების მოწყობაც, განმანაწილებელ სტრუქტურით მათთვის და ორი 115.000 ვოლტი ხაზისათვის.

წარმოდგენილ ვარიანტებით ღია ქვესადგურის ხარჯთაღრიცხვა უდრის—545.210 მან., დახურულისა კი ა) 580.200 და ბ) 561.800 მან., ამ სამ ვარიანტებს შორის ზაჰესის სამმართველ. უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია პირველი ვარიანტის მიღება ე. ი. ღია ქვესადგურისა.

ქრონიკა

ინჟ. შვარცის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ქარხანა „ელექტრო-ძალის" ტეხნიკური ნაწილის გამგე ინჟ. შვარცი.

მისი ჩამოსვლის მიზანია ქარხანა „ელექტრო-ძალის" მიერ ზაჰესში შესრულებული სამონტაჟო სამუშაოების დათვალიერება.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ ხელისათვის იბარებს შემდეგ პირებს:

კვალიფიციურ მუშაკთა სექციაში: საჭიროა 1 ტომრების დამკერებელი და 1 დამმუშავებელი.

გონებრივ შრომის სექციაში: 1 ბოგვერაძე შალვა, 2) კავსაძე მიხეილი, 3) ლომაია შალვა, 4) რეუაზიშვილი ალექსანდრე, 5) მხეიძე გიორგა, 6) სვანიძე დავითი, 7) ეიქილაშვილი თამარა. 8) ჯაღელი ეკატერინე.

მე-5 სექციაში: 1) გასპაროვი ვაიკი და 2) ტერ-სკოფოვი სერგო.

თბილისის აღმასკომში

◆ **კეთილმოწყობა.** ქუჩების, ხიდების და მოედნების კეთილმოსაწყობად გადადებულია 399.045 მანეთი.

◆ **სახანძრო იარაღების** შესაძენად აღმასკომმა გადასდო 44.780 მანეთი.

◆ **ღამის გასათევ სახლის** ასაგებად გადადებულია 70.000 მან. სახლის აგებას შეუდგებიან მარტში.

◆ **ახალი გზები.** აღმასკომის დადგენილებით გაზაფხულზე შეუდგებიან გზების გაყვანას თბილის - ყარიას და თბილის - მარტყოფს შორის სულ 52 ვერსის მანძილზე.

◆ **ამერიკული ვაზი.** სადგილ - მამულო განყოფილებამ საფრანგეთიდან გამოიწერა 300.000 მეტრი ამერიკული ვაზი.

◆ **ინკუბატორის შეძენა.** აღმასკომმა შეიძინა წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი ორი აპარატი (ინკუბატორი).

◆ **წყალსაზომები.** ამჟამად თბილისში 5299 წყალსაზომია. გასულ წელთან შედარებით 1400 წყალსაზომით მეტი.

მიწად-მოქ. კომისარიატში

◆ **ტყის მოწყობა.** აპრილში ტყის მომწყობი აპარატი ტყის მოწყობას შეუდგება გურიის და სენაკის სატყეოებში.

◆ **ამხ-ბა „ფრინველი".** სამტრედიაში დაარსდა მეფრინველეთა ამხ-ბა „ფრინველი".

◆ **მიწსახკომთან არსებული** საგეგმო კომისია შეუდგა კომისარიატის განყოფილებებისათვის ანგარიშების ერთიან ფორმების გამომუშავებას.

◆ **მიწის კოდექსი.** მიწსახკომის საგეგმო კომისია ამჟამად იმუშავებს მიწის კოდექსის ზოგიერთ მუხლების შეცვლის პროექტს.

◆ **აგრიკულტურული მუშაობა.** მიწსახკომმა დაადგინა მიიღოს ზომები, რათა სასოფლო მეურნეობის დარგში მომუშავე სხვადასხვა დაწესებულებების აგრიკულტურული მუშაობა შეთანხმებული იქნეს მიწსახკომის მუშაობასთან.

სოციუზრუნველყოფა

◆ **საინვალიდო სახლებში** იანვარში ირიცხებოდა 251 ინვალიდი. ახლების შენახვა ამავე თვეში სოციუზრუნველყოფის კომისარიატს დაუჯდა 6500 მანეთი.

◆ **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას**, რომელიც არსებობს სოფ. ჩოჩხათში (ოზურგეთის მაზრა) დახმარების სახით კომისარიატმა მისცა 200 მ.

◆ **გლეხკომებმა** გასულ თვეში, მთელ საქართველოში, ინვალიდებს და ღარიბ პირებს ფულადი დახმარების სახით მისცა 80.255 მანეთი.

◆ **სესხი.** მთელ რესპუბლიკაში მომქმედმა გლეხკომებმა იანვარში მეურნე გლეხებს თავიანთი მეურნეობების გასაუმჯობესებლად სესხათ მისცა 66.840 მანეთი.

სას.-სამ. ბანკში

◆ **საგლეხო მე-3 სესხი.** ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა გადასწყვიტა საკრედიტო ამხ-ბებს გაუნაწილოს 400.00 მანეთის საგლეხო მე-3 სესხის ობლიგაციები.

◆ **საქართველოს სას.-სამ. ბანკის** მეორე კვარტალის ანგარიშში მიეცა 941.700 მანეთი.

სხვა და სხვა

◆ **სტუდენტების გამოცდები.** ის სტუდენტები, რომლებიც უკვე გამორიცხულთა სიებში მოექცენ, შეიძლება აღდგენილ იქნენ უფლებებში და დაბრუნებული იქნენ თებერვლის სესიის გამოცდებზე, თუ ისინი პირველ თებერვლამდე ჩააბარებენ უნივერსიტეტში დატოვებისათვის საჭირო გამოცდებს.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** სტავროპოლიდან კაკ. ბურიკინისას, ბათომიდან ხარბანიდს, ბარანიდან პირუმოვს, ტუაპსედან კვარაცხელიას, ნოვოსიბირსკიდან ავაკიანს ერევნიდან მელიქ ნუბარიანს, სუფსიდან მესხს, ლენინაკანიდან მიგაელიანს, ქუთაისიდან ავალიანს, კრასნოდარიდან ორლოვს, არმავირიდან გრიბანოვისას, მოსკოვიდან გოგობერიძეს.

ცენტროარქივში

საქართველოს ცენტროარქივის დირექტორის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ი. იობიძე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 30 №-ში (თებერვლის 8) დაბეჭდილ ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილებაში № 9 — „მიწის კოდექსის 23, 25, 27, 30, 31, 34, 36 და 118 მუხ. შეცვლისა და დამატების შესახებ" შემდეგი შეცდომაა გაპარული:

პირველი სვეტის 22 სტრიქონში სიტყვა „აღმასკომში" — უნდა მისდევდეს შემდეგი გამოტოვებული სიტყვები — „ერთი თვის განმავლობაში დღიდან გარიგების დადებისა".

შემთხვევები

ხულიგნების დაპატიმრება

გუშინ მილიციამ დააპატიმრა გრიგოლ ახნაზაროვი, ალექსანდრე ფერაძე, ვასილ ზეინკალიშვილი და სერგო გრიგორაშვილი, რომლებიც ქვიან თოვლის გუნდებს ესროდენ გამვლელ გამომვლელთ.

ნივთების პოვნა

სისხლის სამართლის მილიციის მიერ ნაპოვნია ყაბალახი და სხვადასხვა ტანთსაცმელები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში ოთახი № 6 ა. ჯიქიასთან.

◆ **თავის დახრჩობა** .11 თებ. კლარა ცეტკინის ქ. № 76 მცხოვრებმა ლიდია ანტონის ასულმა კატანზიანმა თავი ჩამოიხრჩო.

◆ **დათვი სახკინმრეწვში.** 11 თებ. ღამის 1-ლ საათზე სახკინმრეწვის ეზოში დაბმულმა დათვმა აიწყვიტა ჯაჭვი და შევარდა იქვე გალიაში დამწყვდეულ სამ შველთან, ერთი მათგანი დაახრჩო, ხოლო ორი შველი გაიქცა. მიღებულია ზომები შველების აღმოსაჩენად.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** 11 თებ. 1-ლი ნაზარეთის ქ. № 40 გაქურდეს ალექსანდრე ბულყაშვილის სავაჭრო.

◆ **თეთრეულის მოპარვა.** 11 თებ. პანასევიჩის ქ. № 11 ფარშევა ჯანგუჯიანცს მოპარეს გასაშრობათ გაფენილი თეთრეული.

რკინის გზებზე

გამოურკვეველ მიზეზების გამო

ა.-წ. 6 იანვარს სადგ. ლენინაკანში ადგილი ჰქონდა ხანძარს, რამაც გზას მიაყენა 1.400 მან. ზარალი.

შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ ვერ შესძლო ხანძრის გაჩენის მიზეზების გამორკვევა სისწორით, მაგრამ აღნიშნა, რომ ხანძრის დროს ადგილი ჰქონდა უწესრიგობას, ბრანდმეისტერი მურიდინი შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით გამოცხადდა.

ამის გამო მურიდინს და სეროპიანს (მეხანძრეებს) გამოეცხადათ საყვედური.

კომისიამ საჭიროდ სცნო მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება მეხანძრეთა შორის შრომის დისციპლინის ასაწევად.

მადლობის გამოცხადება

ა. წ. 2 იანვარს ჭიათურის ხაზზე ადგილი ჰქონდა მეწყერს.

გზის დარაჯებმა — ამხ. ხვედელიძემ და ტყემალაძემ თავის დროზე შეამჩნიეს მეწყერი და მიიღეს სასწრაფო ზომები მოსალოდნელ უბედურ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

საქმისადმი ასეთი ფხიზელი მოპყრობისათვის ორთავე დარაჯს გამოეცხადათ მადლობა.

სასილეები

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ გადასწყვიტა ზოგიერთ ორთქლმავალზე მოაწყოს ახალი, გერმანული ტიპის სასილეები.

გამოკვლევა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ წინადადება მისცა „შმო"-ს ბიუროს ჩაატაროს ერთ-ერთ ტეხნიკურ განყოფილების ყველა ნაწილების გამოკვლევა.

რონოდების გადაბმელთა გამოცდა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს სამი ძლიერი დაზგა, რონოდების გადაბმელთა გამოსაცდელად. დაზგების შეძენისათვის საჭირო თანხები გამოთხოვილია გზათამიმოსვლის კომისარიატიდან.

გრიპი ევროპაში

ერთა ლიგასთან არსებულ გრიპთან მებრძოლი საერთაშორისო კომიტეტი სისტემატიურად უგზავნის ყველა სახელმწიფოებს ცნობებს გრიპის ეპიდემიის გავრცელებისა და მასთან ბრძოლის შედეგების შესახებ.

ერთა ლიგის ცნობებით, უკანასკნელ ხანებში გრიპი მოედო მთელ რიგ ქვეყნებს. ეპიდემია ვრცელდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ასე მაგალითად გრიპი მოედო ბულგარეთს, დანიას, ლიტვას და ნაწილობრივ რუმინეთს. ეპიდემიამ თავი იჩინა აგრეთვე ჰოლანდიაში. დასავლეთ ქვეყნებში ეპიდემიის კლების ტენდენცია აქვს. ამერიკაში გრიპი ჯერ-ჯერობით არაა. ამის გამო ამერიკის მთავრობამ ყველა თავის ნავთსადგურებში მოაწყო გრძელვადიანი კარანტინები, სადაც ყოველი ჩამოსულის გავლა სავალდებულოა. ყველაზე უფრო მძიმე ფორმებში ეპიდემია მძვინვარებს ჰუნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და იაპონიაში. იაპონიის მარტო 9 ქალაქში ერთი კვირისგანმავლობაში გრიპმა იმსხვერპლა 102 კაცი. საფრანგეთში, ესპანეთში, ბელგიაში და გერმანიაში ეპიდემია ერთ დონეზეა. ინგლისში ეპიდემია მძვინვარებს განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სადაც ავადმყოფობა იძლევა ბავშვებისა და მოხუცების სიკვდილიანობის დიდ პროცენტს.

სასამართლო

სახსპირტის თანამშრომელთა პროცესი

მესამე დღე

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ტერ-ავაკოვის დაკითხვა.

ბრალდებულმა წამოყენებულ ბრალდებების შესახებ სასამართლოს მისცა ვრცელი ახსნა-განმარტება.

ტერ-ავაკოვის ინიციატივით გაიხსნა სპირტის საბაზისო საწყობები ლენინაკანში და სოხუმში. დაწესებულებას მიაყენა 2.000 მანეთის ზარალი. ამ გარემოებას ბრალდებული ხსნის მით, რომ საწყობების გახსნის შემდეგ მოიმატა აქციზმა.

ბრალდებული აღნიშნავს, რომ დუხის და ოდეკალონის დამამზადებელი ლაბორატორია თბილისში მან გახსნა ცენტრალურ სამმართველოს მოთხოვნით. გარდა ამისა, თუ ლაბორატორიამ ზარალი მიიღო აიხსნება მით, რომ მას არ მისცეს საშუალება წარმოების გაფართოებისა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ბრალდებული უარყოფს კერძო კაპიტალისათვის ხელის შეწყობას და ამბობს, რომ საქონელს იგი ყიდდა კოოპერატიულ ორგანიზაციებზე.

ბრალდებულის სიტყვით, მისი ინიციატივით სახსპირტის სამმართველომ მიიღო 61.000 მანეთის მოგება.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოპარულნი

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: გურიელიძის და ბუგლურის მონაწილეობით გაირჩა ვლადიმერ დულუზოვის და კონსტანტინე პროხოროვის საქმე.

დულუზოვს და პროხოროვს ბრალდებოდათ „ზაკსელმაშ"-იდან 1.347 მანეთის სასოფლო სამეურნეო იარაღების მოპარვა.

სასამართლომ დულუზოვს და პროხოროვს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა თითოეულს.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ალექსანდრე მინასიევს ხულიგნობისათვის მიუსაჯა 6 თვით [illegible] დაპატიმრება.

ავიაქიმში

საავიაციო და სამოტორო კურსები

ავიაქიმის თბილისის საბჭოს საავიაციო და სამოტორო კურსები იხსნება 15 თებერვალს.

პრაქტიკული მეცადინეობა იწარმოებს ცენტრალურ მუშათა კლუბში, ხოლო თეორიული—წითელ არმიის და ფლოტის სახლში.

მეცადინეობა იწარმოებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით—საღამოს 5 ნახ. - დან —8 საათამდე.

ამხ. ეგიკოვის მოხსენება

სამშაბათს, 15 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე წითელ არმიის და ფლოტის სახლში (რუსთაველის პროსპ. № 10) ამხ. ეგიკოვი გააკეთებს მოხსენებას,— ავიაქიმის საკავშირო ყრილობის და თავდაცვის საზოგადოების პლენუმის შედეგების შესახებ.

შესვლა სპეციალური ბილეთებით.

ბიბლიოგრაფია

სიმონ ხუნდაძე—„ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკური იდეალები მე-19 საუკუნე-ში"—სახელგამი. გვ. 124. ფასი 80 კაპ.

საქართველოში ჯერ არავის უცდია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გამოკვლევა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სხვადასხვა ისტორიულ შრომებში, მონოგრაფიებში თუ ლიტერატურულ ეტიუდებში გაბნეულ ნაწყვეტებს, რომელთა უმეტესობა შეიძლება გამოდგეს, როგორც ნაწილობრივი ნედლი მასალა.

საზოგადოებრივი აზროვნება განსაზღვრულ სოციალური წყობის დამახასიათებელია. ამიტომ ის არ შეიძლება განყენებულათ, საზოგადოებრივი ვითარების სხვა ფაქტორებისაგან მოწყვეტილათ შევისწავლოთ, პირიქით, მისი შესწავლა მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს მთელ საზოგადოებრივ აგებულებას და სოციალური ცხოვრების მამოძრავებელ ძალების მთლიან ანალიზიდან უნდა გამომდინარეობდეს.

საზოგადოებრივი აზროვნება — იგივე საზოგადოებრივი ცხოვრებაა ანუ როგორც პლეხანოვი ლაპარაკობდა „საზოგადოებრივი აზრის განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებით განისაზღვრება". ამიტომ საზოგადოებრივი აზროვნების ობიექტიური კვლევა ის არის, რომელიც კვლევის გამოსავალ წერტილად სოციალურ ეკონომიკას ემყარება, ვინც იდეოლოგიის კვლევის დროს შეიგნებს მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობას „ნივთთა მსვლელობისა" ერთის მხრივ და „იდეათა მსვლელობას" შორის მეორეს მხრივ (პლეხანოვი); ერთი სიტყვით, ვინც საზოგადოებრივ შეგნებას საზოგადოებრივ ყოფით ახსნის, რაიც საზოგადოებრივი აზრის მატერიალისტური, მარქსისტული გაგებაა.

ამხ. ხუნდაძე ცდილობს თავისი წვლილის შეტანას ამ სფეროში, სცადა რა ჩვენი ქვეყნის ყველაზე საინტერესო და შინაარსიან პერიოდის, მე-19 საუკუნის ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალების კონსპექტიური დალაგება.

ამხ. ხუნდაძის ნაშრომი წარმოადგენს კრებულს, რომელიც ორი ნაწილისაგან შესდგება: 1 ქართული ინტელიგენციის სოციალ - პოლიტიკური იდეალები მე-19 საუკუნეში და 2 ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები. წერილების უმრავლესობა ავტორს წინასწარ ჰქონდა გამოქვეყნებული გაზ. „კომუნისტში", რაიც წიგნს აუცილებლად უკარგავს განსაზღვრულ ინტერესს მკითხველ საზოგადოებაში. ამხ. ხუნდაძე დასაწყისში განიხილავს იმ ფაქტორებს, რომელთაც იქონიეს გავლენა ქართველი ინტელიგენციის სოციალ - პოლიტიკურ აზროვნების შემუშავებაზე. ამასთან დაკავშირებით ამხ. ხუნდაძე განიხილავს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას რუსეთის შემოსვლისას (როდესაც საქართველო დანაწილებული იყო სამეფოებად და სამთავროებათ) და მის ეკონომიკას, რომელიც მე-18 საუკუნის დასასრულს ნატურალურ სამეურნეო სტრუქტურაზე იყო აგებული.

ამის შემდეგ ავტორი იხილავს ძლიერ კონსპექტიურად რუსეთის სავაჭრო კაპიტალის შემოჭრას, რაიც ავტორის თქმით ვორონცოვის მმართველობის პერიოდში განმტკიცდა. სხვა სოციალურ ფენებიდან ავტორი განსაკუთრებით ინტელიგენციაზე ჩერდება. ჯერ განიხილავს თავად - აზნაურულ ინტელიგენციას და მის იდეოლოგიას, შემდეგ ქართული ლიბერალიზმის წარმოშობას, ნაროდნიკობას ჩვენში და მარქსისტული მიმდინარეობის ჩასახვას.

წიგნის მეორე ნაწილი მიძღვნილია ქართული მენშევიზმის სოციალური საფუძვლების გამორკვევისადმი და იმის გადმოსაცემათ, თუ როგორ დამარცხდა ორგანიზაციულად ქართული მენშევიზმი, როგორ გაკოტრდა იდეოლოგიურად და როგორ აივსო მისი სამოღვაწეო პროგრამა კონტრ - რევოლიუციონური შინაარსით.

ამხ. ხუნდაძე ჩვენის ფიქრით საკითხს სწორად მიუდგა, მაგრამ იმის გამო, რომ მასალა კონსპექტიურად დაალაგა, მრავალი საინტერესო საკითხი გაკვრით მოიხსენია. კონსპექტიური შრომა ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე არაა სასურველი, რადგან მკითხველი საბოლოოთ ვერც ერთ ფაქტს ვერ ეცნობა სრულად, რაიც მასში ბუნებრივ უკმაყოფილებას იწვევს. გაურკვეველია მაინც, თუ რისთვის უწოდებს ავტორი თავის შრომას „პროფილებს" და არა პორტრეტებს, ან რამდენად შეძლო ავტორს მიზნის მიღწევა, თუ ის ქართველი ინტელიგენციის ფიზიონომიას „პროფილებში" გააშუქებდა, რადგან მაშინ მკითხველს არ აქვს საშუალება იქონიოს გარკვეული, დასრულებული შეხედულება ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის წარსულზე თუნდა კონსპექტიურად. კონსპექტიური შრომა არ უარყოფს არავითარ შემთხვევაში მოვლენის სრულად, ყოველმხრივ გაშუქებას, მაგრამ ეს გაშუქება შესაძლებელია იყოს არა ვრცელი, არამედ მოკლე, მთავარ შტრიხებში მოცემული. ავტორი აუცილებლად მარქსისტული მეთოდით სარგებლობს, მაგრამ ძლიერ მკრთალად იყენებს საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზს საზოგადოებრივი აზრის გამოსარკვევად. მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა არ გვაძლევს ამის ვრცლად დასაბუთების საშუალებას.

ნაციონალური მომენტი, რომელსაც მეტად დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ავტორი, იყო ერთ-ერთი და არა ერთად-ერთი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ინტელიგენციისთვისაც. ის ფაქტი, რომ 19 საუკ. მეორე მეოთ-დან ინტელიგენციამ რუსეთის ტახტს ერთგულება გამოუცხადა, ჩინებსა და ორდენებში გაჰყიდა თავისი ნაციონალური კრედო, იმას გვეუბნება, რომ კლასიურმა პრინციპმა გაიმარჯვა ნაციონალურზე, საქართველოს გაბატონებულმა წოდებამ გამონახა საერთო ენა რუსეთის გაბატონებულ კლასებთან. ამით ეკონომიური ინტერესი ნაციონალურზე მაღლა დააყენა და ამიტომ არაა ჩვენის ფიქრით სწორი ავტორის შეხედულება, რომელიც ლაპარაკობს, რომ „ინტელიგენცია გაორდა თავის პატრიოტულ გრძნობაში"-ო.

ავტორი ნაჩქარევად აღიარებს აღმოსავლეთის კულტურასთან ჩვენი ქვეყნის საბოლოო დაცილებას, როდესაც ლაპარაკობს, რომ „მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ერმა თითქოს ერთი ხელის გასმით გადარაზა აღმოსავლეთის შემოსასვლელი კარები და თავისი გზა ევროპიულ კულტურის მიმდინარეობისაკენ მიმართა". ჩვენის ფიქრით. აღმოსავლეთის კარები არ გადარაზულა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, აღმოსავლური კულტურის გავლენა კერძოთ ქართულ ლიტერატურაზე კიდევ დიდხანს გრძელდებოდა (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი). ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში აგრეთვე, რომ ვითომდა ილია ჭავჭავაძე „ბოლომდე დარჩა **ნახევრად პროგრესისტი, ნახევრად ლიბერალი, ნახევრად კონსერვატორი**". (გვ. 54 — ხაზი ჩვენია—დ. გ.). ილია ჭავჭავაძე მარქსისტულ ლიტერატურაში დახასიათებულია, როგორც კონსერვატორი და რეაქციონური პოლიტიკური მოღვაწე, მიუხედავათ მისი ხანმოკლე „ლიბერალური გატაცებისა". ავტორი თითქოს ეწინააღმდეგება თავის თავს, როდესაც ბოლოს მაინც ლაპარაკობს ხაზგასმით, რომ „ილიამ სავსებით შეითვისა თავადაზნაურულ რეაქციონურ ინტელიგენციის პოლიტიკური კრედო". (გვ. 55).

წიგნის ერთ-ერთ ნაკლათ ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ავტორი თავისი შრომის გასწვრივ არ იხილავს ინტელიგენციის როლს ზოგადათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მის ადგილს სოციალურ კლასთა შორის, არაა ამიტომ გარკვეული, თუ რისთვის ბადებს საზოგადოებრივი ცხოვრება რამოდენიმე შეუთანხმებელ იდეოლოგიურ მიმართულებას და სხვ.

ავტორი ძლიერ მოკლეთ ჩერდება ნაროდნიკობაზე და მარქსისტულ მიმდინარეობის წარმოშობაზე ჩვენში. ქართული მენშევიზმის სოციალური ბუნება წიგნის ყველაზე საყურადღებო და დამუშავებული ნაწილია. ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პროგრამის კრიტიკა ავტორის მიერ, შეიძლება ითქვას საუკეთესოთაა შესრულებული. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი უმთავრესად ლიტერატურას ეყრდნობა, რაიც გავრცელებული შეხედულებით არაა დამაკმაყოფილებელი, რადგან მარტო ლიტერატურა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოგვადგება მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების და კერძოთ საზოგადოებრივი აზროვნების ანალიზისთვის.

დ. გ—ვა.

ვ. კანდელაკი. სასოფ.-სამეურნეო ეკონომია. (ავტორის მიერ კოოპერატიულ კურსებზე წაკითხულ ლექციათა კრებული) სახელგამი 1926 წ. ფ. 90 კაპ.

ამხ. კანდელაკის წიგნი მეორე ორიგინალური ცდაა ჩვენში სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის ძირითადი პრინციპების სისტემატიური დალაგებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი წარმოადგენს ლექციათა კრებულს, მას მაინც არ ეკარგება მნიშვნელობა საკითხით დაინტერესებულ წრეებისთვის.

საქართველოს სასოფლო მეურნეობა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტის ძირითად საქმიანობას შეადგენს, საჭიროებს სერიოზულ შესწავლას. ავტორიც ამ აზრით უდგება თავის საგანს. სასოფლო მეურნეობის ძირითადი საკითხების თეორეტიულად გარკვევასთან ერთად, იგი მიმოიხილავს ჩვენი სასოფლო მეურნეობის მონაცემებს და აქედან გამოყავს პრაქტიკული დასკვნები.

სასოფლო მეურნეობის იმ მთავარ საკითხზე, თუ რომელი სახის მეურნეობას ექნება წარმატება საქართველოში, ავტორი იძლევა ისეთ პასუხს, რომელიც ჩვენს სასოფლო მეურნეობას ახალ პერსპექტივებს უსახავს:

„პურისა და სიმინდის კულტურას საქართველოში მხოლოდ სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს. ბაზრის ზეგავლენით ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად ისეთ პურეულით მდიდარი რაიონების მეზობლად, როგორიცაა ყუბანის ოლქი და მთელი ჩრდილო-კავკასია, ჩვენი სოფლის მეურნეობამ ძვირფას მცენარეთა — თუთუნის, ჩაის, ბამბის, ვენახის, ბაღ-ბოსტანის (როგორც ბაზრის საქონლის) საწარმოო რაიონის ხასიათი უნდა მიიღოს". დღესაც, ჩვენი გლეხის ბიუჯეტში, მიუხედავათ იმისა, რომ იგი გაცილებით მეტ ენერგიას და დროს ანდომებს ამ პურეულ კულტურას, მას მაინც არ უჭირავს უმთავრესი ადგილი, სოფლის მეურნის სხვა სახეების წვრილმანი შემოსავალი სჭარბობს პურეული კულტურის შემოსავალს. მარტო ორი კოლოფი აბრეშუმის თესლის გაცხოველება ერთი თვის მსუბუქი შრომით, იძლევა იმდენს, რამდენსაც დაახლოებით ორი დღიუტინა სიმინდით დათესილი ყანა, რომელიც საჭიროებს ექვსი თვის მძიმე შრომას.

თეორეტიულ ნაწილში ავტორი დაწვრილებით არკვევს სასოფლო მეურნეობის არსებით დამახასიათებელ ნიშნებს, მრეწველობასთან განსხვავებით, მის ძირითად ფაქტორებს: ბუნებას, ჰავას, ნიადაგს და მიწას, როგორც ეკონომიურ ფაქტორს. საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი სახის მეურნეობაა უფრო მიზანშეწონილი სოფლის მეურნეობაში—მსხვილი თუ წვრილი, ავტორის აზრით „რაციონალურ წარმოებას უთუოდ სჭირია დიდი ფართი მიწისა", რათა გამოყენებულ იქნეს ტეხნ. უკანასკნელი მიღწევები ტრაქტორების, მძიმე გუთნების და სხვა გაუმჯობესებული მანქანების სახით, მაგრამ ამისთვის საჭირო იქნება წვრილი მესაკუთრის ღობეს გადალახვა და მიწების უფრო ფართოთ დამუშავება, რაც ჩვენს პირობებში შეიძლება მხოლოდ გლეხობის კოლექტიურად გაერთიანებით.

მიწის ეკონომიური როლის გარკვევის დროს ავტორი იხსენებს ეკონომისტების შეხედულებებს მიწის რენტის სხვადასხვა სახეებზე, და რომ ჩვენში მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ ისპობა საკითხი მიწის აბსოლიუტური რენტის შესახებ, რომელიც მიწის კერძო საკუთრებითაა გამოწვეული, მიწის, როგორც თავისებური ეკონომიური ფაქტორის გამო.

დასასრულ, ავტორი დაწვრილებით ჩერდება იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ეძლევა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს ასეთ ამხანაგობებს შეუძლია სანერგეების გაშენება, სამაგალითო ადგილების ორგანიზაცია, აგრონომიულ ცოდნის გავრცელება და მრავალი სხვა, რომელიც უეჭველი საწინდარი იქნება ჩვენი სოფლის მეურნეობის აყვავების. ამავე მიზნებს ისახავს სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა.

ამ საკითხის გადასაჭრელათ ავტორს მოყავს ა.-კ. მიწათმოქმედების კომისარიატის მუშაკთა ყრილობის დადგენილება (1924 წელი), რომელშიაც პრაქტიკულადაა ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა იყოს, ერთის მხრივ, კოოპერატიული აპარატი, აგრონომიული ძალების დასახმარებლად და აგრონომიულ ცოდნის გასავრცელებლად გამოყენებული და, მეორე მხრივ, აგრონომიული ძალების საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს კოოპერაციის მშენებლობისთვის ხელისშეწყობა.

საერთოდ წიგნში მრავალი საგულისხმო ცნობებია.

იგი ბევრს ახალს მისცემს სასოფლო მეურნეობით დაინტერესებულ მკითხველს. წიგნს ახლავს ზოგიერთი ნაკლი: სუსტია ენა, კორექტურა. არის ზოგი ბუნდოვანი ადგილი (გვ. 80), სადაც ბუნდოვანი მათემატიკური ფორმულა ციტატაა მოყვანილი.

წიგნი ლამაზათაა გამოცემული და ფასიც იაფია.

ვ. ე—ა.

მოსკოვის თეატრებში

მოსკოვიდან ეხლა დაბრუნებულმა სახალხო განათლების კომის. ხელოვნების განყოფილების გამგემ ამხ. შ. დუდუჩავამ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს მოსკოვის თეატრების მდგომარეობის შესახებ განაცხადა:

პირველი და უმთავრესი, რაც მოსკოვის თეატრებში თვალში გვხდებათ, — ეს არის ახალი მაყურებელი, ახალი აუდიტორია. მოსკოვის თეატრების მთავარ კონტიგენტს შეადგენს მუშა ახალგაზრდობა და ის ინტელიგენცია, რომელიც პროლეტარულ იდეოლოგიაზე იზრდება.

ახალი მაყურებლების, ახალი მოთხოვნილებების წარმოშობამ, როგორც სჩანს, ფართო სამუშაო ასპარეზი გადაუშალა წინ ამჟამად მოსკოვში არსებულ ყველა თეატრებს, რომელნიც ეძებენ გზებსა და საშუალებებს ახალი მაყურებლების ესთეტიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამ ნიადაგზე სხვადასხვა თეატრალურ მიმდინარეობათა შორის გაჩაღებულია ბრძოლა, რომელიც მიმდინარე სეზონში მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს. ამ ბრძოლის სიმწვავე განსაკუთრებით გამომჟღავნდა მას შემდეგ, როცა მეიერხოლდმა თავის თეატრში დადგა გოგოლის „რევიზორი". მეიერხოლდის შესახებ თეატრალურ და ლიტერატურულ წრეებში განმტკიცებულია ის აზრი, რომ მეიერხოლდმა ყველაზე უკეთ, ყველაზე უფრო სწორად გაიგო ხლესტაკოვის ტიპი, და ახალგაზრდა მსახიობ გარინის მიერ ხლესტაკოვის განსახიერება წარმოადგენს უტყუარ მხატვრულ შესრულებას. ამ დადგმამ გამოიწვია საზოგადოებრივ მხატვრული აზრის არაჩვეულებრივი გაცხოველება. გაჩაღდა ერთგვარი დუელი მცირე თეატრისა და მისი მომხრეების ერთის მხრით და მეიერხოლდის თეატრისა და თვითმომხრეებს შორის მეორეს მხრით. მეიერხოლდის საპასუხოდ მცირე თეატრმა ჩეხოვის (ხლესტაკოვი) და კუზნეცოვის (ვოროდნიჩი) მონაწილეობით დადგა „რევიზორი", რომელიც, როგორც ერთხმად აღნიშნავდა მოსკოვის პრესა, მიუხედავათ ამ მსახიობთა უნაკლო თამაშისა, ვერ გადაურჩა დამარცხებას. ამ მარცხის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მსახიობები არ სტოვებენ თამაშის ძველ მეთოდებს და ხლესტაკოვის ტიპის წინანდებურ ტრადიციულ გაგებას.

მეორე გარემოება, რომელიც იზიდავს მოსკოვში ახლად ჩასულის ყურადღებას, არის—დრამატურგიის განახლება. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მოსკოვის თეატრების მიერ უკვე გადალახულია დრამატურგიის კრიზისის პერიოდი. განსაცვიფრებელი ის არის, რომ ყველაზე უფრო ახალი, -- რევოლიუციონური რეპერტუარი შეიტანა მცირე თეატრს, რომელიც მიმდინარე სეზონში სისტემატიურად სდგამს შემდეგ ახალ პიესებს: „საქე მარცხნით", „ლიუბოვ იაროვაია", „ზაგმუკ" და სხვა.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ახალ დადგმებს შორის აღსანიშნავია „ტურბინის დღეები", რომელიც იდეოლოგიურად სრულიად გაუმართლებელ ნაწარმოებს წარმოადგენს, მაგრამ მეტად მხატვრულად სრულდება. რაც შეეხება კამერულ თეატრს, იგი ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ ყველაზე დიდ მუშაობას აწარმოებს აქტიორის მასალას დასამუშავებლად. ამჟამად ეს თეატრი წარმოადგენს მხოლოდ სანახაობას, იმდენად, რამდენადაც თეატრი აქტიორის შემოქმედებას აშკარავებს მოძრაობისა და რიტმის საშუალებით. ამ პრინციპის მიხედვით არის მოწყობილი თეატრის სცენაც. კამერულ თეატრის დადგმებს შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს პიესა „დღე და ღამე". რომელიც მოკლებულია ყოველგვარ იდეურ [illegible], აქტიორის მასალის დამუშავების მხრივ წარმოადგენს ერთ [illegible] მიღწევას. თუ კამერული თეატრი მხოლოდ ამ მიღწევებით დაკმაყოფილდა, იგი დარჩება როგორც სანახაობა, ხოლო როგორც თეატრი — მოკვდება.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ დადგმულ პიესას „ტურბინის დღეებს", ყველა თეატრებს ეტყობათ ოქტომბრის რევოლიუციით გამოწვეული სოციალური და კულტურული გარდატეხა და ამ გარდატეხის ღრმა განცდა.

ძველ კლასიკურ დრამატიულ ნაწარმოებს გასავალი აღარ აქვს. ამას ამტკიცებს ტრაგედია „ორესტეას" დამარცხება მეორე სამხატვრო თეატრში და „ჰამლეტის" მოხსნა რეპერტუარიდან. წარსული წლების დადგმებს შორის, ხალხი ისევ ხალისით ესწრება „პრინცესა ტურანდოტს" და „ვირინეას".

საოპერო დარგში აღსანიშნავია ლოსკის მიერ დიდ საოპერო თეატრში დადგმული „ბორის გოდუნოვი".

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ თეატრალურ მიმართულებათა სხვადასხვაობისა, ყველგან შესამჩნევია აქტიორის დიდი კულტურა. აქ არ არის რეჟისორის მიერ აქტიორის ნიჭის დაჩრდილვა. აქტიორის პირადი შემოქმედება ამა თუ იმ როლის გადმოცემაში მთავარ ღირსს წარმოადგენს.

რ. დ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ბორის გოდუნოვი“

პუშკინის გარდაცვალებიდან 90 წლის შესრულების აღსანიშნავად დადგმულ იქნა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“, იმ დროს, როცა ოპერის მთავარ პარტიებს ასრულებდნენ კარგი ვოკალური ძალები, მასიური სცენები (პროლოგი, ბორისის მეფედ კურთხევა და პოლონელთა დღესასწაული) მეტად მკრთალი იყო. რეჟისორმა გურესმა მაინც შესძლო ერთგვარი სიცხოველე მიეცა ფინალურ სცენისთვის (ბორისის სიკვდილი), გამოიყვანა რა სცენაზე მომაკვდავ მეფის ცოლი და ოჯახის წევრები.

მთავარ პარტიას (ბორის გოდუნოვი) ასრულებდა შარაშიძე და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს ვოკალურათ და სცენიურათაც მეტად ძნელი პარტია ერთ-ერთ საუკეთესო პარტიათ შეიძლება ჩაითვალოს მსახიობის რეპერტუარში. პარტია დეტალურათ და დაკვირვებით არის დამუშავებული. მსახიობი სავსებით სწორეთ ასრულებს პირველ სცენას, მღერის რა ნახევარ ხმით მონოლოგს „скорбит душа моя“, ხოლო ხმას აძლიერებს შემდეგ, როცა მიმართავს ხალხს. მშვენივრად ჩაატარა მსახიობმა მეორე მოქმედების დიდი სცენა, სადაც ის თან და თან ანვითარებს ტემპერამენტს. მონოლოგი «Достиг я высшей власти“ შესრულებულ იქნა კარგათ, ცვალებადი დინამიკით ბგერაში და განწყობილებით. გალიუცინაციის სცენაში მსახიობი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. მშვენიერია ფინალური სცენაც (სიკვდილი), ხოლო ვოკალურათ ის შეიძლება საუკეთესოდ ჩაითვალოს. ძლიერ კარგია გრიმი. მსახიობს მშვენივრათ უჭირავს თავი სცენაზე.

ცრუ-დიმიტრის პარტიას ასრულებდა ვიატინგი. შესრულება დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. პირველი აქტის სცენაში (მონასტერში) სასურველია მეტი ნიუანსები სიმღერაში კარგია სცენა ლიტვის საზღვარზე. სცენიურ გადმოცემაში საჭიროა ნაკლები პოზები (სცენა შადრევანთან).

სკიბიცკაია კარგათ ასრულებს მარინას პარტიის ვოკალურ მხარეს, მაგრამ მსახიობის გარეგნობა მაინც და მაინც არაფრით გვაგონებს ლამაზ და თავქარიან ავანტიურისტ ქალს. მაწანწალა ვარლამის მხატვრულ სახეს იძლევა დემიანენკო. მიხეილის როლში აშარებს ფალტოვსკი, ვოლჩანეცკაია, გაბაშიძე და დობრჟანსკაია ფეოდორის, ქსენიას და ძიძის ეპიზოდიურ პარტიებში მხატვრულ სახეებს ქმნიან. მაყაშვილი „შინკარკას“ პარტიაში არ არის საკმაოდ დამახასიათებელი—მსახიობს მეტად თავ დაჭერილ ტონებში მიჰყავს პარტია. ხმა კარგათ ისმის. იეზუიტ რანგონის პარტიაში პირველათ გამოდის ახალგაზრდა მომღერალი პრივალოვი. მას ლამაზი ლირიული ბარიტონი აქვს. სცენიურათ პრივალოვი ვერ იძლევა იეზუიტის სახეს, ვინაიდან უკანასკნელი მარინაზე გავლენას ახდენს არა მუქარით, არამედ გიპნოზით მოქმედებს მის რელიგიოზურ ექსტაზზე. სოკოვნინმა (პიმენი) და იგონინმა (თავადი ვასილი შუისკი) ვერ შექმნეს სტილიური სახე.

კარგად უძღვება ორკესტრს სტოლერმანი, მაგრამ ზარების ხმა სცენაზე და ორკესტრში შეთანხმებული უნდა იქნეს რიტმიულათ.

ვ. ხ.

„დეგაევის გამცემლობა“ დრ. 4 მოქ. შჩვარნიკის

რეჟისორი ხანდამიროვი

(ივანოვის [illegible])

დეგაევის გამომცემლობაში არაფერია ახალი პრობლემის დასმის ან გადაწყვეტის თვალსაზრისით, პირიქით ტიპის არა ბუნებრივი მოხაზვა და განვითარება—პირველათ თითქოს, სხვა მოქმედ პირთა გადმოცემით, მსხვილი კალიბრის, მტკიცე მებრძოლი ხალხოსანი, შემდეგ კი რაღაც ტრიუკული ტრანსფორმაცია—ჟანდარმთა პოლკოვნიკის სუდეიკინის ჯადოქრული კვერთხის ქვეშ, ერთის დამუქრებით და თავის ქარაფშუტა ცოლის გავლენით ჰქრება მისი რევოლიუციონური პათოსი და ჩვენს წინ რაღაც მჭერად ქცეული, სულით ავადმყოფია, უნებო, უღონო, თავის ცოლისა და სუდეიკინის ფეხქვეშ მტოფხავი. მის ტიპში, ხასიათში—თვით დრამის ჩანასკვში არაფერია საინტერესო და დამახასიათებელი. ხალხოსნები—ტერორისტები ლოპატინი, სტაროდევსკი, კონაშევიჩი უფრო ტრაღიკული, განყენებული მოარული ცნებებია რევოლიუციონური სიმტკიცის და გმირობის და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანები. შემდეგ [illegible]უგბარია, თუ [illegible]ად სჭირდება ტერორისტებს, რომ ვამცემელ დეგაევს მოაკვლევინონ ჟანდარმი სუდეიკინი და შემდეგ თითონვე ტყვიებით დაუხეთქონ თავი. ამით დეგაევი მაინც ვერ გამოდის ჩიხიდან.

დადგმის გარეგნულ მხარეში არაფერია საინტერესო. მხოლოდ შესრულებაა არაჩვეულებრივ დასრულებული, მხატვრული, ტიპები ყოველ წვრილმანში დამუშავებული გმირებიდგან დაწყებული, ვიდრე უბრალო პოლიციელამდის. ლიუბოში (სუდეიკინი) თითქოს თავის სტიქიაში გრძნობს თავს. ის ქმნის დასრულებულ სახეს ვირტუოზ-ჟანდარმის. მს. ხანდამიროვი პიესის სულისკვეთებასთან შეთანხმებით იძლევა პათოლოგიურ ტიპს მხდალ-რევოლიუციონერის. კარგია ფონ პლევე (ბორინი). დამახასიათებელია დეგაევის ცოლი (მურატოვა) და აქსიუტინი (გორსკი) კარგია ტერორისტებიც.

შ.

გამოფენა პუშკინზე განათლების მუშაკთა სახლში

გუშინ, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა ლიტერატურის გამოფენა ა. ს. პუშკინის, მოღვაწეობის და შემოქმედების შესახებ. გამოფენაზე წარმოდგენილია 300-მდე სხვადასხვა ხასიათის წიგნები, როგორც პუშკინის მხატვრული შემოქმედების და კრიტიკის, ისე პირადი ცხოვრების შესახებ.

წარმოდგენილი ლიტერატურა დაყოფილია შემდეგ ნაწილებათ: „პუშკინის თხზულებანი“, კრიტიკა პუშკინის ნაწარმოებთა შესახებ, პუშკინი კავკასიაში, პუშკინი საქართველოში, პუშკინი და ჟანდარმერია და სხ.

გამოფენა მოაწყო სახელმწიფო სახალხო ბიბლიოთეკამ; გამოფენა დაიხურება 14 თებერვალს.

მწერალთა კავშირში

◆ **მოძრავი ბიბლიოთეკა.** მწერალთა კავშირის საბჭომ გადასწყვიტა კავშირთან დაარსოს მოძრავი ბიბლიოთეკა.

◆ **მოხსენებები.** მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა ხელოვნების სასახლეში გამართოს სისტემატიურად მოხსენებების კითხვა. პირველ მოხსენებას 16 თებერვალს წაიკითხავს **პ. ინგოროყვა,** შემდეგ მოხსენებას წაიკითხავს **პავლე იაშვილი** თემაზე: „ახალი თემები“.

◆ **ქართველი მწერლები სომხეთში.** კავშირმა გადასწყვიტა მოაწყოს მწერალთა ექსკურსია ერევანში.

◆ **მწერლები ქალაქის საბჭოში.** მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა მოიწვიოს მწერალთა კრება ქალაქის საბჭოში დელეგატების ასარჩევად.

ხელოვნების ქრონიკა

„თანამედროვე თეატრი„

ორშაბათს, 14 თებერვალს, რუსთაველის თეატრის დარბაზში ხელოვნების განყოფილება იწვევს თეატრალურ ხელოვნების მოღვაწეთა და ხელმძღვანელთა თათბირს.

თათბირზე მოხსენებით—„თანამედროვე თეატრი“ გამოვა ამხ. **შ. დუდუჩავა.**

მოხსენების შემდეგ კამათი.

დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე. თათბირზე შესვლა განსაკუთრებულ ბილეთებით, რომელიც გაიცემა ხელოვნების განყოფილების მიერ.

◆ **„ბელა“.** ორშაბათიდან კინო „აპოლოს“, „არფასტოსა“, „სოლეისა“ და დარბაზში“ დაიწყება ახალი სურათის „ბელას“ ჩვენება.

◆ **თეატრი ბავშვებისათვის.** თბ. ალმასკომის განათლების განყოფილებამ მსახიობ ელო ანდრონიკაშვილს მიანდო საბავშვო წარმოდგენების მოწყობა.

◆ **„ჩვენი პუშკინი“.** დღეს განათლების მუშაკთა სახლში დილის 11 საათზე მიხ. დანილოვი გააკეთებს მოხსენებას: „ჩვენი პუშკინი“ ამავე სახლში მოწყობილია პუშკინის ლიტერატურის გამოფენა.

◆ **„ამერიკელი ძია“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია“.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „სამსონი და დალილა“.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „აღთქმულ ქვეყანაში“.

◆ **„მეფე ლირი“.** ქართული აკადემიური დრამა დასადგმელათ ამზადებს „მეფე ლირს“. დადგმა ალ. ახმეტელის, ლირის როლს შეასრულებს ა. ხორავა.

◆ **ახალი თეატრი.** თბილისის ალმასკომმა ვადასწყვიტა ნაძალადევში აგოს მუშათა ახალი თეატრი, რომელიც დაახლოებით დაიტევს 1000 კაცს.

◆ **კონცერტი.** 13 თებერ. კონსერვატორიაში გაიმართება ახალგაზრდა მომღერალის მიტო მჭედლიძის კონცერტი ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ზოიას ბინა“

◆ **„სტენკა რაზინ“.** რედაქციამ მიიღო კონსტ. ლორთქიფანიძის პოემა „სტენკა რაზინ“. გამოიცემა ჟურნალ „გრდემლი“-ს.

◆ **დისპუტი ქართულ მხატვრობაზე.** ხვალ, თებერვლის 14-ს, ხელოვნების სასახლეში სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტკავშირის მთავარ კომიტეტის საჯარო სხდომაზე **ვ. კოტეტიშვილი** წაიკითხავს სადისპუტო მოხსენებას: „ქართველ მხატვრების მიმდინარე გამოფენა“. დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: **შ. დუდუჩავა, ლ. გუდიაშვილი, ბ. გორდეზიანი, ტიციან ტაბიძე, ლ. ესაკია, მოსე თოიძე.** დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

◆ **ორშაბათს,** 14 თებერვალს, სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მოწაფეთა მესამე ღია საღამო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **„საბჭოთა ხელოვნების“** მორიგი ნომერი (მე-5), რომელიც უნდა გამოსულიყო 13 თებერვალს, ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო 20 თებერვალს გამოვა ორმაგი ნომერის (5—6) სახით.

უცხოეთი

◆ **გ. ბრანდესს—85 წელი შეუსრულდა.** გამოჩენილ მწერალსა და კრიტიკოსს გეორგ ბრანდესს 85 წლისთავი შეუსრულდა დაბადებიდან. დაბადების დღე განსაკუთრებული ზეიმით არ აღუნიშნავთ, რადგან მწერალი მძიმეთ ავათ არის. ექიმების აზრით ავადმყოფობას არა აქვს საშიში ხასიათი.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება 15 თებერვალს იწვევს თბილისის კომიტეტზე მიმაგრებულ ტიპიურ უჯრედების თათბირს. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი პარტკოლექტივების და პარტუჯრედების მდივნები. 1) ა. ქ. რკ. გ. მთავარ სახელოსნოების კოლექტივის, 2) მთ. სახელოსნოების სახარატო საამქროს კოლექტივის, 3) საყუდის კოლექტივის, 4) საყუდის რონოდების პარკის საამქრო უჯრედის, 5) ქარხანა „26 კომუნარის“ უჯრედის, 6) ტრამვაის უჯრედის, 7) ტრამვაის სახელოსნოების საამქრო უჯრედის, 8) თამბაქოს ქარხნის „პროლეტარი“-ს უჯ.ედის, 9) მუშკოოპის უჯრედის, 10) ტყავეულობის ქარხნის უჯრედის, 11) საპნის და ზეთის ტრესტის უჯრ., 12) ალმასკომის პირველ სახელმწიფო სტამბის უჯრედის, 13) ქალაქის მილიციის უჯრ., 14) სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრ., 15) ალმასკომის უჯრ., 16) სახკინმრეწვის უჯრ., 17) კავშირ გამბულობის უჯრ.[illegible] მდივანი.

თათბირის დღ. წესრიგი:

1) ტიპიურ უჯრედების მუშაობის ამოცანების შესახებ (ხაცკევიჩი).

2) სხვადასხვა.

სხდომა გაიხსნება საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში. სასურველია რაიკომის წარმომადგენელთა დასწრება სხდომაზე. [illegible]რიღების და კოლექტივების მდივნებს წინადადება ეძლევათ სხდომაზე თავის დროზე გამოცხადდნენ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

— ორშაბათს 14 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, თბილისის კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებაში (ოთახი № 50) შესდგება ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღის 8 მარტის ჩამტარებელ კომისიის სხდომა. სავალდებულოა შემდეგ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრება (თბილისის კომიტეტის საგიტ. საპროპ. განყოფილება, მუშკოოპი, ალმასკომი, კომკავშირის თბილისის კომიტეტი, საქ. პროფ. კავშირთა საბჭო, წითელი არმიის პოლიტგანი, საბავშვო კომორგანიზაცია, სახალხო განათლების გან., ქალაქის [illegible]ანმრთელობის განყ., ადგილობრივი გაზეთები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ხალხური პრავდა“, „მარტაკოჩ“, „მუშა“, „ეხიფაარ“.

—საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა შე[illegible]ება ორშაბათს 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე.

— ორშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ლენრაიკომის შენობაში შესდგება ქალთა ორგანიზაციების და 8 მარტის კამპანიის ჩატარების საკითხებით დაინტერესებულ ამხანაგ ქალების თათბირი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება აგიტპროპკოლეგიის სხდომა.

— ს. ქ. პ. (ბ) ც. კ. განმან. საღ. განმან. ქვეგანყოფილება ამით აუწყებს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ დღეის რიცხვიდან სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ. ამხ. კვირკველიასთან.

1. ბახტაძე გიორგი სიმონისძე, 2. ხობუა პიმენ არსენისძე, 3. ჩიხლაძე აკაკი რომანოზისძე, 4. იმნაიშვილი ერემია რევაზისძე, 5. გორდელაძე აკაკი პავლესძე, 6. საკინძალიშვილი არტემ. 7. ტაპატაძე ერასტი ანტონისძე, 8. მღებრიშვილი გიორგი.

იმ ამხ., რომლებ ც თბილისში არ იმყოფებიან, ევალებათ თ ვიანთი მისამართი აცნობონ ც. კ. საღ. განმ. ქვე განყ. წერილობით.

დონნა გიორგის ასული, კატო, ბარბალე, ლიტა, თედორე, ნიკოლოზი, ილიკო თავიანთი შვილებით: ცუცა, ნუნა, გიორგი, ირინა, ამირანი და ოთარი ქარცივაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათთვის ძვირფას და მარად დაუვიწყარ

ალექსანდრე (ალიოშა) ისაკის-ძე კალანდარიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დღეს, 13 თებერვალს, ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება მოსკოვის ქ. № 30, დილის 12 საათზე. 1645

სრულიად საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის ანგარიშის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 10 თებერვალს გარდაიცვალა საყვარელი თანამშრომელი და მეგობარი

ალექსანდრე (ალიოშა) ისაკის-ძე კალანდარიშვილი

გამოსვენება ბინიდან, მოსკოვის ქუჩა № 30, კვირას, 13 თებერვალს, 12 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 633 2—2

სახელმწიფო დაზღვევის ა.-კ. სამძრთველოს და სრულიად საქართველოს ანგარიშის თანამშრომელთა გაერთიანებული ადგილკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 10 თებერვალს გარდაიცვალა საყვარელი თანამშრომელი და მეგობარი

ალექსანდრე (ალიოშა) ისაკის-ძე კალანდარიშვილი

გამოსვენება ბინიდან მოსკოვის ქუჩა № 30, კვირას, 13 თებერვალს, 12 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 632 2—2

სრ. საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის ანგარიშის საგარანტიო განყოფილების თანამშრომლები: სერგო ბახტაძე, შალვა ტერელაძე, ალექსანდრე სტეფანიშვილი და სევერიანე ბახტაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე განყოფილების თავდადებული და ენერგიული თანამშრომელი

ალექსანდრე ისაკის-ძე კალანდარიშვილი

გამოსვენება ბინიდან, მოსკოვის ქ. № 30 კვირას, 13 თებერვალს, 12 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 641

კვირას, 13 თებერვალს, დღის 1 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი

ვერა ეტრიფანეს ასული ჯანგველაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, რასაც ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დიდათ დამწუხრებული მეუღლე იოსები, შვილები თამარა და შოთა და დედამთილი ნინო ჯანგველაძეები. 1655

სამუდამოთ დამწუხრებულნი: დედა ნინო იოსების ასული და მამა დავით ლევანის-ძე პიტნავები, დები ვარო და [illegible] აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ [illegible] გარდაიცვალა

ანიკო დავითის ასული პიტნავა

გამოსვენება კვირას, 13 თებერვალს, დღის 12 საათზე, მუხრანის ქუჩა № 7. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელნი მწუხარებით იუწყებიან საპელგამის სოხუმის განყოფილების თანამშრომლის

ამხ. ვანო კანდელაკის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 643

გულდათუთქული მშობლები ევდოკი სიმონის ასული და ალექსანდრე ივანეს-ძე, დები: იულია, მარიამი, ეკატერინე და თამარი, ძმა ვასო კანდელაკები, სიძეები: აკაკი სერგის-ძე მხეიძე და ექიმი ბონავენტურ ანტონის-ძე მირაქოვი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 7 თებერვალს გარდაიცვალა

ივანე (ვანიჩკა) ალექსანდრეს-ძე კანდელაკი

ქალ. სოხუმში და გადმოსვენებულია ქალ. თბილისში. დაკრძალვა დღეს, 13 თებერვალს, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე., 1-ლ საათზე. ცხედრის გამოსვენება ქალ. თბილისის სადგურიდან 12 საათზე. 1658

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფემია ზურაბის ასული, შვილები: მელიტონი და ზაქარია (მაქრო), რძალი თამარი შვილებით—რუსუდანი და ეთიკოთი, ქალი ელენე და სიძე ანდრო გიორგის-ძე ქოველიძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 8 თებერვალს, დილის 11 საათზე, ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

რომანოზ ზაქარიას-ძე მუსერიძე

დაკრძალვა კვირას, 13 თებერვალს, დღის 2 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება ქართული ქუჩიდან № 10, მე-7 უბანში. ნ. 629 2—1

ქალაქის სასაკლაოების მუშა-მოსამსახურეთა ქარხკომი მწუხარებით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 8 თებერვალს, დღის 11 საათზე, მცირე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქის პირველ საავადმყოფოში გარდაიცვალა სასაკლაოების ძველი მუშა-სალახი

რომანოზ ზაქარიას-ძე მუსერიძე

დაკრძალვა კვირას, 13 თებერვალს, შუადღის 2 საათზე. გამოსვენება ქართული ქუჩიდან № 10, მე-7 კომისარიატი.

სახელმწიფო დრამა

კვირას, 13 თებერვალს
ნ. შიუკაშვილის

ამერიკელი ძია

ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის.
მხატვარი: მ. შავიშვილი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

5—4 ნ. 610

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 13 თებ., მესამეთ **სამსონ და დალილა**
მონაწ.: ვოლჩანეცკაია, ვიტინგი, გორელოვი, მესნიაევი.
დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი

სამშაბათს, 15 თებერვალს, აბონემენტის მე-8-ე წარმოდგენა **ბორის გოდუნოვი**

ოთხშაბათს, **ტოსკა!** მზადდება **ტრუბადური**

ნ. 635

ლერმონტოვი ეკრანზე

ორშაბათიდან 14 თებერვლიდან
კინო-თეატრებში
აპოლო,—არფასტო,
სოლეი.—დარბაზი.

ბელა

„ჩვენი დროის გმირი„-ს ციკლიდან (ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით).
დადგმა **ვ. ბარსკის** ოპერატორები. **ა. პოლიკევიჩი. ფ. ვეველე**
მთავარ როლებში: **თინა მაჭავარიანი,**
ა. თაყაიშვილი, ნ. პროზოროვსკი, ვ. ობოლენსკი.
ნ. 637.

ს. ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

ა. მაშაშვილი

ლექსები

ფასი ყველგან 1 მან. 20 კ.

2—1 ნ. 630

აპოლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. 13—22.
სოლეი
ტელ. 20—14.
დარბაზი
ტელ. 14—04
0—9 ნ. 627

პირველად თბილისის ეკრანზე საუკეთესო სურათი
გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა
ტურგენევის რომანის მიხედვით
ნ. კოვანკოს, ნ. კოლინის, ჟ. ანჟელოს და სხვ. მონაწ.

მხატვრული შედევრი, ამერიკული ნაწარმოები
„მეორე ახალგაზრდობა“ (საშიში ჰასაკი)
დიდი ინტერესი მოსკოვსა და ლენინგრადში

ოზეპუხინი და ლისენკო. საუკეთესო სურათში
„მიმავალი ჩრდილები“
მხატვრ. დრამა 7 ნაწილად.

გარი პილ კინო რომანში **სიკვდილის მოძულე**
2 სერია 10 ნაწ. ერთად

ორშაბათიდან 14 თებერ. სახკინმრეწვის კინო-თეატრებში „ბელა“ (ლერმონტოვის ნაწარ. მიხედვით)

ცირკი
ძმ. ტანტების
1—1 ნ. 625
ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
კვირას 13 თებერვალს
განახლებული პროგრამის სადღესასწაულო სანახაობანი პირველხარისხოვანი ნომრები—იუმორი! სატირა! აკრობატიკა! მოჯირითენი! მოჯირითე ქალები! დაწრთვნილი ძაღლები! პილოტები! გიმნასტები და სხვ.! გარდა ამისა, მე-18-ე და მე-19-ე დღე ჭიდაობის ჩემპიონატისა არბიტრ ი. ვ. ლებედევის (ძია ვანო) ხელმძღვანელ.

ჭიდაობს 4 საინტერესო წყვილი

კვირას 13 თებერვ. ყველასთვის ხელმისაწვდომი საბავშო დილა. თავიდან ბოლომდე ახალი პროგრამა და საჩუქრების დარიგება. დასაწყისი ნაშუადღევ. 1 ნახ. საათ. **წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!**

ადმ. ხელმძღვან. მ. ი. ტადე.

თბილისის სააქციო საზოგადოებამ „ციფტორგ“-მა

სომხის ბაზარზე № 6

გახსნა რკინეულობის საცალო მაღაზია

შეიძლება საქონლის ფართოდ შერჩევა.

ნ. 642 2—1

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იწვევს იმ პირთ და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ

მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში,

რომელიც დანიშნულია 18 თებერვალს, დღის 2 საათზე, თბილისის გამასწორებელ სახლებისათვის ერთი წლის განმავლობაში ხორცის და მწვანილეულობის მისაწოდებლად, სახელდობრ: ხორცის, კართოფილის, ლობიოს, ხახვის, მწვანილის, საჭმელი ზეთის და სხვა. იჯარა შეიძლება აღებულ იქნეს ერთის მიერ ყველა სანოვაგეზე და ნაწილობრივად. იჯარის პირობების და სანოვაგის რაოდენობის შესახებ ცნობებს იძლევა შინსახკომისარიატი ყოველ დღე.

წერილობითი განცხადება მიიღება შინსახკომის საფინანსო ნაწილში 18 თებერვლამდე დახურულ კონვერტში წარწერით: „18 თებერვლის საჯარო ვაჭრობისათვის“.

განმეორებითი შეჯიბრება სამი დღის შემდეგ.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი. ნ. 3—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ფინსახკ. გამგებლობაში მყოფი **ორწლიანი**

ეკონომ.-ფინანსიური კურსები

ამზადებს მუშაკებს: კომისარიატებს, აღმასკომებს, ტრესტებს, ბანკებს, კოოპერატივებს და ყოველგვარ კომერციულ დაწესებულებებს

მიიღებიან: 1) საშუალო სასწ. კურს დამთავრებულნი, 2) დაწესებულებათა თანამშრომელნი, რომელთაც საშუალო სასწავლებელი არ დაუმთავრებიათ—კოლოკვიუმით.

გადასახადი: წლიურად 120 მ. ან სემესტრში 60 მ.

განცხადება მიიღება თებერვლის დამლევამდე.

განცხადებასთან სავალდებულოა გადასახადის მეოთხედის 15 მან. შემოტანა.

მისამართი—თბილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტერნის), № 10.

კანცელარია ღიაა დილის 9—1-დე და საღამოთი 5—8 საათამდე.

2—1 1604 **ადმინისტრაცია**

1, მე-2, მე-3 და მე-4 კომისარიატში მცხოვრები შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების

ყველა წევრები და მათი ოჯახის წევრები, რომელთაც თბილისის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ, მოწვეულნი არიან საარჩევნო კრებაზე, რომელიც დანიშნულია რუსთაველის თეატრში 14 თებერვ. საღამოს 7 საათზე.

ამომრჩევლები კრებაზე უნდა გამოცხადდენ თავიანთ საწევრო წიგნაკებით და საარჩევნო უწყებებით.

ნ. 640 **ცენტრალური საარჩევნო კომისია**

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

სამუზეუმო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

მიღება იწარმოებს 15 თებერვლამდის

ან მდივანთან, ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე იოვანე ზაქარიას-ძე **ტერ-სტეფანოვთან.** 1 თუმანოვის ქ. № 13. 1648

საქ. კურორტთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თუ მის-მიერ ა. წ. 18 თებერვლისათვის

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

წყალტუბოსათვის საამშენებლო აგურის მოწოდებაზე (იხ. 9 თებ. გაზ. „კომუნისტი“) არ შესდგა, მაშინ

განმეორებითი ვაჭრობა

შესდგება მეორე დღეს, 19 თებერვალს. ნ. 636

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ჭიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ჭიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრალმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 1927 წ. 18 თებერვალს დღის 1 საათზე სახლში № 5 ვ ნქის შეს. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი არნაუტოვის მოძრავ ქონებას; ერთი ბუფეტის შკაფს, ერთ კამოდს და ტანთსაცმელის შკაფს შეფასებულს 120 მანეთად, თბილისის ალმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 31 მარტს 1926 წ. თარიღით, № 139 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1656

რაჭის მაზრის ამბროლაურის და ჭრებალოს უბნის სასამართლოების აღმასრულებელი გ. ავალიანი

ამით აცხადებს, რომ 1927 წ., 26 თებერვალს დღის 12 საათზე, სოფ. ტბეთში რაჭის მაზრა, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პოლიკარპე იორდანესძე ემნაძის მოძრავ ქონებას სახელდობრ: ორ თითო წლის მოზვრებს, ერთ შკაფს, ერთ მაგიდას, ერთ 2 წლის უშობელს, ერთ 3 წლის მოზვერს, ერთ ხარს, ერთ ღორს, შეფასებულს სულ 175 მან. სპირდონ ემნაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა 1926 წ. 15 | 17 თებერვლის თარიღით აღმასრულებელი ფურცელი № 1284—1926 წ. მარტი. 1654

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დ ავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—14

ქიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე

საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

---

8 დიცინის დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ.მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მუასილის, ხქესობრივი სისუსტე. ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ღვიძლის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.

პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

სათვალეების მორგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ევროპაში ცნობილი გეოდეზისტის ვენის პროფესორის D-r Eduard Dolezal'ის ყოფილი მოწაფე გეომეტრი-მარკშეიდერი

ვ. ს. ასათიანი

კისრულობს ქალაქებისა და სამადნოების ზუსტი ტრიანგულიაციების შედგენა-შემოწმებას.

მოლაპარაკება წერილობით: თბილისი, ლ. დუმბაძის ქ. № 20. 13—3

ქუთაისი

ექიმი ა. მ. ასათიანი

დაბრუნდა ლენინგრადის კლინიკებიდან და განაახლა ავადმყოფობის მიღება სპეციალურად—სამშობიარო დახმარება და ქალთა სნეულება. 13—1

დავკარგე აღრიცხვის ბარათი მოცემული სამხედრო კომისარიატის მიერ ერასტი გიორგისძე ბალიაურას სახელზე, ჩ. გ. 1650

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 7416 ევდოქიმ გიორგისძე გაგიევის სახელზე, ჩ. გ. 1651

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 561 ალექსანდრე რემონოზისძე ძაგნიძეს სახელზე, ჩ. გ. 1649

დავკარგე პირადობის მოწმობა რკ. გზ. დეპოს მიერ გაცემული № 3 | 377, „ზაკტპოს“ წიგნ. № 4360 და დროებითი პარტიული მანდატი № 147 ნიკო აბუბარდიას სახელზე, ჩ. გ. 1647

დავკარგე მესამე რაიონის მილიციიდან გიორგი ივანესძე ბასიშვილის სახელზე გაცემული სამხედრო სააღრიცხვო ბარათი. ჩ. გ. 1646

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 324 და პირადობის მოწმობა № 132 გაცემული რაჭ. მაზრიდან ამბროლაურის აღმასკომიდან ვ კობახიძეს სახელზე, ჩ. გ. 1648

დავკარგე ხელოვნების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 687 გრიშა გოლეციანის სახელზე, ჩ. გ. 1653

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი გიორგი ჩინჩალაძის სახელობაზე, ჩ. გ. 1657

დავკარგე კოჰბანკის აქცია 25 მან. ბესარიონ ნიკოსძე სულაკაძე, მიხეილ აქსენტისძე ნიკოლაძე და ფადია იოსებისძე მარგველაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 638

დავკარგე რკინისგზის პროფკავშირის მოწმობა იოსებ ლაკვებელიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 638

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68,